

# ლიტერატურული გაზეთი

№96 12 - 25 აპრილი 2013

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



«ლიტერატურული გაზეთის»  
ახ. კვ.:

როსტომ ჩხეიძე

V

ივანე ამირხანაშვილი

## ლინგვისტური „აკაკელა“ ანუ ოთარ ჭილაძის მონატრება

საიდან, როგორ, როდის, რით იწყება კლასიკა? ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, არა მწერლის სიცოცხლეში. არა აღიარებით. არა ხალხის სიყვარულით. არა ხმაურით. არა პოპულარობით.

ლიტერატურას იმდენივე საიდუმლო აქვს, რამდენიც დროს, ამ უღმობელ, მიუკერძოებელ, უსასტიკეს მსაჯულს.

რატომღაც მგონია, რომ კლასიკა არის დრო, ანუ ის, რაც მეორდება, რაც განმეორებისა და თვითგანახლების უნარით არის აღჭურვილი. კლასიკა — ეს არის მარადი ანმყო.

XII

დათო ტურაშვილი:

«მზე დასაჯლოთის კენ  
მოძრაობს»

X



ნინ, არადა, უმთავრესი სწორედ ეს უნდა იყოს, სხვაგვარად ჩვენი, ალბათ, ვერც ვერასდროს გავარკვევთ, თუ როგორ უცვლიდნენ მიმართულებას დიდ ხელოვნებას წყალქვეშა დინებები.

II
ღვარამი, პოეტი და პროზაიკოსი
მდინარეს სხვადასხვა სიმბოლურ დატვირთვა აქვს ხელოვნებასა და მითოლოგიაში. სტიქსი წარმართულ სამყაროში ჰადესის მთავარი მდინარე იყო, ქარონი კი მენავე, მიცვალებულთა სულები ქვესკნელის სამეფოში რომ მიჰყავდა. სიტყვა სტიქსი სიძულვილს ნიშნავდა, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ამ მდინარის იქით სუფევდა საძულველი „ტანჯვისა და ცრემლთა“ ქალაქი. თანამედროვე მწერლობაში მდინარე ასოციაციურად რალაციით დროის მდინარეებასაც კი დაუკავშირდა. შემთხვევით არ უნოდა ფოლკნერმა თავის მითიურ საგრაფოს

თემურ გაბუნია

# ორსახოვანი პერსონაჟების გაღერა

## I ხელოვნების იმპულსირება


არსებობენ ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ძლიერ ზეგავლენას ახდენენ არა მხოლოდ თავიანთ თანამედროვე მწერლებსა და პოეტებზე, არამედ მომავალ თაობებზეც. ამგვარ ქმნილებათა ნუსხაში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს ბოკაჩოს „დეკამერონსა“ და შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“. მათ ძლიერი ბიძგი მისცეს ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომელთა მთავარი გმირებიც ან გაორებული სასულიერო პირები იყვნენ, ან ნათელ ფერებში დახატული თვითმკვლელები. დროთა განმავლობაში ეს ორი თემა (თვითმკვლელების გაიდუღებისა და მღვდელმონაზვნების გაბაიბურებისა) ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც კი იქცა დიდ ხელოვნებაში შესვლის მსურველთათვის. მწერალი თითქოს თავს ვალდებულადაც კი მიიჩნევდა პერსონაჟად ან დაცემული და გაორებული სასულიერო პირი გამოეყვანა, ან კეთილშობილური თვისებებით შემკული თვითმკვლელი. ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციების ფონზე გაჩნდა კიდევ ერთი საშიში ტენდენცია, მწერლებმა და პოეტებმა დაინყეს რელიგიური ფასეულობების გამარჯება, ჯერ შეფარულად, მერე კი უკვე აშკარად. ვინ მისცა დასაბამი ბიბლიურ თემებზე პაროდების შექმნას, ან რატომ დაეკარგათ ადამიანებს პროტესტის გამოხატვის უნარი, როცა მათ თვალწინ ყველასა და ყველაფერს დასცინოდნენ: ანგელოზებს, რელიგიურ რიტუალებს და თვით ღმერთს? აი, კითხვები, რომლებიც, შესაძლოა, მკითხველს დაეხადოს. თუმცა, რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ის მათზე პასუხს ვერსად იპოვის, ვერც ხელოვნებათმცოდნეობისა და ვერც ლიტერატურის ისტორიის თხზულებებში. მეცნიერებისთვის მთავარი ეპოქების, ჟანრებისა და სხვადასხვა მიმდინარეობების მიმოხილვა, ასევე აკადემიზმი, რისგანაც ერთგვარ კერძსაც კი ქმნიან. სწორედ ამ საფრთხის შესახებ საუბრობს ჯერომ სელინჯერის ერთ-ერთი პერსონაჟი — ზუი. მისი აზრით, ის პედაგოგები, ხელოვნებისადმი მშრალი, თეორიული მიდგომა რომ აქვთ, „ყველაფერს აკადემიურსა და უსარგებლოს ხდიან, რასაც კი ეხებიან“ („ფრენი და ზუი“). უფრო მეტიც, ზუის მიაჩნია, რომ ასეთი პედაგოგები მეცნიერებისგან რალაც კულტის შექმნასაც კი უწყობენ ხელს. აკადემიური სწავლა-განათლება, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ მეცნიერების კერპად ქცევა კი არა, ისტებისა და იზმების ხშირ-ხშირმა ხმარებამ ადამიანს სული რომ არ შეუხუთოს. ფორმალური კლასიფიკაციების მოყვარული თუთიყუშის იმეორებს: რომანტიკოსი იყო ბაირონი, პრიმიტივისტი — ფიროსმანი, კუბიზმით იყო გატაცებული პიკასო... იმეორებს და ჰგონია, რომ ამით ყველაფერი თქვა. მას არ აინტერესებს, რა სულიერი ბრძოლების გადატანა უხდებოდათ შემოქმედ ადამიანებს ან რა დაბრკოლებები ელობებოდათ



შგავს. ყველა მწერალს ხვდება თავისი მდინარე, რომელიც უნდა გადალახოს... პოეზია მორევივითაა, თუ გაგიტაცა, არ უნდა გაუძლიანდე, ისედაც ამოგაგდებს შორიახლოს, თუ შეენიხაღმდეგე, დაგლის და დაგახრჩობს. პოეტი მთის მდინარეში შესული მოცურავისავითაა, პროზაიკოსი კი — ბარის. ორივეს დიდი სიფრთხილე და ნებისყოფა მართებს, ასევე გამჭრიახობაც, რათა სწორი ტემპი და ტექნიკა შეარჩიოს და მშვიდობიანად გადალახოს დაბრკოლებები... თუმცა, ყველაზე რთული დინების საწინააღმდეგოდ ცურვაა. მწერალმა ის ერთხელ მაინც უნდა სცადოს. შესაძლოა, მხოლოდ ოდნავ ნაინოს წინ ან სულაც ერთ ადგილას იდგეს, მაგრამ ესეც დიდი ვაჟკაცობაა, რადგან ერთადერთი, ვინც შეძლო მდინარეს აღმა აჰყოლოდა, თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტე იყო, ღმერთკაცი!

## III გაორკაპული სახაპი, თვითმკვლელობის გაიდუღება


ერთხელ პაბლო პიკასოს ჰკითხეს, რატომ არ ხატავ ლამაზი ქალების პორტრეტებსო, მან კი უპასუხა, მაჩვენეთ ლამაზი ქალი და დავხატავო. მხატვრის პასუხი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ლამაზი ქალების საზოგადოება მისთვის უცხო იყოს, პირიქით, მუდამ მშვენიერი ელბატონების გათვალისწინებით იმყოფებოდა. როგორც ჩანს, პიკასო არა გარეგნულ, არამედ შინაგან სილამაზეს გულისხ-



მობდა. კუბიზმით გატაცების პერიოდში კი გაორებული სახეებიანი ქალების სურათები უფრო შთამბეჭდავი გახდა. ამის თვალსაჩინო მაგალითს 1932 წელს შესრულებული სურათი — „შიშველი ქალი ნითელ საფარძელში“ წარმოადგენს. ქალის სახე გაორებულია, მისი მარჯვენა ნახევარი კი შეიძლება აღვიქვათ, როგორც შეყვარებულის პროფილი, მას ტურჩებში რომ კოცნის. პიკასოს ეს ცნობილი ნამუშევარი საკმაოდ სიმბოლურია. ის ჩვენი ეპოქის ერთგვარ სახესაც წარმოადგენს, რომლის მთლიანობაც დარღვეულია გაორებითა და განდგომილებით...

გაორებულ და თვითმკვლელ ლიტერატურულ გმირთა სახეები დიდი ხელოვნებისთვის უცხო არასდროს ყოფილა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ შემდეგ მსოფლიოს შეემატა კიდევ რამდენიმე პერსონაჟი ამ ე.წ. თვითმკვლელობის დასიდან: ანა კარენინა, მარტინ იდენი, ქვენტინ კომპსონი, სიმორ გლასი...

შექსპირის ტრაგედიაში თითქოს მძლავრი იმპულსი მისცა მწერლებს, შეექმნათ ნათელი ფერებით დახატული



თვითმკვლელთა პორტრეტები. ძლიერი ნებისყოფის, კეთილშობილი და ვაჟკაციური ბუნების ადამიანი ჯექ ლონდონის მარტინი; თითქოსდა სიყვარულისა და ბედნიერებისთვისაა გაჩენილი ტოლსტოის ანა; სელინჯერის სიმორი კი ოჯახის პატრიარქია, რომელსაც ყველა ჭკუას ეკითხება. ამ პერსონაჟებს ისეთი შინაგანი ხიბლი გააჩნიათ, რომ უნებლიეთ მკითხველი მათი თაყვანისმცემელიც კი ხდება. გაორებულ და მერყევ ადამიანებად არიან წარმოჩენილები მღვდლები და ბერები ისეთ დიდ მწერალთა ნაწარმოებებშიც, როგორებიც არიან: ტოლსტოი, ბალზაკი, სტაინბეკი, ჰიუგო, დიუმა, სელინჯერი და სხვები. ერთ-ერთი პირველი კი, ვინც ეს თემა ხელოვნებაში შემოიტანა, სწორედ ჯოვანი ბოკაჩო იყო. რა თქმა უნდა, მღვდელიც ადამიანია, ამიტომ ის შეიძლება დაეცეს კიდევ და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. მაგრამ როცა დაცემული სასულიერო პირების თავგადასავლებს საზოგადოება სიცილ-ხარხარით ხვდება, უნებლიეთ გაცეცება გვიპყრობს. „დეკამერონში“ კი სწორედ მსგავსი შემთხვევებია აღწერილი. მაგალითად, პამფილოს მონათხრობი გაიძვერა და მრუში მღვდ-

ლის შესახებ, გლეხის ქალს რომ შეაცდენს, გიროდ დატოვებული ანაფორის სანაცვლოდ, მსმენელებში სინანულის ნაცვლად უზომო მხიარულებას იწვევს. მსგავსი რეაქცია აქვთ ქალებს დიონეოს მონათხრობზე, იმის შესახებ თუ როგორ გაუკეთა მამა ჯაინიმ ნათლიმამა პიეტროს ლამაზ, ახალგაზრდა ცოლს „კუდი.“ ამ შემთხვევებში სწორედ დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი ეს ადამიანები და მათი სიცილ-ხარხარია ამაზრზენი...


მოვლენების შეფასების თავისებური, საკმაოდ უჩვეულო კრიტერიუმები აქვს ალექსანდრე დიუმასაც. რატომღაც მის სახელგანთქმულ „სამ მუშეკეტროში“ ის ადამიანები, რომლებიც მზად არიან შემთხვევით მხრის გაკვირის გამო თანამემამულეები დუღელოში გამოიწვიონ და მოკლან, უფრო ნათელ ფერებში არიან დახატულები, ვიდრე დუღელების ამკრძალავი და საფრანგეთის უაზრო სისხლისღვრისგან მხსნელი რიშელიე. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ კი მამა კლოდს გაცილებით აღემატებიან თავიანთი ადამიანური თვისებებით უღმერთო ბოშა ქალი ესმერალდა და მახინჯი კვაზიმოდო, რომელიც თითქოსდა სწორედ კონტრასტის მოტივითაა შემოყვანილი ნაწარმოებში, რათა გარეგნულად მშვენიერი და სოციალურად დანინარებული ადამიანების უგულობა და სიმდაბლე ნათლად წარმოჩინდეს.

გაორებული სასულიერო პირის კლასიკურ სახეს წარმოადგენს მხტომელთა სექტის მოძღვარი, კეისი, სტაინბეკის რომანიდან „მრისხანების მტყვენები“, რომელსაც ყოველი ქადაგების შემდეგ დაუოკებელი სურვილი უჩნდება, რომელიმე გოგონა ბალახებში გადაეყვანა და გვერდით მიწოლოდა. კეისი მოგვიანებით სხვის დანაშაულს იღებს საკუთარ თავზე და ციხეში მიდის, რითაც ცდილობს გამოისყიდოს ჩადენილი ცოდვები. ეს საქციელი ყოფილ მოძღვარს ისეთი გმირული შარავანდდით მოსაეს, რომ უნებლიეთ გვერდით დადის მისი მრუშობაც და ისიც, თვით ნათლიობის საიდუმლოში ეჭვი რომ ეპარებოდა...

საერთო სურათში არ ეწერება დოსტოევსკის, ჰიუგოსა და ფოლკნერის ზოგიერთი პერსონაჟი, მაგალითად: ბერი ზოსიმე („ძმები კარამაზოვები“); ქვენტინ კომპსონი („ხმაური და მძვინვარება“) და ეპისკოპოსი მირიელი („საბრალონი“). სხვა მწერლებისგან განსხვავებით, ფოლკნერი თავის თვითმკვლელ ლიტერატურულ გმირს არც ზეკაცად წარმოაჩენს და არც რაიმე რომანტიკული საბურველით მოსავს. პირიქით, მწერალი გარკვევით ამბობს, რომ თვითმკვლელის ადგილი ჯოჯოხეთშია. მას (ქვენტინს) უყვარდა არა ინცესტის იდეა, რომელსაც არასდროს ჩაიდენდა, არამედ რალაც პრესბიტერიანული კონცეფცია ან ცოდვის მარადიულ სასჯელზე: ის, და არა ღმერთი, ალბათ, ამის გამო საკუთარ თავსაც და დასაც, ორივეს ჯოჯოხეთში ჩაყრიდა, სადაც შეძლებდა სამუდამოდ დაეცვა კედი, უფრო მეტიც — სამარადუამოდ დაეფარა მარადიული ცეცხლისაგან („ხმაური და მძვინვარება“).

რაც შეეხება ეპისკოპოს მირიელს, ჰიუგოს „საბრალონიდან“, ის, მართლაც, რომ გამორჩეულია სასულიერო პირთა მთელ გალერეაში, რადგან მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ისეთი პერსონაჟი, რომელსაც შეუძლია ემბაკს ხელიდან გამოსტაცოს ჩვეულებრივი მძარცველი (ჟან ვალჟანი) და კეთილშობილ ადამიანად აქციოს იგი.

კიდევ უფრო თვალშისაცემი სხვაობაა ორსაზოვანი პერსონაჟების გალერეის ექსპონატებსა და დოსტოევსკის მიერ დახატულ ბერების, ზოსიმესა და ტიხონის პორტრეტებს შორის რომანებიდან „ძმები კარამაზოვები“ და „ეშმაკნი“. ალბათ, მკრეხელობაც კი იქნებოდა ამ პერსონაჟების ჩართვა მსგავს გალერეაში, რადგან მწერლის ზოგიერთ გმირს, ისევე, როგორც თავად დოსტოევსკის, სრულიად გამორჩეული ადგილი უკავიათ მსოფ-



ლიო ლიტერატურაში. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ World Library-ის 2002 წლის გამოკითხვით, ეს მწერალი ასეულში ოთხი ნაწარმოებით მოხვდა, მაშინ, როდესაც შექსპირი მხოლოდ სამით, ასევე ტოლსტოიცი. ფოლკნერი, თომას მანი და ჯოისი კი — ორ-ორით. XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს 54 ქვეყნიდან ჩამოსულმა ასმა მწერალმა დოსტოევსკი უპირობოდ აღიარა ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს შემოქმედად, რაც არა მხოლოდ მისი, არამედ, ზოგადად, მართლმადიდებლური ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის გამარჯვებდა უნდა მივიჩნიოთ, რადგან „ძმები კარამაზოვების“, „დანაშაული და სასჯელის“, „ეშმაკის“, და „იდიოტის“ პერსონაჟები, თავიანთი ქრისტიანული სულისკვეთებითა და უნარით ცოდვები მოინანიონ, სრულ კონტრასტში არიან „დეკამერონის“, „ნითელი და შავის“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ და თხზილ XX საუკუნეში შექმნილი ნაწარმოებების პერსონაჟებთან. დოსტოევსკის ღრმად სწამდა, რომ სწეული რუსეთი, ისევე როგორც მთელი კაცობრიობა, გადარჩებოდა, თუკი საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ცოდვებს მოინანიებდა. მაშინ მისგან „ყველა ეშმაკი გავივლიდა, მთელი უნმინდურება, მთელი ის სისაძაგლე, მის ზედაპირზე ჭაობივით რომ ჩამპალიყო...“ (ეშმაკნი). უფრო მეტიც, მწერალს სწამდა, რომ ის ეშმაკები თვითონვე მოითხოვდნენ ღორების კოლტში შესვლას და უფსკრულში გადაჩეხვას. და მაშინ მათგან ნაწამები ქვეყანაც ბოლოს და ბოლოს დაიშვიდრებდა ადგილს იესოს ფერთხთით. აი, ასე გამოირჩეოდა დოსტოევსკი სხვა მწერლებისგან თავისი ქრისტიანული მსოფლმხედველობითა და ღრმა რწმენით, რომელიც ახლაც შუქურასავით გზას უნათებს ოკეანეში დაკარგულ მეზღვაურებს.

ამრიგად, მხოლოდ რამდენიმე მწერალმა შეძლო გაცეურა დინების სანი-ნაალმდევოდ და არ აპყოლოდა მსოფლიო ლიტერატურაში გაჩენილ ტენდენციას: მუქ ფერებში დაეხატათ სასულიერო პირები, ნათელში კი — თვითმკვლელები. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ბუნებაში არ არსებობდნენ დადებითი თვისებების მქონე თვითმკვლელები და უღირსი ღვთისმსახურები და ისინი მხოლოდ მწერალთა ერთი ჯგუფის ფანტაზიის ნაყოფი იყო. პირიქით, რაც უფრო ნიჭიერია და გამოჩრეული ადამიანი, ეშმაკი მას უფრო მძლავრად ებრძვის, უღირსი ღვთისმსახურები კი ყველა ეპოქაში არსებობდნენ. უბრალოდ, მწერალმა თავისი თვითმკვლელი პერსონაჟი იმაზე მეტად არ უნდა შეიყვაროს, ვიდრე ის ღმერთს უყვარს. სელინჯერის ხომ სწორედ ამის გამო გააკრიტიკეს, თვითმკვლელი სიმორგლასის გაიდელბერგისთვის. ზოგიერთმა ლიტერატორმა ის ჯანინიზმის მიმდევრა-

დაც კი შერაცხა, იმ სექტისა, სადაც თვით-მკვლელობა ბრაჰმასთან ზიარების ერთ-ერთ საშუალებად ითვლებოდა, თუმცა, ამგვარი შეფასება აშკარად გადაჭარბებული იყო, რადგან სელინჯერი თვითმკვლელობას ხსნის გზად კი არ მიიჩნევს, არამედ ეგოიზმად. აი, რას ამბობს ბადი გლასი თავის თვითმკვლელ ძმაზე: „განსხვავებით ამ გვერდებზე აღწერილი მეორე პიროვნებისგან (იგულისხმება სიმორი — თ.გ.), ისეთი ეგოისტი არ გამოვდები, რომ თავი მომეკლა და მთელი ჩემი მოყვარული ოჯახი მშრალზე დამეტოვებინა („სიმორი შესავალი“).

ამგვარად, ლიტერატურულ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებები მხოლოდ მწერლების ტენდენციურობის ბრალი კი არ იყო, არამედ ეპოქალური ცვლილებებისა. ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციების ფონზე შეიცვალა ადამიანიც. ერთ უღმერთო მოძღვრებას მეორე ცვლიდა, მოძღვარს კი მოძღვარი. ვოლტერს — ნიცშე, ნიცშეს — დარვინი, დარვინს — მარქსი, მარქსს — ფროიდი... იმატა უღმერთო ადამიანების რიცხვმა. შესაბამისად გაიზარდა იმ მწერლების რაოდენობაც, მათზე მხატვრულ ნაწარმოებებს რომ თხზავდნენ.




საგრძობლად მომრავლდნენ გაორებუ-ლი საერო პერსონაჟებიც, რაც, უთუოდ, ჩვენი უღმერთო დროების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ...

IV


რეინკარნაციის თეორია

XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში გაჩნდა კიდევ ერთი უცნაური ტენდენცია, რომელიც მიმართული იყო რელიგიების სინთეზირებისკენ. ვისაც ნაუკითხავს ჰაქსლის ნინასიტყვაობა „რა-ბაკრიონის სახარებისთვის“, რომენ როლანის დიტირამები ვივეკანანდასადმი, ალბათ, არც გაუკვირდება ზოგიერთი მწერლის, კერძოდ, სელინჯერის პერსონაჟები (ბადი, სიმორი, ფრენი...) ერთდროულად ქრისტიანებიც რომ არიან და ინდუისტებიც, ბუდისტებიცა და დაოსიზმის მიმდევრებიც... მსგავსი რამ არ უნდა გაუკვირდეს ისეთ ადამიანსაც, ვინც კარგად იცნობს ძენის სექტის საქმიანობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანული ძენის მოდერნისტი გურუებიც აშკარად ახალისებდნენ თავიანთ მიმდევრებს სისტემატურად ეკითხათ ბასილი დიდის, იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამების თხზულებები. ისინი დამწყებებს იესოს ლოცვის თქმასაც კი ურჩევდნენ ერთ-ერთი მანტრის სახით, სულისა და გონების განსაწმენდა... დიხა, დღეს, დღეს ამერიკასა და ევროპაში სექტებით ვერავის გააკვირვებ, თუმცა, სელინჯერთან დაკავშირებით, გაცეხას ინვესს სრულიად სხვა რამ, კერძოდ, მისი ერთ-ერთი პერსონაჟი — უეიკერი, კათოლიკე მღვდელია და თან რეინკარნაციის ვედანტური თეორიისაც სწამს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომაც ის გაორებული? კათოლიციზმისთვის ხომ მსგავსი ჰიბრიდული ქრისტიანულ-ინდუისტური მსოფლმხედველობა ყოველად მიუღებელია? რა საფუძველი აქვს უეიკერის პოზიციას? ამ კითხვას ჩვენ, ალბათ, სრულფასოვნად ვერ ვუპასუხებთ, თუ არ გავიხსენებთ იმ ტენდენციას, რომელიც XX საუკუნეში ანთროპოსოფიაში გაჩნდა და რომლის ძირითად ნიშანსაც ბიბლიაში სულთა გადასახლების თეორიის დამადასტურებელი საბუთების მოძიება წარმოადგენდა. ანთროპოსოფებზე ადრე შუასაუკუნეებში მსგავს აზრებს ავითარებდნენ კატარებისა და ალბიგოელების გნოსტიკური სე-




ქტები, რომლებიც რეინკარნაციის იდეების ქრისტიანობასთან დაკავშირებას ცდილობდნენ. მათი აზრით, ყოველი ადამიანის სული დაცემული ანგელოზი იყო, რომელიც მრავალჯერადად იბადებოდა მატერიალურ სამყაროში. გნოსტიკოსების იდეების განახლების ერთ-ერთი ინიციატორი, ავსტრიელი ანთროპოსოფოსი და თეოსოფ-ოკულტისტი, რუდოლფ შტაინერი გახლდათ. ის არათუ ცდილობდა სულთა გადასახლების კვალი წმინდა წერილშიც ეძებნა, არამედ მთელი სქემებიც კი ჰქონდა შედგენილი იმ ბიბლიური გმირებისა და წინასწარმეტყველებისა, ახალი სახით რომ მოველინნენ ქვეყანას. აი, რას წერს იგი თავის თეოსოფიურ ნაშრომში „მარკოზის სახარება“: შეიძლება ითქვას, რომ დაწყებული ელიათი, რომელიც შემდგომ ინკარნირდა, როგორც იოანე ნათლისმცემელი, ჩვენს წინაშე გასაცარი სიდიადით წარმოსდგებიან ებრაელი წინასწარმეტყველები“. შტაინერისთვის ბიბლიური და ისტორიული პირების რეინკარნაციის დასამტკიცებლად გარკვეული სახასიათო შტრიხებიც კი კმაროდა. მაგალითად, მას შეუვდა ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ ილიადას ერთ-ერთი გმირი, ჰექტორი, შემდგომ ცხოვრებაში დანიის პრინც ჰამლეტის სახით მოველინა ქვეყანას, ხოლო ეშმიდოკლე, ვეზუვის კრატერში გადახტომით რომ დაასრულა სიცოცხლე — ფაუსტის. შტაინერის აზრით, ის თავისი ოკულტური ხედვით წვდებოდა ამ ინკარნაციათა საიდუმლოს. მისთვის ჰექტორი და ჰამლეტი, თავიანთი სიდიადისა და კეთილშობილების მიუხედავად, განწირულნი იყვნენ დამარცხებისთვის, ხოლო მსგავსება ეშმიდოკლესა და ფაუსტს შორის იყო მათი ზიარება ცეცხლის სტიქიასთან. რა კავშირს პოულობდა შტაინერი ელია წინასწარმეტყველსა და იოანე ნათლისმცემელს შორის? თავისი თეორიის დასაბუთებლად ის იშველიებდა იმ ებიზოდს მათეს სახარებიდან, სადაც ელიასა და იოანე ნათლისმცემლის სულიერი მსგავსებაზე იყო საუბარი: „და ჰკითხეს მას მონაფეებმა და უთხრეს: რატომ ამბობენ მნიგნობარნი, პირველად ელია უნდა მოვიდესო? ხოლო მან პასუხად თქვა: ელია მართლაც პირველად მოვა და აღადგენს ყოველს; მაგრამ გეუბნებით თქვენ ელია უკვე მოვიდა, და ვერ იცნეს იგი, არამედ როგორც უნდოდათ ისე მოექცნენ... მაშინ მიხვდნენ მონაფეები, რომ იოანე ნათლისმცემელზე ელაპარაკებოდა მათ“. (მათე. თ. 17. ლ 10-13).

ლუკას სახარების პირველ თავში ჩვენ ვეცნობით, თუ რა უთხრა იოანე ნათლისმცემლის მამას, ზაქარიას, უფლის ანგელოზმა იმ ჩვილის შესახებ, მის ხანშიშესულ მეუღლეს, ელისაბედს, რომ უნდა შესძენოდა: „სული წმიდით აღივსება დედის საშობივე და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლის — მათი ღმერთის მიმართ. და უწინამძღვრებს მას ელიას სულითა და ძალით...“ ამრიგად, იოანე ნათლისმცემელი უნდა მოსულიყო ელიას „სულითა და ძალით“. ამ ეპიზოდებს სახარებიდან წმინდა მამები ელიასა და იოანე ნათლისმცემლის ღრმა სულიერი მსგავსებით ხსნიან, შტაინერი და სხვა ანთროპოსოფები კი — რეინკარნაციის თეორიით. საზოგადოდ, ქრისტიანობაში არსებობს შვიდი საიდუმლო (ნათლობა, ზიარება, მღვდლობა, მირონცხება, ქორწინება, ზეთისცხება, აღსარება). შტაინერი ნათლობის საიდუმლოს ახსნასაც კი ცდილობს თავისი ოკულტური თეორიებით, რაც სრული უაზრობაა. ყველაფრის ახსნა რომ შეიძლებოდა, სიტყვა „საიდუმ-



ლო“ საერთოდ არც იარსებებდა. „ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღმერთს“, ნათქვამია სახარებაში. რაც იმას ნიშნავს, რომ სულიერების რაღაც სფერო სასურველია იდუმალად დარჩეს, რათა ვერ ნაბილწონ უღირსებმა. გარდა ამისა, არც ადამიანია მზად ყველაფრის შესამეცნებლად. როგორც მაცხოვარი ამბობს, ის ყველაფრის ცოდნას „ვერ დაიტევს“. ამიტომ, ჩვენ გვეძლევა, მხოლოდ რაც სასარგებლოა ჩვენთვის. „თუ მინისა გითხარით თქვენ, და არ ირწმუნეთ, როგორღა ირწმუნებთ, რომ გითხრათ, ცისას?“ (სახ. იოანე. 3. 12). წმინდა მამები ბიბლიის ზოგიერთ ადგილს უკომენტაროდ ტოვებდნენ ხოლმე, მაგალითად, ეზეკიელ წინასწარმეტყველის მიერ აღწერილ ახალი იერუსალიმს. მიზეზი მარტივია, ახალი იერუსალიმის შესახებ ან ყველაფერი უნდა ეთქვათ, ან არაფერი. ისინი კი ამ შემთხვევაში დუმილს ამჯობინებდნენ, რადგან ზეციური ამბების მოსასმენად ჩვენი გონება არ იყო მზად.

ასე რომ, შტაინერის კომენტარები სახარების ტექსტთან დაკავშირებით წმინდა წერილზე ძალადობად და ფუჭ შრომად უნდა მივიჩნიოთ. სახარებაში ნათქვამია ის, რაც სასარგებლოა ადამიანის ცხოვრებისთვის, რაღა საჭიროა ზედმეტი ინტელექტუალური სპეკულაციები? ან რა სარგებლობას მოუტანს ადამიანს წარმართობისკენ შებრუნება? ქრისტიანობის უპირატესობას სხვა რელიგიებთან შედარებით XX საუკუნის ინდოელი გურუებიც კი აღიარებდნენ, ლექციების წასაკითხად რომ ჩადიოდნენ ამერიკასა და ევროპაში. მათი აზრით, რეინკარნაციის თეორიამ ინდოელები გააზარმაცა და მოადუნა. იმის რწმენამ, რომ ოდესმე — მესამე თუ მეათასე განსხეულებაში მაინც მივიდოდნენ ბრაჰმასთან, მათ ბრძოლისუნარიანობა დაუქვეითა. ქრისტემ კი, პირიქით, ადამიანს უკანდასახვევი გზა მოუჭრა. მან გარკვევით თქვა, რომ ამ ცხოვრებაშივე უნდა მოგვენანიებინა ცოდვები, რათა ღირსნი გავმხდარიყავით ცათა სასუფეველის. შემთხვევითი არაა, რომ ქრისტიანული ქვეყნები თვით ეკონომიურადაც კი



უფრო განვითარებულები იყვნენ და არიან, ვიდრე ბუდისტური, რადგან ქრისტეს მოძღვრება ადამიანის ხასიათზეც კი აისახა, მის ენერგიულობასა და ბრძოლისუნარიანობაზე...

ამრიგად, თვით სელინჯერიც ვერ გაექცა მწერლობაში არსებულ ზოგად ტენდენციებს, მანაც გაამდიდრა ორსაზოვანი პერსონაჟთა გალერეა ნათელი ფერებით დახატული თვითმკვლელი სიმორგლასითა და ვედანტას მოყვარული კათოლიკე მღვდლით უეიკერით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ეპოქაში ადამიანური ფასეულობების რღვევამ და სულიერმა გაორებამ უკვე სრულიად ახალი რელიგიური მიმართულებაც კი მიიღო.

იკაბანა

„I paint flowers so they will not die“  
ფრიდა კალო

მე ისე ვხატავ ყვავილებს, რომ არასდროს დაჭკნენ, არ მოიწყინონ, ან სურვილი არ შეიცვალონ, ვჭრი ოკრობოკროდ სინამდვილეს და ჭრელ-ჭრელ ნაჭრებს სულ მოულოდნელ, გაურკვეველ ფონზე ვანებებ.

ეს ყვავილები არ არიან მინდვრის ან ბაღის, არც ლამაზები. და ყვავილებს, ალბათ, არ ჰგვანან. მაგრამ მე ვარქმევ მათ სახელებს — ტიტა, ზამბახი, ია, რომელმაც იყვავილა ახლა სხვაგვარად.

ტილო იზრდება, ივსება და აწყდება სივრცეს, ყვავილები კი მრავლდებიან, როგორც ცოდვები, ცრემლი, სიცილი, ყველა ფიქრი, რაც გულში მიცემს, ნამები სევდის, სიხარულის ან გაცოცხების.

ვჭრი, ვაფერადებ სინამდვილეს და ყველა ნაჭერს ისე ვამსგავსებ ყვავილებს, რომ არასდროს დაჭკნეს.

ერიჰიკაბალ

ღამის დედოფალი, წყვილია მუფევი, იშთარის და ხარ და მე არა სინათლე, არა მღვიძარება და არა ხმაური, არამედ მომეცი სიმკრთაღი, სიმშვიდე, სიბრძნე და პასუხი.

პასუხი გუშინდელ დღეზე და იმაზეც, რაც ახლა მოხდება — დილის დადგომამდე. მომეცი ძალა, რომ დამეს შევეჩვიო, ღამეს შევურიგდე და დავყვი მის ნებას — მომეცი ძილი და იმ ძილში — სიზმრები, სიზმრები — უსაზღვრო წყვილია ქარები, ან ის ხომალდები, დილაზე ყოველგვარ ხილვებს რომ გვივსებენ, რომ გაგვიტაცებენ და მზის პირველივე სხივის შეხებისას რომ მიაკივლებენ სივრცეს და ახელენ იმ სიზმრის თვალებს და ამხელენ სურვილებს.

ღამის დედოფალი, წყვილია მუფევი, გამიღე ღამე და სახლში შემომიშვი — შენს სამფლობელოში.


ანტინელია

მე არ ვარ სელენე, არც შენ ხარ ზევსი და ნუ მიგლეჯ ცხოვრებას მილიონ ნაწილად. შენ არ ხარ ის, ვისაც ყველა გზას ვაჩვენებ, ვისთვისაც ყველა ღმერთს, ყველა მზეს დავთმობ და არც მე ვარ იქ, სადაც მშვიდია ზეცა და ოცნებას მიმართავ, მე არ ვარ ის, ვისაც ეძებ და ვერ ჰპოვებ, ვინც გტკივა უღმობელ და მუდმივ ჭრილობად — ყოველდღიური ვარ და ხელშესახები — ისეთი, როგორსაც არასდროს ნატრობენ, არასდროს ეძებენ, არ აღიარებენ.

მე შენი სიზმრიდან უეცრად ავიხდი — სულ რომ არ გეგონა, ისე და ხანდახან მე მგონი, იმ ჯერაც ბუნდოვან ხილვებში შემეგრძნობა.

და მინდა ზოგჯერ, რომ ხმამალლა მოგმართო: ჩვეულებრივი ვარ, ისეთი, როგორც შენც ხარ და ბევრი სხვაც, მაგრამ მე არა ვარ სელენე, არც შენ ხარ ზევსი და ვჩუმდები.

ქეთი ნიჟარაძე



ერთი ღლის ქრონიკა

ჩვეულებრივი დღეების უსასრულო ნუსხა ისევე კრავს ცხოვრებას, როგორც ზმნების სერიები და მწკრივები კრავენ გრამატიკას — როგორც ნოემ შეკრა კიდობანი და ჩვენ ერთ სივრცეში მოგვაქცია, სხვებს კი გული დანყვიტა.

ჩვენც გვწყვეტენ ხოლმე გულს დღეები, თუმცა, არც ისე ხშირად, რადგან მათ თვითონვე გვეგმავთ, ვაუღლებთ, ან ბრუნვამაც ვსვამთ — როცა სახელად ვაქცევთ, ან როცა ყოველდღიურობის მორგებას ვცდილობთ საკუთარ თავზე.

და ეს დღეები ბევრია — ერთნაირიც და სხვადასხვაც — შთამბეჭდავი, მოსაწყენი, ან სულაც დაუმასხვრებელი.

მაგრამ დღეს ჩემი კონტროლის ცენტრები, გავარვარებულ მზეს არიდებულნი, სურვილის ჩრდილში ნებივრობდნენ და გულის მეტყველებას აღარ ჰქონდა შემზარავი აკუსტიკა — ჩვეული ექო. ხოლო ის სიტყვები, აქამდე რომ გონებაში უშფოთველად თვლემდნენ, დღეს სევდად და გულახილობად მოანგნენ სხეულს. მოანგნენ და სურვილის ყვავილებად გამოიზარდნენ, ღიმილის ფოთლები გამოისხეს, კანის ზედაპირზე ამოვიდნენ, გაიშალნენ და მოწყენილობის ღარნაკს შეესივნენ, საიდანაც ჩვეულებრივი დღეების ერთნაირი საათები და უბრალო სიტყვები გადმოიღვარა.

აივსო ღარნაკი ახალი ყვავილებით, ახალი სიტყვებით, პირამდე აივსო და ირგვლივ ყველაფერი დატბორა, ადგილი აღარ დაუტოვა არაფერს — საკუთარი თავის გარდა.

და ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ გულის მეტყველებას დღეს არ ჰქონდა ჩვეული აკუსტიკა და ჩემი კონტროლის ცენტრები სურვილის ჩრდილში ისვენებდნენ.

გადაცემა

მე ვცხოვრობ ასე — შავ მასალას ვიღებ ყოველდღე დაუდევრად და უნებურად — ყველაფერს ვიღებ სწრაფად და მშვიდად, უსიტყვოდ და ზოგჯერ უხეშად და გრძელ ფირებზე ვშიფრავ დიდხანს, როცა დადგება სინანულის და ფიქრის სივრცე — ზამთრის გრძელი და ყინვანარევი ღამეები, თეთრი და რბილი — იმ სირბილით რომ ნერვებს გიშლის და ფიქრებს გიშლის.

შიში, დუმილი, სინანული უღმობლად ამხელს ყველა კადრს, ჩემში გამოგონილს, ან ხელშესახებს, და ვამონტაჟებ ისე ნელა, ისე გულდაგულ, რომ თითქოს უნდა ამოვშალო წარსულიდანაც და უსახური, ან გულგრილი დღეების ნაცვლად დამრჩეს ნამები უსასრულო ბედნიერების.

მერე დავხედავ საკუთარ თავს, როგორც დავყურებ ხოლმე ქუჩაში მიმავალ სხვას ჩემი ფანჯრიდან, ამოვისუნთქავ, ისე, როგორც ბავშვობის მიღმა და სარეკლამო ჭრებს შევავსებ მშვიდი დუმილით.

\*\*\*

შემოდგომაა ადრეული. ცივი ქარები იშვიათად თუ ქრიან, მაგრამ მაინც იგრძნობა — შემოდგომაა. კენტებს ცვლიან დღეები ღუნი, ზანტად ცვლიან და ჩვენც ზამთრისკენ მივქანებით.

შემოდგომაა — ასე შენ თქვი, შენ გადაწყვიტე და უნებურად შემახსენე წლები, გავლილი. შემოდგომაა, მაგრამ დღეებს მე აღარ ვითვლი — ქოლგას გავშლი და შეგიფარებ, ჩემზე უსუსურს. გადაგაფარებ თავზე ჭერს და მზით გამთბარ ღრუბლებს, ვერ შემოაღწევს სადაც შენი ზამთრის ნიშნები.

ასე დაგიცავ — საკუთარი სევდისაგან და იმ უსახური დღეებისგან, შენში რომ იწვევს მომავლის შიშს და

შიშს სიბერის,  
ხვალინდელი დღის,  
მონყენის შიშს და  
იქნებ უფრო — გარდაცვალების.

შემოდგომაა  
და დაღლილი შენი სხეული  
ჩალისფერ მინას ემსგავსება —  
სევდით გამომშრალს,  
მაგრამ არც ერთ დღეს აღარ გაცლი —  
კედლებს ავაგებ,  
ქოლგას გავშლი, ან  
შეგიფარებ ჩემივე ფრთებქვეშ.

**ელექტროტაბლო**

**„ხედავ იმ მიმართულებებს, მბრუნავ ასოებს ჩხა-  
კუნით რომ გამოყავთ ძველებურ ელექტროტაბლოზე?  
დუბლინი? კიოლინი? ტოკიო? შანხაი? ამსტერდამი?  
მადრიდი? ედინბურგი? კოლომბო? ოსლო? ბერლინი?  
ყველა ქალაქი შეკითხვაა?“**

ფრედერიკ ბეგბედერი

ყველა ქალაქი პასუხია, თბილისი — სახლი,  
ლონდონი — წვიმა,  
ამსტერდამი — ორქიდეები,  
პარიზი — გრძნობა, დამთხვეული, თავბრუდამხვევი,  
ვენა — მუსიკა,  
პრალა — ლუდი დიდი კათხებით.

მადრიდი — ცეკვა,  
რომი — მაინც კოლიზიუმში,  
ნიცა და კანი — შვებულება, მოსკოვი — თოვლი,  
პეკინი — ჩაი,  
ტოკიო — მზე ამომავალი,  
გვადალახარა — აცტეკები, ლიმა — ანდები.

თბილისი — სახლი, თბილი სახლი,  
ჩემი და შენი,  
თბილისი — მშვიდი გამგზავრება დაბრუნებებით,  
თბილისი — მზე და  
ქუჩა, სახლი, კიბე, ოთახი  
და ის სარკმელი, საიდანაც უყურებ ზეცას  
და თვითმფრინავებს —  
ყველა კითხვას რომ სცემენ პასუხს.

ყველა ქალაქი პასუხია.  
თბილისი — სახლი.

**სხვა**

ყველა ამბავი მოყოლილია,  
ყველა სიტყვა — ნათქვამი და  
ყველა ფრაზა — ნამღერი.  
ყველა სიმალღე დაძლეულია  
და ყველა გზა გავლილი.

მაგრამ ხომ შეგვიძლია,  
ხელახლა მოგვყვით ამბები —  
სიტყვებს  
მნიშვნელობა შევუცვალოთ,  
ბგერებს — მიმდევრობა,  
მიზნებს — მიმართულება  
და ზუსტად იგივე მოტივებით  
შევექმნათ ახალი სიმღერები,  
დავიპყროთ იგივე სიმალღეები —  
სხვა გზებით,  
სხვა ბილიკებით,  
ან სულაც უგზობით.

და გამოგვივიდეს საბოლოოდ სხვა ამბავი,  
სხვა ცხოვრება,  
სხვაგვარი სევდა.

და გავაჩინოთ  
ვერდაბადებული ბავშვები,  
ვთქვათ  
ვერწარმოთქმული სიტყვები,  
ვიკითხოთ  
ვერდანერლი წიგნები,  
ვიცხოვროთ  
ჩვენამდე ვერაღქმულ სამყაროში —  
ჩვენ შეგვიძლია.

გამომიყვანე საკუთარი დღეებიდან და  
ამხსენი ტკივილი,  
იქნებ სულ სხვა ამბავი გამოგვივიდეს და  
სულ სხვა ცხოვრება.



**როსკომ  
ჩხეიძე**

# „ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

— რას ნიშნავს თქვენთვის მაჩაბლის 13?  
— მაჩაბლის 13-ს ისეთივე ხვედრი ერგებოდა,  
როგორც თვითონ ივანე მაჩაბელს: მძაფრი და დრამატუ-  
ლი, მღელვარე და აუხსნელი.

ამ სასახლეს პაოლო იაშვილი უშოვიდა ქართველ მწ-  
ერლებს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან სიახლოვის წყ-  
ალობითა და იმ 25 თებერვლის გამოისობით, ქვეყანას სა-  
ბედისწეროდ რომ გაუხდებოდა.

გაიქცეოდა ამ სახლის მფლობელი, მრენველი აკაკი  
ხომტარია, და იმ ტრაგიკულ დღეს უპატრონოდ მიტოვე-  
ბულ შენობას ახალი პოლიტიკური რეჟიმი მწერლებს არ-  
გუნებდა. და თუ თავიდან ამ სასახლეში ლიტერატურუ-  
ლი თავყრილობანი იმართებოდა და ნამდვილი სულიერი  
გარემოც სუფევდა, — დამოუკიდებლობის წლების ინ-  
ერციით, ბოლშევიკების მომძლავრების კვალობაზე კი  
მაჩაბლის 13 გადაიქცეოდა ახალი ხელისუფლების დან-  
ამატად, სადამსჯელო ორგანოდ, მილიციისა და ჩეკას  
უფლება-მოვალეობებს რომ შეითავსებდა, შეიტკობდა  
და შეეზარდებოდა.

სამწერლო ყოფას პროლეტარული მწერლობა დაეუ-  
ფლებოდა თავით ბოლომდე და ღირსეული მოკალმენი,  
გოლგოთის ჯვრის მზიდავნი, აქა-იქდა თუ შემორჩებოდ-  
ნენ.

კომუნისტური რეჟიმის კბილების მორყევის კვალო-  
ბაზე მწერალთა კავშირის ძალაუფლება და მრისხანებაც  
შესუსტდებოდა, თუმცა გაქრობით რა გააქრობდა, და კვ-  
ლავაც დარჩებოდა ნამდვილი ლიტერატურული პროცე-  
სის გაყალბების ბუდედ, სულიერების დამახინჯებისა და  
მწერლის სახლის შეზღავნების საყუდრად.

— ხელისუფლებას სჭირდება მხოლოდ ქვემდგომი  
ფინაჩები. უხვად არიან. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო,  
— მიხეილ ჯავახიშვილი ძალიან რომ განიცდიდა საზა-  
რელი მარნუხების შემოჭრასა და უღირსთა აღზევებას,  
აკი თვითონაც უღმერთოდ გაინიერებოდა. და თუმცა  
მოგვიანებით ამოაღწეოდა მისი სახელი იატაკქვეშეთიდან  
და დაუბრუნდებოდა სალიტერატურო ყოფას, ახალ მიხ-  
ეილ ჯავახიშვილებს კვლავაც ყელში ექნებოდათ ნაჭერ-  
ილი ყულფი.

ადრე თუ ბერისა კუდებით მოფენილიყო მწერალთა  
სასახლის ოთახები და დერეფნები, ახლა ახალ და ახალ  
ხელისუფალთა და უშიშროების სამსახურის ქვემძრომე-  
ბით გადაივსებოდა.

ფერი ფერსაო...  
საბჭოთა რეჟიმის დამხობისათვის არც უნდა დაეცა-  
და მწერალთა კავშირად სახელდებულ ორგანიზაციას და,  
წესითა და კანონით, უკვე გამოეცხადებინა დაშლა და  
გზის გახსნა სამწერლო კლუბებისათვის — დასავლური  
სალიტერატურო ცხოვრების კვალობაზე; და 20-იან წლებ-  
ის დამდეგის საქართველოში აკვანშივე ჩაკლული  
კლუბური ყოფა აღედგინა და გაეგრძელებინა.

მაგრამ ამის გამკეთებელი ვინ იყო — მუხრან მაჭა-  
ვარიანი? კომუნისტური ხელისუფლების მიერ მოწყობილი  
დიდი სპექტაკლის გმირი, მწერალთა კავშირის ყრილო-  
ბაზე არჩევნები ძველებურად რომ გათამაშდებოდა და სი-  
ნამდვილეში კი ისეთ კაცს არგუნებდნენ თავმჯდომარე-  
ობას, ძალაუფლების წყურვილი რომ ამოძრავებდა და არა  
ლიტერატურული ინტერესები, და ძალიან დააზარალებ-  
და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას იმ ძველი, საბ-  
ჭოურ-კავშირული სულის შენარჩუნებით ამ სასახლეში,  
კვლავაც ინტრიგების საუფლოდ რომ დატოვებდა.

სახელმწიფო გადატრიალება, ცხადია, ისევ ისე შენ-  
არჩუნებდა იმ ნაცად ხაზს... და თუმცა ამასობაში გამო-  
ოიკვეთებოდა მწერალთა გაერთიანება „ოტარიდი“,  
როგორც სიახლის დამკვიდრების მოსურნე და გზის  
გამკაფავი საკლუბო ყოფისათვის, სამწუხარო რეალობა  
ის აღმოჩნდებოდა, რომ ამ წამოწყების მეთაური თამაზ  
წიგნივაძე თვალსადახელშეა გარდაიქმნებოდა და, მწერ-  
ალთა კავშირის თავმჯდომარეობისაკენ რომ გაიკაფავა-  
და გზას, თავგადადებულ დამცველად მოველინებოდა იმ  
ძირმომპალ გარემოს, რომლის რეფორმირებასაც ცდი-  
ლობდა სულ ცოტა ხნის წინათ.

თურმე მოჩვენებითად.  
და გარეგნულად მწერლობის გადამჩენის სახელს

რომ დაიჩემებდა და თითქოს მწერლის ღირსების შესან-  
არჩუნებლად იღვწოდა, სინამდვილეში თვითონვე  
დააკნინებდა მწერლის ავტორიტეტს და სამასხარაოდ  
გადააქცევდა ღირსეულთა დევნით, უღირსთა ხელშეწყ-  
ობითა და ხელისუფლების დიტირამიკოსობით.

ამ მოვლენის კვალზევე შექმნილი ჩემი მხატვრულ-  
დოკუმენტური თხზულება — „ოტარიდი: მიზნები,  
ამოცანები, კრახი“ — გარდა სატირული სულისკვეთები-  
სა, იმ მწვავე ტკივილებითაც გაიჭლინებოდა, რაც  
ყოველთვის მოსდევს იმედების გაცრუებას.

მაშინ ველარც იფიქრებდი, თუ უარესიც იყო მოს-  
ალოდნელი.

მაგრამ თურმე ამის მხილველნიც უნდა გავმხდარიყავ-  
ით მაყვალა გონაშვილის გათავმჯდომარებით, და პრო-  
ლეტარული მწერლობის ნაშიერნი რომ დაეუფლებოდნენ  
მწერალთა კავშირს და მაჩაბლის 13-საც დაიჩემებდნენ  
(თითქოს ნამდვილი მწერლები, სხვადასხვა სალიტერ-  
ატურო კლუბში გაერთიანებულნი და ქართული სამწერ-  
ლო პროცესისა და რანგის განმსაზღვრენი, არც არსე-  
ბობდნენ), ხელისუფლებას ისე შეეზარდებოდნენ და ისე  
ჩაუსხდებოდნენ ნავში დამპატიჟებებით, თამაზ წივ-  
ნივაძის ხანა ლამის სანატრელიც კი შეიქნებოდა.

კიდევ კარგი მაჩაბლის 13-ს მაინც აღარ შეაბლა-  
ლინებდნენ, დუქნად აღარ გადააქცივინებდნენ და ერთ  
დღესაც იქიდან გამოიკავდნენ ამ თვითმარქვია კალ-  
მოსნებს.

— როგორ წარმოგიდგენიათ მწერალთა სახლის მო-  
მავალი?

— რაოდენ სამარცხვინოა, რომ ის, რაც უნდა მომხ-  
დარიყო ამ 24-25 წლის წინათ, ჯერაც მოუგვარებელია  
ოფიციალურად, თორემ სამწერლო ცხოვრება თავისი  
გზით მიედინება და ნამდვილი რედაქციებისა თუ გამო-  
ცემლობების ირგვლივ თავმოყრილი მწერლები ქმნიან იმ  
მხატვრულ ღირებულებას, დასავლური სალიტერატურო  
ცხოვრების უშუალო მონაწილენი რომ შევიქნებით ადრე  
თუ გვიან.

ადრე — თუ ხელისუფლება უხეშად აღარ ჩაერევა  
ჩვენს ყოფაში და კლუბურ მოძრაობას ხელოვნურად  
აღარაფერი დააბრკოლებს.

გვიან — თუ მწერლებად თვითგამოცხადებული, ხე-  
ლისუფლებას შეზრდილი (კავშირელის თუ არაკავშირე-  
ლის ანუ ტელემწერლის) ადამიანების გადასაწყვეტი იქნე-  
ბა ქართული წიგნის ბედი.

მწერალთა სახლს მაინც დაუბრუნდეს თავისი ღირსე-  
ბა.

სასიკეთო მინიშნებად გაისმა, მაჩაბლის 13-ის მთავარი  
დიასახლისი ნატა ლომოური თამარ ღონდაძესთან  
საუბრისას — „მწერალთა სახლი — სულიერების კერა“  
— მკაფიოდ რომ გამოხატავდა, ეს სახლი მთელი ქართუ-  
ლი მწერლობისაა და არა მისი ერთი რომელიმე უჯრედ-  
ისო, და თვალნათლივად გამჟღავნდებოდა ისიც, რაოდენ  
სწორად აქვს გააზრებული ქალბატონ ნატას ამ შენობის  
მომავალი („ჩვენი მწერლობა“, 2012, 25).

მწერალთა შეხვედრებისათვის.  
ლიტერატურული თავყრილობებისათვის.  
და ცრუმწერლები თავისთავად გაილაღებინა, სარფას  
რომ ველარ დაიგულევენ.

მთავარია, ეს სურვილები რეალობად იქცეს და ხელოვ-  
ნური ჩარევით არ დაბრკოლდეს თუ გაყალბდეს, თორემ  
ბევრი მოგვისმენია მზურვალე დაპირებანი, ზოგი თუ არა-  
გულწრფელი, ზოგიც საცხებით გულწრფელი, აღსრულე-  
ბა რომ არ ეწერათ.

ეგაა, მწერალთა კავშირელებსა თუ ტელემწერლებს  
პამპულაობის საშუალება აღარ უნდა მიეცეთ, აღარც დემ-  
აგოგიისა და ქართველ კლასიკოსთა სახელით სპეკუ-  
ლაციისა, რათა ისტორიულ მოგონებადღა დარჩეს, რომ  
ხელისუფლებას მხოლოდ ქვემდგომი ფინაჩები სჭირდე-  
ბა.

ქართული მწერლობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა  
გაემიჯნოს ხელისუფლებას, ჩამოეხსნას მის ნავში ძრო-  
მიას და თავხესაყრელ ეროვნულ და ლიტერატურულ  
საქმეებს მიხედოს.

დღეს ფინალია. მთელი თვე ემზადებოდა ამ დღისთვის ქალაქი. საღამოს რვა საათზე გამარჯვებულს ხალხი აირჩევს. მთავარ მოედანზე დამონტაჟებული მონიტორის წინ სარიტუალო მომსახურების ბიუროდან ნაქირავები მაგიდებია ჩალაგებული. ქუჩებში დილიდან დაჰქრია მანქანებით ფინალისტების გულშემატიკერები და თავიანთი ფავორიტების სახელებს გაჰყვირიან. ნავარაუდევია ამინდის პროგნოზი გამართლდა — დილიდან ბარდნის, თუმცა სისველის გარდა ჯერ არაფერი დაჰჩნევია ვინას.

კონკურსანტებს ღელვა ეტყობათ, კუთხეებში მიყუჟულენი რვეულის ფურცლებზე ლამაზად გამოყვანილი ასოებით დანერილ ტექსტებს დასცქერიან და კითხვას ტუჩის მოძრაობას აყოლებენ. „მოვედი“ ანუ ეთერში ვართო, ანთქა ოპერატორმა და ეკრანზე შავ კოსტუმსა და ბაფთაში გამოწყობილი ნამყვანიც გამოჩნდა, მაყურებელს კიდევ ერთხელ წარუდგინა ფინალისტები, შემდეგ კი ისეთი ხმით გამოაცხადა რეკლამაზე გავდივართო, თითქოს საშოვარზე მიდიოდა და დღის ბოლომდე აღარ აპირებდა მობრუნებას. ნამყვანი მობრუნდა, მაგრამ მალევე დაემშვიდობა მაყურებელს, ახლა კონკურსანტებს ვუთმოვებ ეკრანს, წარმოთქმული სადღეგრძელოების განმეორებით მოსმენას და ხმის მიცემას მთელი დღის განმავლობაში შეძლებთ, ზუსტად რვა საათზე კი დაგიბრუნდებით, გამარჯვებული დაგვლოცავს და სუფრა გაშლილი დაგვახვედრებთო.

„ქართულ ქალს გაუმარჯოს, ნამდვილ ქართულ ქალს! თამარის მოღერებულ ყელს, აქა ვარ ძიანო, რომ დაიძახა, ქეთევან დედოფლის დაშნათულ ძუძუს და ჩემი დედიკოს შრომით დაღლილ ხელებს გაუმარჯოს!.. ჩვენი შვილების დედებს ვადღეგრძელებ, ჩვენს საყვარელ მეუღლეებს, მათ გარეშე ერთი დღეც ნუ გვაცოცხლოს ღმერთმა!

თითქოს ურო დამკრეს თავშიიიი, თითქოს პაპაჩემი ცხონდაააა, ათას... სურნელოვან... შვავში, ბაღას... ქალის სუნი ჰქონდა!

ქედს ვიხრი ჩვენი მანდილოსნების წინაშე,“ — შუახნის მამაკაცმა სქელი კისერი და შემღვრეული თვალები დაბლა დახარა.

„მურ-თა-ზი, მურ-თა-ზი!“ — ქუჩიდან ბუნდოვნად შემოესმა შვილის მეგობრების გამამხნევებელი შეძახილი. „მამაძალღები“ — სიტბო ჩაეღვარა გულში.

\*\*\*

„მოჰოჰო! სადღეგრძელოებში მაგრები არიან... ჩემი უბედური ბიჭი, რას შესწირა თავი!“ — ქალმა ტელევიზორი გამოართო, ფანჯრიდან მტვრის ტილო გადაბერტყა და კუთხეში მიმდგარ პატარა მაგიდას მიუბრუნდა. ჯარისკაცის ფოტოების დამტვერილ ჩარჩოებს ისეთი რუდუნებით უსვამდა ტილოს, თითქოს შუბლზე თმას უსწორებდა თავის ერთადერთ ბიჭს. შანდალი სანთლის ნამწვავებისგან გაასუფთავა, გადასაფარებლის ქვეშ გადანახული კუპიურები გამოაჩინა და რძალს გაუწოდდა: — გუშინ ბიჭები იყვნენ ამოსულები და 200 ლარი დატოვეს, ამჯერად ეს იყოსო. — დედა, ძალიან გათხოვ, შემდეგ ჯერზე აღარ გამოართვა, — ხათუნა ასე არასოდეს გაუღიზიანებია ქმრის მეგობრების ყოველთვიურ შემწობას.


— რატომ, დედა? ვალადა კი არ გვაძლევენ, შენი ქმარიც ასე იყო გადაყოლილი ყველაზე. — მესმის, მაგრამ მუშაობა დავინწყე, პაციენტებთან სახლშიც ვივლი, დახმარებასაც ვიღებ და როგორმე გავიტანთ თავს.

არცერთი დღესასწაული ავიწყებოდათ ქმრის მეგობრებს, ამოვიდოდნენ, სასმელ-საჭმელით, აი, ჩვენი ძმის ხსოვნას ასე რომ იწახავ, იმიტომ გცემთ პატივსო. კარებთან მათი ხმაურის გაგებზე, დედამთილს გასძახებდა, გააღე, ბიჭები არიანო, სწრაფად შეისხინდა ჭრელ ხალათს და ორ წუთში შავი კაბით დაბრუნდებოდა დიდ ოთახში. ხანდახან ეგონა, იმ ყოველთვიურ შემწეობას სწორედ შავი კაბის ტარების, შეკრული თმისა და გაუქარვებელი სევედის გამო უტოვებდნენ. საავადმყოფოში ექთანად მუშაობის დანყება მხოლოდ ერთი ფერი დაუმატა ხათუნას ცხოვრებას, გადაიცვამდა თეთრ ხალათს და ეგონა, მზით იხსებოდა მისი

სხეული. „მარიამის გულისთვის, გარეთაც უნდა გაიხადო შავი, ახალგაზრდა ქალი ხარ და ცხოვრება წინაა, ჩემი ნუ მოგერიდება“, — რამდენჯერმე უთხრა კახას დედამ, მაგრამ ხათუნას არ ეყო გამბედაობა.

სკოლის დამთავრების შემდეგ მალევე დაქორწინდნენ. უსაზღვრო ბედნიერების განცდისთანავე მისი დაკარგვის დაუძლეველი შიში გაუჩნდა ხათუნას. ომამდეც ხშირად გაუტაცია ფიქრს — ნეტა ჯერ მე მოვკვდები თუ ის? ორივე სცენას თვალნათლივ წარმოიდგენდა და ისე შეებრალებოდა მის კუბოსთან მდგარი, მხრებანურული ქმარი, რომ სიყვარულით სავსე გულით პირველად მაინც კახას წასვლას ამჯობინებდა. მერე წარმოიდგენდა, როგორ ეყვრ-

მარცხი, ბედნიერება და უბედობა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ მას მერე კახა თითქოს საკუთარ სიკვდილშივე დაადანაშაულა, იქნებ მეტად რომ ეფრთხილა და ამათთის თავი არ გაეწინა, დღეს ცოცხალი ყოფილიყო და ღვთის ანაბარც არ დაერჩინილიყავით სამი ქალი. აღარც გამომშვიდობების დღეს იხსენებდა განსაკუთრებული ტკივილით. ომამდე ერთი თვით ადრე ყაზარმდიან ფეხი არ მოუცვლია კახას, სახლიდან ბოლო წასვლისას ხათუნას მუცელზე ხელები დააწყო, ჭიპზე აკოცა, რალაც ჩასჩურჩულა მუცელად მიყოფ მარიამს და ქალებს დაუბარა — აბა, თქვენ იცით, მიხედეთ ერთმანეთს, თუ რამეა, ბიჭების ნუ მოგერიდებათო. სულ ეს იყო!



ებოდა მკვდარი ქმრის ნაკვთებს, როგორ უკოცნიდა უმოძრაო, ცივ ტუჩებს და როგორ იღლაბებოდა ცრემლის მიღმა სამიძიარზე მოსულთა სახეები. არაფრით ჰგავდა დაკრძალვის დღე მის შავ-თეთრ ფიქრებს — მკვდარი ქმარი ხათუნას არ უნახავს, რკინის ყუთი გამოიტირა, სამიძიარზე მოსულ ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებს კი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, იმახსოვრებდა და საღამოს კიდევ ერთხელ ჩამოთვლიდა გონებაში — ის იყო, ისინი ალბათ დაკრძალვის დღეს მოვლენ, გვირგვინი განა რა დაუჯდებოდათ?!

მას შემდეგ რამდენჯერ გამონათებია უსაფუძკლო იმედი, იქნებ სულაც სხვა ჯარისკაცი იწვა კუბოში, იქნებ კახა სიკვდილს გადაურჩა და ცოცხლად ვგლოვობ ქმარს! მერე ბებია გაახსენდებოდა, ჭრელკაბიანი ქვრივი, სიცოცხლის ბოლომდე ერთი დღეც რომ არ უგლოვია ომიდან შინმოუსვლელი ქმარი. სიკვდილის წინაა აღმოხდენია, ცოცხალი რომ ყოფილიყო, აქამდე კი მოვიდოდაო.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთადერთხელ, მარიამის დაბადების დღეზე, გადაწყვიტა შავის გახდა. შიფონის ღურჯი კაბა გადმოიღო კარდიდან — ცისფერი კესანეებით. ვეღარ შეავსო, მაგრამ შერჩენილმა ძველმა სურნელმა გაუთბო გული. იმ საღამოს გრიშა ფოსტალიონმა მოსაწვევე მიუტანა. აღლუმზე მიიპატიჟეს, როგორც ჯარისკაცის ქვრივი. ისევ მოაკობტავა შავები და მარიამთან ერთად თბილისში გაემგზავრა. უკან დაბრუნებულმა ჭრელი კაბები კიდევ ერთი თართი ქვემით გადაიხარა.

იმ დღის მერე ხათუნას კიდევ უფრო ჩაუქრა თვალები. ხშირად ახსენდებოდა აღლუმს და ერთ რიგში ჩამსკრებივლი ახალგაზრდა ქვრივები, ადრედაქალბუღლი გოგონები თავიანთი ადრედაბრძენებული შვილებით. იმ დღესაც ცრემლმა დაუბინდა მზერა, გაიღლაბა გარემო და მხოლოდ ხმები შემორჩა მესხერებას: ორკესტრის ხმა, მარიამის შეძახილი — „შეხედ, რამდენი მამიკოები მოდიან“, მაკაცის ხმა ტრიბუნიდან — „თქვენისთანა ქალები სჭირდება ჩვენს სამშობლოს!“ ვერაფრით გაეგო, აღლუმზე მიწვეული დანარჩენი ქალები რატომ გამოიყურებოდნენ უფრო ლამაზად და ბედნიერად, რატომ შესცქეროდნენ სიბრაღლით შავოსთანა მწკრივს, რატომ იყო მათი გმირი ქმრების ადგილი ზეციურ საქართველოში და რითი დაიმსახურეს იმათიანებმა მინიერი ბედნიერება. იმ დღეს თითქოს ერთ მოედანზე შეხვდა ერთმანეთს გამარჯვება და

ხათუნა სამსახურში წასასვლელად გამზადა, კარში გასვლისას მარიამმა პლასტილინი ახლადგამოძრნილი ჯარისკაცი მიუბრუნინა. პლასტილინის ფიგურა ჯერ კიდევ თბილი იყო და ალაგალაგ პანია ნათიფურები ეტყობოდა, კიდევ ერთი ჯარისკაცი შეემატებინა პიანინოზე ჩამსკრებივლი კოლექციისთვის: — დე, ნახე, მამა!

- დედი, ეს რა აქვს მხარზე? — ჯარისკაცის ფორმა აცვია.
- და, თოფი?
- თოფი? თოფი არა აქვს, ხო მომკვდარია და თოფი რომ ჰქონოდა, ხო ცოცხალი იქნებოდა, ჰა, დე, ჰა?

ხათუნამ პასუხად მარიამს შუბლზე აკოცა, დედამთილის გამზადებული სადილი ქილაში მოათავსა, თავსახური მაგრად მოუჭირა, სველი ხელები შავ პალტოს დაუსვა და ქმრის სახელობის ქუჩით გზას საავადმყოფოსკენ გაუყვა.

\*\*\*

ფოსტის წინ მონიტორთან შეკრებილებს სუფრა გაეშალათ, ერთმანეთს სახლში დანურულ ღვინოს აგემოვნებინებდნენ და თან დათოვლილ თონის პურსა და გუდის ყველს აყოლებდნენ.

— მურთაზი არის კაცი! იმ ლანირაკმა როგორ უნდა აჯობოს? დათიკოს დრო წავიდა. მისცეს, ძმაო, ახალგაზრდებს გასაქანი! მაგის გარეშე ჭიჭა არ გაჭახუნდებოდა ქალაქში, მაგრამ ახლა ჩამოქაჩა. ხანდახან თავს და ბოლოს ვერ გაუტეგ მავის ნათქვამ სადღეგრძელოს! — მერი-ქიფობა აეღო თავის თავზე ტყავის ქურთუკიანს.

— იმ ლანირაკს რას ერჩი, სიტყვა-პასუხი არ ემულება. ა, ბატონო! არაფერი ვამბობ წინასწარ, რალა დარჩა... — პირზე ხელი აიფარა ლურჯქუდიანმა.

ეკრანზე ავთანდილი გამოჩნდა, კონკურსის ყველაზე უმცროსი მონაწილე. თავისუფლად თემადა კაცობა აერჩია. ერთი ხელი შვრელის ჯიბეში ჩაედო, მიკროფონიანი ხელის იდაყვი კი მაღლა აენია და ხმამალა გაჰყვიროდა: „დღეს დილით მამა ზადენმა დამლოცა და კურთხევა მომცა, რომ თქვენს წინაშე გამოვსულიყავი და კაცობის სადღეგრძელო მეთუქა, კაცობის და არა — კაცობის! ძმებო, როგორი ქალაქიც ჩაგვაბარა ჩვენმა მამა-პაპამ, ისეთივე დავუტოვოთ ჩვენს შვილებს, თორემ ის ჩინელი, ფოსტის გვერდით მაღაზია რომ გაუსხნია, ხვალ მთელ ქალაქს დაუპატრონება. რაც მე ვერ დაგლოცოთ, მაღალმა ღმერთმა

დაგლოცოთ!“ — ავთანდილმა ჭერს ალაპერო თვალები. ქუჩაში გამოსული მაღაზიის მეპატრონე მონიტორის ქვეშ შეკრებილებს დიმილით შეჰყურებდა. „წიპაუ, როგორ ხარ, როგორ?“ — მხიარულად გასძახეს გულშემატიკერებმა. „ლარივით“ — ბიჭებს უსწავლებიათ წვრილთვალა კაცისთვის.

\*\*\*

„ბზებში მოყვნილია, ჯიბეებში ხელებჩანყობილმა არ იარო. დღეს მამაშენი ჩამოდის, დროზე მოდი სახლში“. დედის ყვითელი ბარათი სანდროს საწოლის თავზე დახვდა მიკრული. მაცივარი გამოაღო, წარმოსახვითი გიტარის დაკვრა ერთი წამითაც არ შეუწყვეტია, ისე ფიქრობდა საუზმეზე. ტელეფონმა დარეკა, დათუნა იყო.

— ჰოო, არ წავსულვარ სკოლაში, მოყვნილია და დამეზარა... ამო მერე, ელაპარაკე უპეე? მაცივარ დაბრო ხო მოგცა? ჰოდა, რა გიტყვდება? ჰაჰაა, ასე როგორ ავიხსნა, ამო რა!

ათ წუთში კარებზე დათუნას ზარის ხმა გაისმა. — ჰაა, მოხვედი ბიძასთან? — ჯიბიდან ხელები არ ამოუღია სანდროს — ბიჭო, თქვენ გიყვები ხომ არ ხართ? გუშინ ნიკუშაც დამადგა. მე რა, მასწავლა ვინმე? — რატომ არ ამბობ, პირველად ვის აკოცე?

— აუ, ძმურად სახელს ვერ გეტყვი, დიდა, ამ უბნელი არ არის, და მეორე და მესამე არ გაინტერესებს?

— მაინც არ ამბობ და!.. — კაროზე, მისმინე, არ კითხო, შეიძლება გააკოცო და რამე ეგეთი სისულელეები, თვალეშიც ძაან არ უყურო, გაუტყდება მერე. სახეზე მოეფერე და რავი, აკოცე რა, ძაან კბილებშიც ნუ დაეტაკები, ჰაჰაჰააა! — გავედი რა, ნახევარზე უნდა შეგვვდე ფოსტის უკან, — სულაც არ ეციინებოდა დათუნას სანდროს ნათქვამზე. — აბა, შენ იცი, ძმაო, — თავში წამოარტყა მეგობარს, ისე, როგორც მამა წათქებდა ხოლმე და მოგვესწორო, დედას გახედავდა ღმილითო.

— ეეე, დავაი, რა! ბიჭო, არ დაგავინყდეს დაუშესიჯე იმ უბედურს, იქნებ მოიგოს.

სანდრომ საწოლის ქვეშ დამალული სიგარეტის კოლოფი მოიძია, აბაზანის პატარა ფანჯარა გამოაღო და გააბოლა. ვერადავერ გამოუტყდა ოლიკოს, რომ ეს მეგობრობა სულაც იმისთვის იყო მოგონილი, რომ მეტად დაახლოვებოდა. ერთი სული ჰქონდა, ყველა კლასელი ბიჭისთვის გაელამაზებინა ცხვირ-პირი, ვინც კი ოლიკოს მიუახლოვებოდა. თუმცა რითი ემართლებინა მერე თავი?! ამიტომაც მეგობრულ რჩევებს აძლევდა. „ის იმას აეჭვიანებს და იმიტომ გემეგობრება“ ან „იმასთან რა გაქვს საერთო, შენ სხვანაირი გოგო ხარ“.

სალამობით მამის ჩამოსვლა ძალიანაც არ ახარებდა, თითქოს მორიგედა დედასთან, რომ სკოლაში წასვლას ხშირად სახლში დარჩენა და წიგნის კითხვა ერჩინა. დედაც გადანწევდა ფარდას, ახედავდა ფანჯრიდან ცას და ეტყობოდა — „იყავი დღეს სახლში“ და გულდაამტვირთული ნავიდოდა სამსახურში. საღამოსთვის სანდრო წიგნში სანიშნეს ადგილს გადაუნაცვლებდა და სულ ეს იყო.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ძიხვი და პური გამოიღო და თავისი ოთახისკენ გაუყვა. „ნუ გეშინია, არ დაიკარგები ამ სახლში და ნამცეცხებით არ გამოხდები მოსაძებნი“, — ყოველთვის ბრაზობდა დედა თეფშის გარეშე საძინებელში გატანის საჭმლის გამო. ნახევრადმოშეული ქალის პლაკატზე დედას ყვითელი ფურცელი მიეკრა: „რა გაგისხდა მათემატიკის გამოსწორება. იმეცადინე თუ გიყვარვარ, შენი ადრინაა ღმერთი“. სანდროს გაეღიმა, სახლში მოფენილი ყვითელი ბარათები ხან ნერვებს უშლიდა, ხან კი ძალიან ართობდა. პირსაბანთან დღეს ახალი ბარათი დახვდა: „კბილებიმიტყე!“ აბაზანის პატარა ფანჯარასთან სიგარეტის მოწვევაში შემჩნეულს კი: „სანდრო, მანდ არ მომიყვანო!“. ახლადგაპრიალეულ ფეხსაცმელს საცხის სუნი ჯერ კიდევ შერჩენოდა. „იცოდე, ეს ყვითელი ბარათები უკან მოგრჩება და ნითელ ბარათს გამომტყუებ!“ — ბრაზობდა დედა, ვერაფრით რომ ვერ მიაცივია 15 წლის ბიჭი საკუთარი ფეხსაცმლის მოწვრივებას.

დედაზე დიდი მეგობარი სანდროს არ ჰყავდა, მაგრამ მასაც ვერ უმხელდა, როგორ ხიბლავდა ოლიკო. აქით თუ მოს-



# გვირილების დედამისა

ვუძღვნი ნინია ნადირაძეს

სიზმარი, რომელიც არ გავიწყდება, ახდება.

**ავტორი**  
ერთხელ ერთმა ბრძენმა დაიძინა და დაესიმზარა, რომ ფუტკარი იყო, რომელიც ყვავილიდან ყვავილზე დაფრინავდა. როდესაც ბრძენმა გაიღვიძა, დაფიქრდა, ვინ იყო სინამდვილეში: ფუტკარი, რომელსაც ესიზმრებოდა, რომ ბრძენი იყო თუ ბრძენი, რომელსაც დაესიმზარა რომ ფუტკარი იყო.

ძველი აღმოსავლური სიბრძნე

მრთი დღესაც, როდესაც თხუნელამ გაიღვიძა, აღმოაჩინა, რომ ირგვლივ ყველაფერი გვირილებით იყო დაფარული. მართალია, თხუნელას თვალები საერთოდ არ ჰქონდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა აღქვას, რაც დედამისაზე მის გარშემო ხდებოდა. ულამაზესი სანახავი იყო გვირილებით დაფარული დედამისა. გვირილები იყო მანქანებზე, კორპუსებზე, მეტროში, გზაზე, მინდორზე, ტანსაცმელზე, ფეხბურთის ბურთიც კი გვირილებიანი იყო. განსაკუთრებით გენიალურად გამოიყურებოდა გვირილებიანი ძეგლები. მთელი ქალაქი კი არა, მთელი სამყარო გვირილებში ჩაფლულიყო. ირგვლივ სასიამოვნო სურნელი იფრქვეოდა. აბა, წარმოიდგინეთ, გვირილებით მორთულ სადარბაზოს რომ გაივლით და ლიფტს დაელოდებით, გვირილებიანი კარი გაიღე-

ბა და იქიდან გვირილა გოგო ძაღლს გამოიყვანს გასასვირებლად, რომელსაც გვირილების ალიკაპი აქვს. თხუნელას გვირილებიანი გაზის მრიცხველი, ყურსასმენი და გვირილებიანი ტელევიზორი ჰქონდა, გვირილებიანი აიბოლზე კი გვირილების თემა ეყენა.

თხუნელა ფიქრობდა, რომ ხალხი ბედნიერი გახდა. ადრე ყველას ეგონა, რომ ბედნიერება მხოლოდ ის იყო, როდესაც ფულის წვიმა მოდიოდა, მონეტებით სავსე აუზი ან ოქროს ქოშები და უნიტაზი ჰქონდა კაცს. ეხლა კი ხალხი მიხვდა, რომ ბედნიერებაა, როდესაც სამყარო გვირილებით იფარება. წვიმაც და თოვლიც გვირილების დედამისაზე გვირილების მოდიოდა ხოლმე და მიუხედავად ამდენი გვირილებისა, ყველაზე საუკეთესო საჩუქარი გვირილებიანი ადამიანებს შორის სწორედ გვირილების თაიგული იყო. ადამიანები უფრო კეთილები გახდნენ და ისინი ერთმანეთს ყოველდღე გვირილებს ჩუქნიდნენ. სახლის ფანჯრიდან ჩანდა გვირილებიანი ლამპიონები და ესტაკადები. ბინებში გვირილებად იქცნენ ავტობუსის გაჩერებებიც, გაჩნდნენ გვირილებიანი დინოზავრები, რომლებიც გვირილებიანი ველოსიპედით დადიოდნენ სამსახურში. როდესაც გვირილებიანი ქალაქი ნაზი სიო შეეფინებოდა. გვირილები თავს დახრიდნენ და ერთმანეთს ესიყვარულბოდნენ ხოლმე. სამყარო შეიცვალა. გვირილებიანი კონტროლიორები ავტობუსებში გვირილებიანი ბილეთებს ამონებდნენ. მხიარული და სიყვარულით სავსე გვირილებიანი ქუჩებში გვირილიანი პეპლები და ადამიანები დანარჩენებდნენ. თხუნელაც ბედნიერობდა.

თხუნელა რისი თხუნელა იყო, თუ სადღაც მინის ქვეშ არ მოუნდებოდა

შეძრომა. ჰოდა, ერთხელაც ჩაძვრა მინაში. დედამისაზე გვირილების ქვეშ მინა კი არა, სულ წიგნები იყო. თან მონური და ყალბი კი არა, აი სულ ნარჩევი — გენიალური წიგნები. იჯდა თხუნელა ქვემოთ და კითხულობდა და კითხულობდა და როდესაც დაიღუბოდა, ამოვიდოდა ზემოთ და ტკბებოდა გვირილებით. გვირილებში ჩაფლულ დედამისას ისე არაფერი უხდებოდა, როგორც ერთი ჭორფლიანი გოგო. გოგოს მუქი მწვანე თვალები ჰქონდა და სიცილის დროს ლოყები ეჩხვლიტებოდა. თხუნელამ რომ დაინახა ჭორფლიანი გოგო, შეუყვარდა, მაგრამ გვირილებიანი გოგოს როგორ შეუყვარდებოდა თხუნელა, ის ხომ თხუნელა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ თხუნელას უყვარდა გოგო და გოგოს — არა, სამყარო მაინც ორმაგად ბედნიერი იყო.

ამ საამო სიზმარში იყო დათვი გართული, რომ გამოეღვიძა. სიზმრიდან გამოერკვა და ირგვლივ მიმოიხედა. მიხვდა, რომ იგი არც თხუნელა იყო და არც დედამისა დაფარულიყო გვირილებით. ბუნაგიდან გამოვიდა და უღრან ტყეს თვალი მოავლო. მელია ქათმებს ჭამდა, მღრნელები ბოსტანს აჩანაგებდნენ, დათვები ფუტკრის სკებს შეექცეოდნენ, გეარდები ირმებს ემტერებოდნენ, ნიანგები ქურციკებს ერჩოდნენ. ზვიგნები ადამიანებს ესხმოდნენ თავს. მონადირეები ცხოველებს ხოცავდნენ... მოსწყინდა დათვს ამის ყურება, ვინაიდან ცივი ზამთარი ჯერ კიდევ გასული არ იყო, ისევ თბილ ბუნაგში შეძვრა და ტკბილი ძილი გააგრძელა. სიზმარში ჩაიძირა — ვითომ თხუნელა იყო და გვირილებით დაფარულ დედამისაზე ჭორფლიანი გოგო უყვარდა. დედამისის ქვეშ კი წიგნები იყო...

## ლევან გელაშვილი

# ჯაგარანარბიანი კაცი

ერთხელ დიპლომატთა საერთაშორისო ყრილობაზე მივდიოდი. მატარებლის დაგვიანების გამო აეროპორტში მისვლამდე სადგურში მომიწია რამდენიმე საათი ლოდინი. ის იყო, მარმარილოს სვეტებთან მოსაცდელ სკამზე ჩამოვჯექი და გაზეთის კითხვას შევუდექი, რომ უკნიდან დაბალ ხმაზე ვიღაც უცნობმა მონოლოგი დაიწყო. რაღაც ისტორიას ჰყვებოდა, რომელიც ბოლომდე ვერ მოვიხსენიე მატარებლის ჩამოდგომის გამო. სასწრაფოდ კუპეში ავედი. მგზავრობის დროს მოსმენილი ისტორია რვეულში ჩავიწერე და იმის მეორე აღარც გამხსენებია. მრავალი წლის შემდეგ, სახლის გაყიდვის დროს ავეჯის გადაადგილებისას ეს რვეული ხელახლა აღმოვაჩინე და ნახევრად დაცარიელებულ ბინაში კითხვას შევუდექი. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ. სამწუხაროდ, ისტორიის ავტორი სახეზე სრულიად არ მახსოვს.


ტა ლოგინიდან, შევარდა აბაზანაში, სახეზე ცივი წყალი შეისხა და აივანზე გავარდა. ნოტიო ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და დაბლა გადაიხედა. დომინოს მოთამაშე უბნის კაცებს თხუნელებზე ხედავდა, რომლებიც გირჩით ერთობოდნენ. კაცმა გადაწყვიტა, არავისთვის არაფერი ეთქვა — ეგე მანდ გიჟად არ ჩამთვალონო და ქალაქში გაისეირნა. მთელი დღე იხეტიალა ქუჩებში. ერთი-ორჯერ თავი ბოძსაც მიამრტყა, ეს რა გამოლაყვება მჭირს, იქნებ გამიაროსო, მაგრამ ტყუილად დაისვა კოპები. არაფერმაც არ გაუარა. ქუჩაში მის გარშემო მშვიდად დასეირნობდნენ ბეჭემოტები, დათვები, სირაქლელები და კურდღლები. იმ საღამომ ჯაგარანარბიანი კაცი დაღონებული დაბრუნდა სახლში. არავისთვის ხმა არ გაუცია, პირუჩუმრად გადაბრუნდა კედლისკენ და დაიძინა. მეორე დღეს ჩვეულებისამებრ გვიან გაიღვიძა იმიტომ, რომ მალევიძარა არ ჰქონდა მომართული. ხმინანდ გაიზმორა და წირპლიანი თვალები ნელ-ნელა გაახილა. როგორც კი ძილიდან გამოერკვა, იმ წამსვე თავის ცოლს შეხედა, მაგრამ ისევ ძროხად ხედავდა. შვილებიც ისევ ინდაური და ქორჩორა ჯირაფი იყვნენ. ეზოშიც დომინისტი თხუნელები თამაშობდნენ და ავტობუსსაც თავზე მართავდნენ. ჯაგარანარბიანმა კაცმა ერთი ახალი თავისებურებაც აღმოაჩინა. ახლა გარემოსაც ბუნების ნაწილად აღიქვამდა. გულაღმა ლოგინში იწვია და თვალს აფახულვდა, ეგონა თივის ზვინში ჩაფლულიყო. მისი საწერი მაგიდის ნაცვლად ბუჩქნარს ხედავდა, წიგნების კარადა პატარა გორაკი იყო. ტელევიზორი კი ორასი წლის წინ დარგული მუხა გამხდარიყო. ავტობუსის გაჩერება მწვანე კონცხს ჰგავდა, ქალაქის ცენტრი კი — გვირილებით მორთულ ფერდობს. ჯაგარანარბიანი კაცი დამნაშავესავით იყურებოდა და ვერც შინ და ვერც გარეთ ადგილს ვერ პოულობდა. გადაწყვიტა ექიმთან წასულიყო, მაგრამ მანამდე „იგუგლავა“ და რომ დარწმუნდა, მსგავსი დაავადება არ არსებობსო, იფიქრა; მაინც ვერაფერს გაარკვევს თანამედროვე მედიცინაო და ექიმთან ვიზიტის სურვილიც გაუქრა.

სახლში რომ ვერ მოიხსენია, ჯაგარანარბიანი კაცი გარეთ გავიდა: მეზობელი ქალი, ლიფტის ფულს რომ აგროვებდა, ტანწერნეტა ბუქმოტი გამხდარიყო. გვერდით რომ ჩაუარა, კენარი ტორსი ჰაერში შეაკუნტრუშა და თვალების ფახუ-

ლით გადახედა. ეს ისე სასაცილო იყო, რომ კაცმა უნებლიე ღიმილი ვერ შეიკავა. ეს კიდევ არაფერი — უბნის მეეზოვეს პინგვინად აღიქვამდა, რომელიც ეზოში სასაცილოდ დაბაჯბაჯებდა. მეზობლის მოდელი გოგო კი წერო იყო, ოროფხებზე შემდგარი სადარბაზოში საცოდავად მოიჭაჭებოდა. ჯაგარანარბიანი კაცი ეზოში იდგა და მის გარშემო მიმდინარე თითქოს ჩვეულებრივ მოვლენებს გაოცებული აკვირდებოდა. მართლაც უჩვეულო განცდაა, როდესაც ქუჩას თვალს მოავლებ და ხედავ, თხა და მგელი წყნარად როგორ რონინობენ. შავ ჯიპზე ამხედრებული მარტორქა კი წითელზე გააჩერებს და გაზს დაგითმობს. ტრასაზე მანქანების საცობის ნაცვლად ბიზონების ჯოგი ტლანქად მიიზლანზება. წითელტრაკა მაიმუნები გაზეთებს დაატარებენ. ესტაკადა განოლილ მდინარედ ქვეულა. ჯაგარანარბიანი კაცი საითაც გაიხედავდა, ბუნების ნიაღში იყო ჩაფლული. მთელი დღე გარეთ იბორიალა, საღამოს სახლში დაბრუნდა, ზურგიდან ცოლის ხმა მოესმა — მასტიკა წავუსვი, ქეჩებზე დადექიო. კაცმა დაბლა დაიხედა: მწვანე მოლზე იდგა, მინიდან რამდენიმე მინდვრის ყვავილს ამოეყო თავი. უნდოდა, დახრილიყო, ხელით შეხებოდა ყვავილებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ეჩვენებოდა და სინამდვილეში შარშან ნაყიდ ხალჩია იყო, მაგრამ თავზე სელაპი დაახატა; მეთამაშე რა — მოესმა უკნიდან. ეს იყო მისი ცოლის

დისშვილი, რომელიც სტუმრად იყო მათთან. ჯაგარანარბიანი კაცის ძროხა ცოლი კერძს აკეთებდა, ღორი ცოლისდა კი კარტოფილის გაფცქენაში ეხმარებოდა, ამ დროს მეზობლის გოგო შემოვიდა, რომელიც ნამდვილი შველი იყო და ხახვი ისესხა. ადრე ჯაგარანარბიანი კაცი ფანჯრიდან რომ გაიხედავდა, კორპუსებს ხედავდა ხოლმე, კორპუსის იქით, ისევ კორპუსებს, კიდევ კორპუსებს და იმის იქითაც კორპუსები მოჩანდა. ეხლა კი მხოლოდ ლელიანები ჩანდა, ბუნების ბურუსიან ჰორიზონტებში მწვანე ფერდობები და კლდოვანი კონცხები ილანდებოდა, ქარიან ამინდშიც რომ ეულად და ცივად გამოიყურებოდნენ. იმ საღამოსაც პირუჩუმრად დაწვა ჯაგარანარბიანი კაცი ლოგინში, კედლისკენ გადაბრუნდა მისი ხმა არავის გაუგია, ისე დაიძინა. დილით ძროხის ზმუილმა გააღვიძა. ეს ცოლის ხმა იყო — ამთქნარებდა. ჟირაფის და ინდაურის ფახულიც მალევე მოესმა. იმ დღემაც ისე ჩაიარა, როგორც წინამ, ჯაგარანარბიანი კაცი თითქოს საოცრებათა სამყაროშიყო, გაკვირვებული აკვირდებოდა გარშემოყოფებს. დრო გადიოდა, ეს გაკვირვებაც მალე გაქრა. ჯაგარანარბიანი კაცი შეეჩვია ამ ხმებსა და ცხოველებს, თავის თავში ჩაიკეტა და იშვიათად ესაუბრებოდა ადამიანებს. არც უფიქრია, საკუთარ თვითშეგ-

დასასრული მე-9 გვერდზე



აღრესატი

მისწერე, რომ გიყვარს.  
მისწერე ღიად, საჯაროდ  
(რა საჭიროა დახურული წერილები),

უთხარი ტელეკრანიდან,  
გამოუცხადე რადიოთი,  
გაავრცელე სოციალურ ქსელში  
(ამ უკანასკნელს, აქვს თვისება  
„დაგილაიქოს“).

გამოგეხმაურებინა,  
მოგწერენ პასუხს მის მაგივრად.

ის დუმის ირჩევს  
(როგორც ყოველთვის)  
მოთმინებით,  
ნაჩვევი სიყვარულის გამოცხადების უცნაურ ხერხებს.

ნუ დაიზარებ, მისწერე,  
მერე რაა, რომ აღარ გიყვარს წერილების წერა.

უთხარი,

რომ სინათლეს არ დარჩა დრო,  
მოელნია ჩვენამდე.  
რომ თავისუფლება მარტოხელების საქმეა.  
რომ ღირსება სიცოცხლის თვისებაა,  
(სიკვდილს ის არ აქვს),  
რომ უხერხულობა  
(როცა დიდი ხნის უნახავები  
ვერ პოულობენ საჭირო სიტყვებს)  
ზერელე მოკითხვებით შემოიფარგლება.

მისწერე,

რომ ის მხოლოდ მაშინ გახსოვს,  
როცა სხვა ადრესატი არ გყავს,  
როცა გინდა ვინმეს მისწერო.

გაუმხილე,

როგორი ძნელია სინამდვილეში იქ,  
სადაც ჩვენ ასე ჩუმად გვიყვარს ერთმანეთი.

სადაც უბრალოდ შემოდგომაა,  
როცა უბრალოდ — სამშობლოა.

არ-სანი

„მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით“.  
ნათია ნაცვლიშვილი

აღარ გადიან მატარებლები აღმოსავლეთით,  
აღარ ჰყავთ მგზავრი.

არც — თანამგზავრი.

გაიბნა ფიქრი —  
შუაგზაზე მიტოვებული.

იმედმაც იცის, გზისგასაყარზე —  
დაგტოვებს ისიც.

ისე მარტივად მოჩანს სხვა მხრიდან  
ეს ყველაფერი —  
როგორც მზის ჩასვლა.

ანდა მთვარის,  
ღრუბლის უკან ამოფარება.

როდესაც გტკივა,  
ის — ვინც გიყვარს,

სიჩუმე არის გამოსავალი

ან

გამოსავალი ხდება ზოგჯერ ის,  
რაზეც ვართ ჩუმად.

აღარ გადიან მატარებლები აღმოსავლეთით,  
აღარ ხარ მგზავრი,  
არც — თანამგზავრი.

დგები სარკესთან,  
საკუთარ თავს ათვალიერებ.

ეს ჭრილობები ისე გაბეგრდა,  
და თანდათან ისე ღრმავდება,

სულის შებერვით  
აღარ მირჩება, მამა.

საბან-სიტყვები

ჩვენი ყოველდღიური ჩვევები  
ზოგჯერ უფრო მეტია — ვიდრე ჩვენ.

ყველა ხმაური დალაგდება,  
სიჩუმეც გარდამავალია,

დამკვირვებლებს უკვდებათ ჰორიზონტი.



შენ:

ვინც ინახავ ციფრებს,  
რომელიც განსაზღვრული დანყვილებით  
ხარ ჩემი მეგობარი,  
ან ნათესავი მემკვიდრეობით  
ან არჩევითი.  
ხარ „საჭირო ადამიანი“,  
ან ადამიანი,  
რომელსაც არასდროს შევეხმიანები.  
ისიც ხარ, ვინც გარდაიცვალა,  
(მაგრამ ვერ წავშალე)

შენ:

ვინც ინახავს გზავნილებს,  
ჩემთვის ძვირფასებს,  
ვისაც მოგანდე  
ჩემი მომავალი ლექსის პნკარედები.  
შენ ხომ არასდროს გავეწყდება  
ჩემი მეგობრების დაბადების დღე.  
ყოველთვის იცი რა რიცხვია ხვალ,  
მცირედი თუ ოდნავი უზუსტობით მაჩვენებ დროს.

შენ:

რომელსაც თითქმის ყველგან თან დაგატარებ,  
რომელიც არასდროს მინდა იყოს ცალმხრივი,  
ვისაც შეგიძლია გამახარო და მატკინო კიდევ

და მიუხედავად ამისა და ყველაფრისა:

სიმათლისათვის არ გყოფნის სიტყვა,  
ხარ მღელვარე — როგორც გაურკვეველობა,  
მშვიდი — როგორც სინამდვილე,  
ჩუმი უფრო — ვიდრე სიჩუმე

და მაინც — მობილური.

არაჰინ

ასეთი დღეები უნდა შეიყვარო:

თავმიშვებული,  
მძიმე,  
ხისტი.

ნუ იტყვი უარს:

დაეხმარო მეორეს,  
იყოს ის, ვინც არის.

დარჩი ერთით (ან მეტით) ნაკლები,  
გაილარიბე საკუთარი თავი,  
(ან როდის იყავი საამისოდ მდიდარი.)

სანაცვლოდ:

გექნება პასუხი მოტივტივე კითხვებზე —  
მყარი და ზუსტი.

გაიცვლება მდგომარეობა — გულშიჩაკვრა,  
სიტყვაზე — გულისჩანყვეტა.

ხელჩაკიდებულები — გაათავისუფლებენ  
ხელისგულებს.

გაქრება ღიმილი,  
რომელიც გაერთიანებდათ.

ჩადგება სიტყვა —  
„არავინ“ —  
თქვენს შორის.

დაგლიან პასუხები  
და დაგაჯერებენ,

რომ

არც ისე მარტივია, გიყვარდეს ის,  
ვისაც უყვარხარ.

მტრედების დაპირება

ქალაქი,  
რომელიც ზღაპარს ჰგავს და ჯადოსნურია,  
უძლებს ლეგენდებს.

იქ,  
თავგანწირულები აღებდნენ ფანჯრებს,  
ქალაქი ითმენდა თვითმკვლელობებს.

რამდენჯერ მტრედი შეფრთხილდა,  
იმდენჯერ ჩემთვის გავიფიქრე:  
ფანჯარა. ვარდნა.

მათ  
ჰქონდათ ილუზია,  
რომ სიკვდილს ანგარიში გაუსწორეს,  
რომ სიმალიდან ხტომით საკუთარ თავს გაასწრეს  
და თვითმკვლელობის ვნება იგემეს.

იმ ქალაქში  
ერთხელ გული გამიჩერდა.

ქალაქში, რომელშიც ვცხოვრობ,  
არ აღებენ ფანჯრებს თვითმკვლელობისთვის.  
აქ ღიმილს მგვრის  
და ღიმილს ირგებს — მორჩილება.  
აქ შეწირვაა:  
ნება-ნება,  
დღითი-დღე,  
ნვეთ-ნვეთ.

მე — ფრთადაჭრილი,  
გამეტებული ფრენისათვის,  
მხოლოდ ქვემოთა მიმართულებით.

ზღვა კოვზით დაილია  
და ვთქვი:

**პრალა, დრო — წარსული.  
თბილისი — ახლანდელი დრო  
სიზმარ-ცხადი**

...და ყველა სიტყვა,  
რითაც აქამდე თავს ვიცავდით,  
ჩაიკარგა ქალაქში,  
რომელშიც დრო მოგ ზაურობს.  
გადაეშვა ხიდიდან,  
სადაც ორი ზღვა ერთმანეთს ხვდება.

და რაც გადარჩა ერთმანეთისთვის,  
მოვიდა ღამით, ზუსტად მაშინ,  
როცა აღარ გინდა გეძინოს მარტო.  
ტუჩი ტუჩზე გადამაფარა  
და ხმით,  
რომელიც თუკი არსებობდა აღარ მეგონა,  
მიჩურჩულა:  
უკვე დროა. ვადიაროთ.

საბანი ფრთხილად შემომიკეცა,  
მთხოვა — მაცხოვრე შენს თვალბეჭდში.  
გულის ჯიბეში იმედი ჩადო  
და ქალაქის ცაას  
ახალ მთვარედ მიახატა  
მისი სახელი.

ფრენამდე

უფალო,

დღეს ჩემი ფრენა,  
ყველა ქარის წინააღმდეგ,  
შენ გაბარია.

თუ მოგიყვები:  
ვცოდე, რამდენჯერ,  
ნუ იფიქრებ,  
შვებას მომიტანს,  
ცოდებისგან ვშიშვლდები რადგან.

რაც უფრო ხშირად,  
უფრო მეტს ვამბობ,  
ყველა სიტყვა ტანსაცმელია,  
სამალავი და შესაფუთი.

დამიმახსოვრე.  
თუ ისევ უნდა გამანზილო,  
ნულარ შემხვდები.

დამტოვე მარტო,  
შემატოვე მონაპოვარი,  
რომ არ ვიდგე ზურგ-შექცეული.

რაც უნდა მეთქვა,  
ბოლოს ვინახავ:

რომ უფრო დიდხანს,  
რომ უფრო ბევრჯერ,  
ვიქნებოდი მე — შენს გარეშე.

უბრალოდ მახსოვს:  
ყველა ჩვენგანი,  
ვილაცისთვის  
ერთხელ მაინც ხდება

იუდა.



რუსუდან რუხაძე

სიცოცხლის გემო

დასასრული

წონდათ გოგოებს, გულწრფელად უყვებო-

და მათ ამბებს და დედაც სიამაყით ეტყო-

და — „კარგი გემოვნება ჰქონიათ, ხო იცი!“

დიდი ხანია, ელოდება სანდრო, როდის

დადგება მამასთან მეგობრობის დრო, რო-

დის დასხდებიან სასაუბროდ კაცურად,

პირისპირ, მაგრამ მამა დღემდე დედისგან

იგებს მის ამბებს. გაბრაზებული ხანდახან

მიაძახებს ხოლმე — „ესაა შენი გაზრდილი

შვილი?“

„სულ შენი ასლია“ — სხვა პასუხი არ

აქვს დედას.

ბუტერბროდიანად სანოლში შეწვა,

ტელევიზორი ჩართო. საათიც არ იყო გასუ-

ლი, ისევე ტელეფონმა დარეკა:

— გამო რა, სალაპარაკო მაქვს! — და-

მომხრალ, უმოძრაო ტუჩებზე ნახად აკო-

ცა. ზუსტად ისე გაიდგა გარემო ცრემ-

ლიანი მზერის მიღმა, როგორც მის შავ-

თეთრ ფიქრებში ქმრის პანაშვიდის დროს.

„რას შეგები?“ — დათო ექიმის ხმამ გა-

მოაფხიზლა, — „სვეტას დაუძახეთ!“ — ხე-

ლით მოაშორა ექიმმა ხათუნა ბიჭს.

ალარ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ცარ-

იელ პალატაში და რამდენ ხანს ინვა გუ-

ლაღმა ჩამოსული წყლისგან ალაგ-ალაგ

გაყვითლებულ ჭერს მიმტერებული. ერთ-

ადერთი, რაც თვალეში ჩასდგომოდა, მის-

გან გაქცეული მისივე სხეული იყო — ცის-

ფერი კესანეებით მოჩითული კაბით შემო-

სილი, თმაგაშლილი და მზის სხივებით გა-

თანგული. დერეფნიდან ფეხის ნაბიჯების

ხმა შემოესმა, სანოლიდან ნამოხტა, გასე-



ლევან გელაშვილი

ჯაგარანარბიანი კაცი

დასასრული

ნებაში დაბადებული ამ უჩვეულო აღქმის

გადალახვა. ქუჩებში თავისთვის, ეულად

დახეტილობად ხოლმე ჩაფიქრებული.

უმეგობრო და უხალისო გახდა. სტადი-

ონზე და სხვა ხალხმრავალ ადგილებში

მისვლას თავს არიდებდა. მალე ადამიანებ-

მა ჯაგარანარბიანი კაცი უცნაურ კაცად

შერაცხეს და შორი-შორ დაუნყეს ყურება.

თუმცა არაფერ იცოდა, უცნაური კაცი რა-

ტომ იყო ღრჯოდ დადუმებული, ყველა

ში მიიჩქაროდნენ. მისი პერსონა — ჯაგა-

რანარბიანი — თავის სახლიდან გამოვი-

და და თავის საყვარელ ადგილას გაემშურა

მის ამოჩემებულ გორაკზე. შორიდანვე

ერთი კაფანდარა, ხმელი კაცი დაინახა,

რომელიც ნება-ნება მწვანე მოლზე

გორაობდა და დრო და დრო ირმების

გუნდს უმზერდა. ჯაგარანარბიანმა

თვალეზს არ დაუჯერა და ხეებს მოეფარა,

რომელიც სინამდვილეში სადგურის

მოპირკეთებული სვეტები იყო. იქიდან მა-



საოპერაციოში სწრაფად მოიძია

საჭირო ამბულები. ასეთი სიმძაფრით არა-

მწერალი

დათო ტურაშვილი

მუდამ აქტიური და მუდამ აქტუალური — ასე შეიძლება მოკლედ მისი პერსონის დახასიათება. დათო ტურაშვილის ნიგნები ინტერესით იკითხება, მისი „ჯინსების თაობა“ კი (მიუხედავად იმისა, რომ პირველად 2008 წელს გამოიცა) თბილისურ ნიგნის მალაზიებში დღესაც გაყიდვების ლიდერია. კარგა ხანია „თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორია ერთი კონკრეტული ტრაგედიის ფარგლებს გასცდა და უცხოელი მკითხველის ინტერესიც გამოიწვია. ზესახელმწიფოს შურისძიება ახალგაზრდებზე, რომელთაც გაფრენა მოისურვეს, მსოფლიოს ყველა წერტილში ერთნაირად მიუღებელი და ამაზრზენი აღმოჩნდა. ალბათ ამიტომაც, რომ „ჯინსების თაობა“ უკვე შეიღებენაზე ითარგმნა. ბოლოს ავტორმა ნიგნი ლაიფციგის ნიგნის ბაზრობაზე წარადგინა, სადაც ქართულ დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა. ბუნებრივია, საუბარი ამ თემით დაიწყო.

— ორივე კვირის წინ ლაიფციგის ნიგნის ბაზრობიდან დაბრუნდი, სადაც საქართველო მეორედ იყო წარმოდგენილი. როგორია გერმანული შთაბეჭდილებები?

— გერმანიაში ძალიან ციოდა, მაგრამ იმდენად თბილი და ლამაზი გარემოა იმ კომპლექსში, სადაც ბაზრობა ტარდება, გარეთ გასვლა აზრადაც არ მომსვლია. ლაიფციგში რამდენიმე ადგილის ნახვა ნამდვილად მინდოდა (ალბათ სხვა დროს მოგახერხებდა), მაგრამ თავად ფესტივალი ისეთი დღესასწაულია, ძალიან კმაყოფილი ვარ. ლაიფციგის ნიგნის ბაზრობაზე განსაკუთრებით შთაბეჭდვითაა ბავშვების სიმრავლე ნიგნებით ხელში...

— რამდენადაც ვიცი, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზეც ხარ წამყოფი. შეგიძლია მათი შედარება? რა აქვთ საერთო და რა არის მათგან განსხვავებული?

— საერთო არის გრანდიოზულობა. მთავარი განსხვავება კი ალბათ მიზნებსა და კონცეფციებშია: ფრანკფურტი უკვე ცნობილი და წარმატებული მწერლებისა და გამომცემლობების ასპარეზი და შეხვედრების ადგილია. ლაიფციგში კი ჯერ კიდევ უცნობი მწერლები, ლიტერატურული ქვეყნები და გამომცემლობები აინტერესებთ.

ბაზრობის დღეებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავთ გამომცემლებს, რომლებიც თქვენს თვალწინ აწარმოებენ მოლაპარაკებებს ამა თუ იმ ავტორთან.

— წელს ლაიფციგში ძირითადად ქართული ლიტერატურის „ქალური ფრთა“ იყო წარმოდგენილი. გაიმართა გერმანულ ენაზე გამოცემული კრებულის, „იაგუარების ტექნოს“ პრეზენტაცია, რომელშიც რამდენიმე თანამედროვე მწერალი ქალის ნაწარმოებები შევიდა. როგორ მიიღო ისინი გერმანულმა მკითხველმა?

— უდიდესი ინტერესით. როგორც გითხარით, სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, გერმანიაში სრულიად უცნობი ავტორები და უცნობი ნიგნებიც კი აინტერესებთ. წინა კრებულში მხოლოდ მამრობითი სქესის ქართველი ავტორები იყვნენ წარმოდგენილი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა უქალეოდ საკმაოდ უხერხულად გამოიყურებოდა. ახლა ბალანსი აღდგენილია, რაც მანანა თანდაშვილის დამსახურებაა, ქალბატონის, რომელმაც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული როლი ითამაშა ახალი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაში გერმანიასა და სხვა ქვეყნებში.

— რამდენად აქვთ შანსი ქართველ მწერლებს ღირსეული ადგილი დაიკავონ სხვა ქვეყნების ლიტერატურის გვერდით და კონკურენცია გაუწიონ ცნობილ თან-

ამედროვე ავტორებს?

— ეს გრძელი, რთული და კომპლექსური პროცესია და სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე ამის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება. თუმცა შეუძლებელი არაფერია და ყველა რესურსის სწორად და გონივრულად გამოყენების შემთხვევაში სავსებით რეალურია, რომ სხვა ქვეყნებშიც დაიწყონ ქართველი ავტორების კითხვა. რასაკვირველია, გამოცემლებს ყველაზე მეტად თანამედროვე და ცოცხალი მწერლების დაბეჭდვა აინტერესებთ — ეს ქართველებსაც ეხება და არაქართველებს.




საც. მნიშვნელოვანია ერთი ტენდენციაც — რომელიმე ერთი ავტორის გამოცემით არაფერს კმაყოფილდებიან. ყველა უცხოელი გამომცემელი გეკითხება სხვა ქართველი მწერლების შესახებაც, ვისაც შეგიძლია რეკომენდაცია გაუწიო. ასე რომ, ნებისმიერი ქართველი ავტორის გამოცემა რომელიმე სხვა ქვეყანაში დანარჩენებსაც უნდა ახარებდეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ მალე მათი ჯერიც მოვა.

— შენს ნიგნზეც ვეკითხებო. იცოდა თუ არა პუბლიკამ რამე „ჯინსების თაობის“ და ზოგადად, ამ ამბის შესახებ?

— პრეზენტაციამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. სასიამოვნო იყო, რომ ნიგნმა ასეთი ინტერესი გამოიწვია და ამდენი შეკითხვით მომმართეს, როგორც სიუჟეტთან, ასევე სხვა დეტალებთან დაკავშირებით.

— როგორც ვიცი, მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთ-ერთ გერმანულ გამომცემლობასთან „ჯინსების თაობის“ გერმანულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის შესახებ.

— მოლაპარაკება დამთავრებულია. ნიგნს გამოსცემს ერთ-ერთი საუკეთესო გერმანული გამომცემლობა „ვაგენბახი“.



ჩემთვის ეს სასიხარულო და საამაყოა, რადგან ნიგნებისადმი ასეთი საოცარი დამოკიდებულება გერმანიის გარდა, მგონი მხოლოდ იაპონიაში აქვთ.

— რაც შეეხება თარგმანს, „ჯინსების თაობა“ ქართულიდან გერმანულად მანამდე ითარგმნა. ისინი, ვინც უკვე ნაიკითხა გერმანული ვარიანტი, მთარგმნელის ნამუშევარს დადებითად აფასებენ.

— რადგან ამ ნიგნს შეეხებო, მინდა მის პოლიფუნქციურ ვერსიის შესახებაც გკითხო. მკითხველმა უკვე იცის, რომ „ჯინსების თაობის“ მიხედვით პოლიფუნქციურმა სცენარისტმა თომას დანმა დაწერა სცენარი, რომელსაც პოლიფუნქციური მოღვაწე ქართველი რეჟისორი, ნიკოლოზ ხომასურიძე გადაიღებს. ამჟამად რა ეტაპზეა მუშაობის პროცესი და რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ეს პროექტი?

— სამწუხაროდ, ყველა დეტალზე ახლა ვერ გიპასუხებთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ ფილმს ორი რეჟისორი ეყოლება და მეორე იქნება ფრენკ კაპრა. გამიხარდა, რომ ერთ-ერთ როლს შეასრულებს ვინი ჯონსი, რომელიც კარგი მსახიობია. თბილისში მისი სტუმრობისას ვესაუბრე კიდევ. სცენარი არ წამიკითხ-

„მზე დასავლეთისკენ მოძრაობს“



ავს, მაგრამ შარშან შეხვედრი ავტორს, რომელსაც ბევრი შეკითხვა ჰქონდა ჩემთან და შევეცადე, შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდა.

— აქვე ერთსაც გკითხავ: ეს ნიგნი გამოსვლისთანავე ბესოსელერად იქცა. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ტირაჟი გაიმოკრა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნიგნის ავტორი ხარ, „ჯინსების თაობა“ შენს სავიზიტო ბარათად იქცა. როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე?

— ზემოთქმულის მიზეზი ბევრია და მისი მარტივად ახსნა ამიტომაც გამიჭირდება. რაც შეეხება ტირაჟს, არაერთხელ გაიმეორეს. უკვე თარგმნილია შვიდ ენაზე და რამდენიმე ქვეყანაში გამოიცა კიდევ. ინტერესი სხვაგანაც დიდია და ვიმედოვნებ, ამ ნიგნს არაქართველი მკითხველებიც შეიყვარებენ, რის შემდეგაც უფრო მეტად დაინტერესდებიან თანამედროვე ქართული ლიტერატურით და სხვა ქართველი მწერლების ნიგნებით. სხვათა შორის, მუშაობის პროცესში ისეთი ნიგნის დანერაზე ვფიქრობდი, რომლის კითხვისას ადამიანი კინოთეატრში იგრძნობდა თავს. დასაწყისში ანერია კიდევ — „კინორომანი“. უამრავ მკითხველს უთქვამს, რომ „ჯინსების თაობის“ კითხვისას ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს ეკრანზე ფილმს უყურებდნენ.

— რამდენიმე წელია პიესებსაც წერ. ერთ-ერთი მათგანი, „შავი კეტები“ განსაკუთრებულად „იღბლიანი“ აღმოჩნდა და 2008 წელს ლიტერატურული პრემია „საბა“ მოგიტანა. რით არის ეს ჟანრი შენთვის საინტერესო?

— ყველაზე ძალიან რომანებისა და მოთხრობების წერა მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ ისე ხდება, თავად სათქმელი ითხოვს პიესის ფორმას და ამიტომ (ზოგჯერ) პიესებსაც ვწერ. თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებსაც პიესების წერა ყველაზე მეტად სიამოვნებთ და მხოლოდ შარშან (მაგალითად) ქალბატონმა მანანა ანთაძემ საკონკურსოდ სამოცდაათი პიესა მიიღო. არადა, საქართველოში ისეთი დროც იყო, როცა მთელ ქვეყანაში პიესებს მხოლოდ ერთი ადამიანი წერდა. 1850 წელს მიხეილ ვორონცოვმა ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, გორთან ახლოს, სოფელ ხიდისთავში, ძლივს მიაგნო ერთადერთ ქართველ დრა-

მატურს — გიორგი ერისთავს...

— ისევ პიესების თემას გავაგრძელებ. ორივე თვის წინ გამოვიდა შენი ახალი ნიგნი „დოდოს მოლოდინში“, სადაც რამდენიმე ახალი და ზოგიერთი ძველი პიესაც შევიდა. კრებულს სათაური ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დავერქვა, რომელიც უკვე „აიტაცა“ მკითხველმა. განსაკუთრებით აქტუალური აღმოჩნდა იმ ადამიანებისთვის, რომელთა ოჯახებიც უკვე წლებია აღიან „დოდოს“. პიესაში ასახულია საბერძნეთში სამუშაოდ წასული ქალბატონების ტკივილი, რომლებიც ჯოჯოხეთური შრომის ფასად ინახავენ ოჯახებს. როდის დაინტერესდი ამ თემით და რა გახდა ამ პიესის დაწერის მიზეზი?

— ამ პიესის დაწერის იდეა საბერძნეთში ყოფნის დროს გამიჩნდა, სადაც უამრავი ქართველი ქალი გაცივანია. მინდოდა გამომეხატა ჩემი პატივისცემა მათ მიმართ, რადგან ხშირად ძალიან მძიმე შრომის ფასად არჩევენ საქართველოში დარჩენილ ქმრებს, ძმებს და შვილებს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დოდოს მოლოდინში მყოფი კაცები სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ფულს აშკარად არამიზნობრივად ხარჯავენ. დოდო ამ პიესის მხოლოდ ერთი პერსონაჟის სახელია, მაგრამ ასეთი დოდო უკვე ძალიან ბევრია საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებშიც და სინამდვილეში მათ სიყვარულსა და პასუხისმგებლობაზე დგას უკანასკნელი წლების ქართული ეკონომიკა.

— ცალკე თემაა შენ და მოგზაურობა. შენი ნიგნების ნაწილი სწორედ მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს ასახავს. ასეთია „კატმანდუ“, „ტიბეტი არ არის შორს“, „ამერიკული ზღაპრები“. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის, როგორც ავტორისთვის სივრცეში გადაადგილება და გარემოს შეცვლა, რამდენად გაძლევს სტიმულს წერისთვის?

— არა მხოლოდ წერისთვის, ჩემთვის სასიცოცხლოდაც აუცილებელია მოძრაობა. ერთ ადგილას გაჩერება მართლა არ შემიძლია (საფლავშიც ამიტომ გამიჭირდება და მგონი დანავა მირჩევნია). თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მოძრაობის გარეშე ვერ დაფრინდი, რადგან რამდენიმე ნიგნის იდეა დიდი ხანია მაქვს. მათ განსახორციელებლად მხოლოდ შესაბამისი დრო და გარემო მჭირდება. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ქართველების დიდი ნაწილს (ჩემგან განსხვავებით) არ უყვარს მოგზაურობა და ზემოთქმულს იმით ამართლებს, რომ ძვირია. სინამდვილეში კი პირიქითაა და მოგზაურობა გაცილებით იაფია, ვიდრე ის დიდი ჯიბები და მახინჯი სასახლეები, რაშიც ფულს იხდიან...

— ბევრი მიიჩნევდა, რომ დათო ტურაშვილს მხოლოდ თანამედროვეობასა და „მსუბუქ“ თემებზე შეეძლო წერა, თუმცა ასეთებს რომანები „გურჯი ხათუნის“ და „ჩაძირული ქალაქის ღამე“ წარუდგინე. რთული იყო მათზე მუშაობა? კიდევ ხომ არ აპირებ ისტორიულ თემაზე ნიგნის დაწერას?

— დრო რომ მქონდეს, ახლაც დაგინყებდი ისტორიული ნიგნის წერას სიმრავლი პირველზე. მგონი ასეთი სურვილები იმდენად მიჩნდება, რომ დროში ვიმოგზაურო. „გურჯი ხათუნის“ წერის დროსაც წყარობა იხე წამიღეს, მეცამეტე საუკუნის სელჯუკთში აღმოვჩნდი და შორეულ კონიაშიც კი გადავფრინდი. ეს ისეთი სიამოვნება იყო, რომ იმ გარემოსა და დროს, რომელშიც სინამდვილეში ვცხოვრობდი, ძალიან ადვილად მოვწყდი.

— შენს მოთხრობებში დიდი დოზითაა რეალური ამბები და პერსონაჟები. იმდენად, რომ რაღაც ეტაპზე მკითხველი შეიძლება დაიბნეს კიდევ და რეალურსა და გამოგონილ სამყაროს შორის ზღვარს გავლება გაუჭირდეს. სად გადის ზღვარი? როდის ხარ უფრო „მართალი“ — როცა რეალურ ამბავს ყვები თუ როცა იგონებ?

— რა საჭიროა იმ ზღვარის ძებნა, რომელიც არ არსებობს? ნიგნის წერისას ზუსტად ვიცი ხოლმე, სად გადის ზღვარი, მაგრამ როცა ნაწარმოები დასრულებულია, ვივინყებ რა არის ჩემი ფანტაზიის ნაყოფი და რა — რეალური. ამ შეკითხვის მოსმენისას ხშირად მახსენდება ხორხე ლუის ბორხესის სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ სამყარო, რომელსაც ლიტერატურა ქმნის, უფრო დამაჯერებელია, ვიდრე რეალური სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ. ბევრი მაგალითით არ შეგანუხებთ და მხოლოდ ერთს გავიხსენებ, როდესაც ორი წლის წინ ირლანდიიდან

დასასრული მე-12 გვერდზე

ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე

ლიტერატორ თამაზ ტყემალაძეს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. იგი არაერთი ნაშრომის ავტორია, რედაქტორობს უწყვეტ სხვადასხვა გამოცემას, მონაწილეობს ლიტერატურული პროექტების განხორციელებაში, მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზეც. დიდი ხანია ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, პროფესიონალური თვალთა აფასებებს მიმდინარე პროცესებს. ალბათ ბევრს ახსოვს გადაცემათა ციკლი „საუბრები ლიტერატურაზე“, რომელსაც ბატონი თამაზი წლების განმავლობაში ერთ-ერთ ტელეარხზე უძღვევოდა. ის ჰყვებოდა ქართველ კლასიკოსებს, საინტერესოდ განიხილავდა დავით გურამიშვილისა თუ ვახტანგ მეექვსის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ვალაკიონის შემოქმედებას, XX საუკუნის ცნობილი კალმოსნების ნაწარმებს. აცოცხლებდა იმ კულტურულ კონტექსტებს, რომლებიც ესა თუ ის ავტორი და მისი მხატვრული აზროვნება, მხატვრული სიტყვა იმეა. მოგვინახვებდა გადაცემებში ტელე-თერიდან რაიდოთერში გადაინაცვლა. „საუბრების“ ავტორსა და წამყვანს არც იქ მოჰქვია ერთგული მსმენელი. ამჯერად თამაზ ტყემალაძის აუდიტორია „ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველია.


— ბატონო თამაზ, გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში, თქვენი სტუდენტობის პერიოდში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი მდიდარი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდა. XX საუკუნის არაერთი ცნობილი ქართველი მწერალი სწორედ მაშინ იწყებდა შემოქმედებით მოღვაწეობას. ლიტერატურის მიმართ ახალგაზრდები ცხოველ ინტერესს იჩენდნენ, ზოგიერთი, განსაკუთრებით პოპულარული ნაწარმოები, ხელიდან ხელში გადადიოდა. მაინც რა ნიგნებს კითხულობდით გადაცემით, რომელი ავტორები იყვნენ თქვენი რჩეული?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1975 წელს დაავითავრდა. ჩვენი სტუდენტური ცხოვრება მართლაც სავე-იყო ლიტერატურით. ძალზე ხშირად იმართებოდა შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები მწერლებთან. ლიტერატურული პროცესების წარმართული მწერალთა კავშირი გახლდათ. ახალ-ახალი ნიგნების პრეზენტაცია იქ ლამის დღეგამოშვებით ეწყობოდა. დიდებული დრო იყო. მახსოვს, როგორ იჯდა თავის სავარძელში დიდი კლასიკოსი, უკვე მხცოვანი კონსტანტინე გამსახურდია. თვალწინ მიდგას იქ შეკრებილი ჩვენი დიდი მწერლები — ქართველ შემოქმედთა მთელი პლეადა. სხვათა შორის, ისინი ხშირად ხვდებოდნენ ახალ-გაზრდობას, დამწყები ავტორების მიმართ მუდამ იჩენდნენ ინტერესს. ჩვენ კი, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, გადაცემით ემონაწილეობდით ჯერ კიდევ უცნობი მწერლების პირველი ნიგნების განხილვაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებდა ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომლის თავკაცი, პროფესორი ტარიელ კვანჭილაშვილი გახლდათ. ერთხანს, ჩემი სტუდენტობის წლებში, ლიტერატურულ წრეს ცნობილი პოეტი გივი ალხაზიშვილი თავმჯდომარეობდა, შემდეგ ის ან განსვენებულია ნიგნის მალა-შიგნის თარობებზე ხელუხლებელი დევს. ჩემს ახალგაზრდობაში კი მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშინიანიძის, ანა კალანდანიძის და ბევრი სხვა ავტორის ახალი ნიგნების ასიათასიანი ტირაჟები ორ-სამ დღეში იყიდებოდა.

— ქართული ნიგნის ტირაჟი, უნინდელთან შედარებით, დღეს მართლაც შემცირებულია. — მეტსაც გეტყვი: 1987 წელს საქართველოში ილია ჭავჭავაძის 150 წლის იუბილე აღინიშნა და იმ კულტურული მოვლენის ფარგლებში დიდი მოღვაწის ოცტომეულის გამოცემა გადაწყდა. მაშინ მრავალტომეულების შექმნის საკმაოდ გავრცელებული ფორმა ნიგნების წინდანი გამოწერა იყო. მახსოვს, ილიას მრავალტომეულს ოთხმოცი ათასი ხელმომწერი ჰყავდა. სამწუხაროდ, ხუთი ტომის გამოსვლის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ქვეყანა აირია და საგამომცემლო პროცესი შეჩერდა. მოგვიანებით, რამდენიმე კაცმა ილიას ფონდი დააარსეთ და შეჩერებული საგამომცემლო პროექტის აღდგენას ლიტერატურის ინსტიტუტის ხელშეწყობით, ჩვენი კოლეგების მხარდაჭერით შეუდგნენ. მრავალტომეულის გამოცემა განახლდა. თუმცა ამჯერად ილიას ტომები, ოთხმოცი ათასის ნაცვლად, ხუთას ეგზემპლარად გამოდის და ისიც ძლივს იყიდება. ზოგჯერ მგონია, მოულოდნელად ვინმემ „ვეფხისტყაოსნის“ რანგის ნაწარმოები სადღაც დამარხული რომ იპოვოს,

დღევანდელ საქართველოში არც მას გამოუჩნდება მყიდველი თუ მკითხველი-მეთქი. მაღალმხატვრული ლიტერატურა თანამედროვე საზოგადოების დიდ ნაწილს თითქოს აღარ აინტერესებს.

დიახ, კომუნისტური ეპოქა იყო, მაგრამ ფრიად განებერებულნი ვიყავით შესანიშნავ შემოქმედთა სიმრავლით. ერთგვარი კლასი არსებობდა, მწერალთა კლასი — ძლიერი, პატივსაცემი და ავტორიტეტული. ირაკლი აბაშიძე ან გრიგოლ აბაშიძე



ბის დრო მოვიდა, მიმტანა გვითხრა, მურმანმა გადაიხადაო. აი, ასეთი მეგობარი გყავდა.

— **სახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებზე რამდენად ინტენსიურად ეცნობით და რა აზრის ხართ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე?** — გულგატეხილი ვარ, რადგან ვხედავ, ხშირ შემთხვევაში, რაოდენ მძარე ლიტერატურას ეძლევა ასპარეზი. ვხედავ, ზოგიერთი მწერლის პათოლოგიური ნააზრები როგორი ინტენსივობით ითარგმნება სხვადასხვა ენაზე, როგორი პოპულარულია უვიცობა. ამ ფონზე რამდენიმე ავტორი მეტ-ნაკლებად იმედისმომცემია, გამოჩნდნენ საინტერესო ახალგაზრდებიც. მჯერა, ქართული ნიჭიერება თავის გაზას იპოვის.

დამწყები ავტორების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გაუნათლებლობა მიმაჩნია. ადამიანი კალამს ისე იღებს ხელში, რომ ბევრი არც არაფერი აქვს ნაკითხული. ჩემთანაც მოსულა რამდენიმე, მოუტანია მხატვრული ტექსტი — აი, რომანი დავწერეო. მის ნაწარმებს კი განათლების, ნიგნიერების დეფიციტი ეტყობა. თანამედროვე პოეზიასაც რომ გადავხედოთ, იგივე სურათია. ჩვენ დიდი პოეზიის,

ანძისა და მუხრან მაჭავარიანს უბეჭდავდნენ ლექსებს და სხვას — არა? განა, ვინ წერდა მათზე უფრო მწვავედ?

— თქვენი თაობის მწერლებიდან, XX საუკუნის მეორე ნახევრის ავტორებიდან ბევრს ახლოს იცნობდით, ზოგან მეგობრობაც გაკავშირებდათ. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. პირადი კავშირები უფრო თვალსაჩინოს ხდის მწერლის შინაგან სამყაროს, დაკვირვებულ მკითხველს კი მისი „დანახვა“ მხოლოდ მხატვრული ტექსტებიდან შეუძლია.



ერთ შემთხვევას გავიხსენებ. მურმან ლებანიძე უნივერსიტეტის ეზოში გავიცანი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მურმანი თავისი ლექსების გამო დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მეგობრებმა ფული შეგკრიბეთ და რესტორანში დავპატიჟეთ. ვუთხარი, ძალიან გვიყვარხარ, შენთან ჭიქის ანევა გვირდა და უარს ნუ გვეტყვით. ძალიან გაუკვირდა, გაუხარდა და დაგვეთანხმდა. კარგად მოვიღიხნეთ. ლექსების კითხვა, სადღეგრძელოები გვიანობამდე გავრძელებოდა. ბატონმა მურმანმა მოგვიბოდიშა და ადრე წავიდა. ჩვენ კი გავაგრძელებთ. როცა ანგარიშის გასწორე-

კლასიკური რითმის ქვეყანა ვართ. დღეს კი უპირატესობას ვერლიბრს ანიჭებენ. ურითმო ლექსებს ადრეც წერდნენ. ამას ალექსი ჭინჭარაულმა ცნობილი კაფია მიუძღვნა. კლასიკურ რითმზე განწყობილი ლექსი ავტორისგან შინაგან მუსიკას, მეტაფორების, პოეტური სახეების სიმდიდრეს ითხოვს. ასეთი ლექსის წერა ადვილი ნუ გგონიათ. ზმნა — ზმნას, ან არსებითი სახელი — არსებითს კი არა, წინდადების სხვადასხვა წევრები რომ ერთიმემა ერთმანეთს, მაღალი რანგის პოეზია სწორედ ისაა. ქართულ პოეზიაში არსებობს რითმები, რომლებიც არასოდეს დაგვიწყდებიან.

— **მრჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენი, როგორც ლიტერატორისა და როგორც მკითხველის განსაკუთრებული სიმპათია პოეზიისკენ იხრება. ვფიქრობ, ლიტერატურის ამ უანრისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს „დიდი ხალხური პოეზიის“ კრებულშიც, თქვენ რომ შეადგინეთ.**



— ხალხური ლექსების კრებულზე ვახუშტი კოტეტიშვილთან, ალექსი ჭინჭარაულთან და თენგიზ მირზაშვილთან ერთად ვიმუშავე. კრებულის უკანა მხარეს, გარეკანზე ფოტოა, რომელზეც ოთხივე ერთად ვართ გამოსახული. ნიგნი დაახლოებით ხუთი წლის წინ გამოიცა. პროექტის განხორციელებაში ფინანსური მხარდაჭერა „ბორჯომის მინერალური წყლების კომპანია“ გავიცინა, რითვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ მათ. ამის შემდეგ მეგობრებთან ერთად გარკვეული თანხები ისევ მოვიძიე და გაცილებით რთულ საქმეს, სრულიად საქართველოს ფოლკლორული ნიმუშების შეგროვებას მივყავი ხელი. კრებულზე დიდხანს ვშუაობდით. ათას ოთხას გვერდიანი ნიგნი გამოსაცემად თითქმის მზად არის. მასში საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ნიგნის რედაქტორი ამირან არაბული გახლავთ. კრებულს სავარაუდოდ „მერიდიანი“ გამოსცემს.

დღევანდელი პოეზიის მემკვიდრეები ვართ, თუმცა არ მგონია, მომავალმა პოეტებმა ღირსეულად გააგრძელონ ქართული ლექსის ტრადიცია.

— **კონკრეტული ავტორები გყავთ მხედველობაში? ნუთუ ახალგაზრდა პოეტებიდან — ისინი კი არც ისე ცოტა არიან — არცერთის შემოქმედება არ მოგწონთ?**

— მოგეხსენებათ, ილია ჭავჭავაძის ფონდი ყოველწლიურად მართავს ლიტერატურულ კონკურსს. ჟიურის წევრი გახლავართ. ვარდა ამისა პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებსაც ინტენსიურად ვეცნობი და შემიძლია ვთქვა, ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებით პოეტეციას კარგად ვიცნობ. არ მინდა მიიჩნიოთ, რომ განურჩევლად ყველას მიმართ სექსტიკური დამოკიდებულება მაქვს. რა თქმა უნდა, ასე არ არის. ახალგაზრდები მეტ-ნაკლები წარმატებით წერენ. ოთხი-ხუთი მათგანი განსაკუთრებით იმედისმომცემია. მათ გვარებს ამჟამად არ დავასახელებ, თუმცა ისინი ჩემი რჩეულები არიან. ორი წელია ყურადღებით ვადევნებ თვალს მათ შემოქმედებით ზრდას და დარწმუნებული ვარ, ქართველ მკითხველს ისინი ბევრჯერ გაახარებენ.

ესაუბრა თამარ ჟურული



მომეცინა რომ დამარხული რომ იპოვოს,

დასახვისი პირველ გვერდზე

რამდენი ვიცით და რამდენი არ ვიცით, სახელიანიც და უსახელინიც, დავინწყებისთვის რომ გაუნჩრავს დროს, კიდევ რამდენს განირავს. ლიტერატურა თუ რაიმეთი ჰგავს ცხოვრებას, უპირველესად ამით, დავინწყების დიალექტიკით. ღმერთმა ნუ ქნას, სხვაგვარად იყოს. დავინწყება რომ არ არსებობდეს, არ იქნებოდა მენსიერება. დავინწყებულნი რომ არ იყვნენ, სად იქნებოდნენ დაუფიქრებელი.

კლასიკა — ეს არის მარადი ხსოვნა. ტრადიცია — უწყვეტობის ნესი. ყოველდღიურობას აქვს თავისი დიალექტიკა, რომელიც უწყვეტობის ნესით ხორციელდება.

მარტის შუა რიცხვებში გოგი ხარაბაძემ დამირეკა: „ოთარ ჭილაძის დაბადების 80 წლისთავისათვის აუდიო-დისკო ჩვენწერე. პრეზენტაციას გეპატიჟები“.

„როგორ მომენტატრა ოთარ ჭილაძე“, — ვთქვი და შემდეგ დიდხანს ვიფიქრე, რამ მათქმევინა ეს ფრაზა: პათეტიკამ თუ სხვა რამემ, რასაც ახსნა სჭირდებაო.

იმ საღამოსვე გადმოვიღე სამტომეულის მესამე ტომი — „რკინის თეატრი“, ლექსები, პოემები.

თეატრალურ შეხსტს ჰგავდა, რაღაც ისეთს, მურმანს რომ აქვს — „დავწვდები ტატოს, დავწვდები ვალას, გადავშლი ლალოს, გადავშლი ანას...“

შარშან, სექტემბრის დასახვისში, ხუთი დღე გავატარე ბათუმში, „რკინის თეატრის“ უკან მდებარე სასტუმროში. იქ ახლა ცირკია. სხვა ჟრიალული ისმის, მაგრამ ლიტერატურული უკვდავოების ბეჭედს ვერ აუქმებს, პირიქით, ამძაფრებს გრძობას და წარსულის განცდას.

სიტყვაში შენახულ ხატს სხვა ძალა აქვს.

20 მარტი. „ნიგნის სახლი ბახტრიონზე“. მაინცდამაინც ბახტრიონზე, ბახტრიონის 11-ში. მშვიდი, მყუდრო, შინაურული გარემო რესპექტაბელურობის ძალდაუტანებელი ხულისკვებით.

გოგი ხარაბაძე აუდიო-სასწაულს ახდენს და მგონი თვითონაც ვერ ხვდება. 120 დისკო — მთელი ბიბლია, თავიდან ბოლომდე, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... ახლა ოთარ ჭილაძე. ოცდაათი ლექსი

და პოემა „სინათლის წელიწადი“. ორ დისკად. ერთი, ძლიერი ამოსუნთქვით, ინტერპრეტატორის პრეტენზიით წაკითხული პოეზია. ოთარ ჭილაძე რომ წაკითხოს მსახიობმა, ამის უფლება უნდა გქონდეს, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით.

შეფუთვაზე არის მწერლის ავტოგრაფი: „მე, ოთარ ჭილაძე, უფლებას ვაძლევ ჩვენს სახელოვან მსახიობს, გოგი ხარაბაძეს, ნებისმიერ ადგილას — სცენაზე, რადიოში, ტელევიზიაში — წაკითხოს მის მიერ შერჩეული ჩემი ნებისმიერი ლექსი. ოთარ ჭილაძე. 26 ოქტომბერი, 2006“.

გემოვნება და ხარისხი — „სანო სტუდიის“ საფირმო ნიშანი! სიმპატიით განგანყოფს ჩანაწერების შესრულებისა და გაფორმების მხატვრული სისადავე. შეგიძლია უხინჯოდ გაიხარო იმით, რომ ამ საქმეს დიდი ხანია სტაბილურად ემსახურებიან კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი, ხმის რეჟისორი გიორგი ქუთათელიაძე, მხატვარი კოტე ჯაფარიძე, პროდიუსერები თამარ ცაგარეიშვილი, გიორგი ხარაბაძე (შვილი) და, რაღა თქმა უნდა, მერაბ სანოძე.

და მაინც, ეს იმდენად აუდიო ჩანაწერების პრეზენტაცია არ იყო, რამდენადაც ოთარ ჭილაძის გახსენება, მონატრება, დაფასება, მიახლება მის ჯადოსნურ სიტყვასთან.

„ოთარ ჭილაძე არსად წასულა. ის აქ არის, ნიგნებში, თაროებზე... დისკებზე, ჩვენს ფიქრებში. მარადიული კაცი იყო. თვითონვე ქმნიდა მარადიულობას დიდ წინამორბედებთან ერთად“ — ამბობდა გოგი ხარაბაძე და იგრძნობდა, რომ მისი სიტყვაც და მსმენელის ფიქრაც ოთარ ჭილაძის ცნობილი ათმარცვლედის სევედიან რიტმზე იყო მომართული.

ცხოვრება დეტალებისგან შედგება და

ივანე ამირხანაშვილი

# ლინგვისტური „აკაველა“ ანუ ოთარ ჭილაძის მონატრება

და პოემა „სინათლის წელიწადი“. ორ დისკად. ერთი, ძლიერი ამოსუნთქვით, ინტერპრეტატორის პრეტენზიით წაკითხული პოეზია. ოთარ ჭილაძე რომ წაკითხოს მსახიობმა, ამის უფლება უნდა გქონდეს, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით.

შეფუთვაზე არის მწერლის ავტოგრაფი: „მე, ოთარ ჭილაძე, უფლებას ვაძლევ ჩვენს სახელოვან მსახიობს, გოგი ხარაბაძეს, ნებისმიერ ადგილას — სცენაზე, რადიოში, ტელევიზიაში — წაკითხოს მის მიერ შერჩეული ჩემი ნებისმიერი ლექსი. ოთარ ჭილაძე. 26 ოქტომბერი, 2006“.

გემოვნება და ხარისხი — „სანო სტუდიის“ საფირმო ნიშანი! სიმპატიით განგანყოფს ჩანაწერების შესრულებისა და გაფორმების მხატვრული სისადავე. შეგიძლია უხინჯოდ გაიხარო იმით, რომ ამ საქმეს დიდი ხანია სტაბილურად ემსახურებიან კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი, ხმის რეჟისორი გიორგი ქუთათელიაძე, მხატვარი კოტე ჯაფარიძე, პროდიუსერები თამარ ცაგარეიშვილი, გიორგი ხარაბაძე (შვილი) და, რაღა თქმა უნდა, მერაბ სანოძე.

და მაინც, ეს იმდენად აუდიო ჩანაწერების პრეზენტაცია არ იყო, რამდენადაც ოთარ ჭილაძის გახსენება, მონატრება, დაფასება, მიახლება მის ჯადოსნურ სიტყვასთან.

„ოთარ ჭილაძე არსად წასულა. ის აქ არის, ნიგნებში, თაროებზე... დისკებზე, ჩვენს ფიქრებში. მარადიული კაცი იყო. თვითონვე ქმნიდა მარადიულობას დიდ წინამორბედებთან ერთად“ — ამბობდა გოგი ხარაბაძე და იგრძნობდა, რომ მისი სიტყვაც და მსმენელის ფიქრაც ოთარ ჭილაძის ცნობილი ათმარცვლედის სევედიან რიტმზე იყო მომართული.

ცხოვრება დეტალებისგან შედგება და

და მაინც, ეს იმდენად აუდიო ჩანაწერების პრეზენტაცია არ იყო, რამდენადაც ოთარ ჭილაძის გახსენება, მონატრება, დაფასება, მიახლება მის ჯადოსნურ სიტყვასთან.

„ოთარ ჭილაძე არსად წასულა. ის აქ არის, ნიგნებში, თაროებზე... დისკებზე, ჩვენს ფიქრებში. მარადიული კაცი იყო. თვითონვე ქმნიდა მარადიულობას დიდ წინამორბედებთან ერთად“ — ამბობდა გოგი ხარაბაძე და იგრძნობდა, რომ მისი სიტყვაც და მსმენელის ფიქრაც ოთარ ჭილაძის ცნობილი ათმარცვლედის სევედიან რიტმზე იყო მომართული.

ცხოვრება დეტალებისგან შედგება და

ეს რომ არ ითქვას, არ შეიძლება. თამაზ ჭილაძე აპირებდა წინასწარ დაწერილი ტექსტი წაკითხა, მაგრამ ექსპრომტად დაწყებული სიტყვა აღარ განცვიტა, ბოლომდე ასე ჩავიდა, შინაგან რიტმსა და გულისხმას მივლილობილი. აი, მისი სიტყვა, დაახლოებით:

„მინდა ვთქვა ის, რასაც მე და ოთარი ერთნაირად ვფიქრობდით და ვამბობდით კიდეც. გოგი ხარაბაძე არის შეუმცდარი ნიჭი. ეს არის თვითმყოფადი მსახიობი, რომელმაც თავისი სახე და თავისი სამყარო შექმნა.“


მან ადამიანის ხმა აქცია სასწაულმოქმედ საშუალებად, პოლიფონიურ ორკესტრად. ხმაურით სავსე სამყაროში შექმნა ლინგვისტური „აკაველა“, რომელსაც შეუძლია გადმოსცეს მხატვრული სიტყვის ყველაზე რთული ნიშნავება.

ამასწინათ ვიტორიო გასმანს ვუსმენდი „კულტურის“ არხზე. ფეხშიშველი იდგა. დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ კითხულობდა. იტალიური ენა არ ვიცო, მაგრამ როდენ უცნაურად უნდა იყოს, აზრი მესმოდა, უცხო ენაზე წარმოთქმული ფრაზების არსი ჩემამდე ხმის, ბგერის, დიქციის, ვერბალური მუსიკის მეშვეობით აღწევდა.

დაახლოებით ასეთ რამეს აკეთებს გოგი ხარაბაძე, ტექსტში მუსიკას აცოცხლებს. სათქმელი მარტო სიტყვით კი არა, სხვა საშუალებებითაც მიაქვს მსმენელთან.

ჩვენ დაგვაავიწყდა სიტყვა „არტისტის“ მნიშვნელობა. ის ხომ „არტიდან“ ანუ „არსიდან“ მოდის, რაც ხელოვნებას, საქმის ოსტატურ ფლობას ნიშნავს.

მე კარგად მახსოვს გოგის ბრწყინვალე თეატრალური და კინემატოგრაფიული როლები, მაგრამ ჩემთვის კასაოცარია ისიც, რაც მან სამსახიობო კარიერის შემდეგ შექმნა — მხატვრული კითხვის ჩანაწერები. ამიტომ ვამბობ, რომ ის არის არტისტი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით“.



ნიგნის სახლში ბახტრიონზე ამაღლებული განწყობილება სუფევდა, მაგრამ ეს პათეტიკამ არ გადაზრდილა. თამაზ ნიგნავაძემ თავის სიტყვაში მთანმინდის თემა რომ ახსენა, ეს არ იყო მგზნებარების მიზეზით გაჩენილი ასოციაცია, ამით ოთარ ჭილაძის ფენომენის ეროვნულ მნიშვნელობას უფრო გაეხსნა ხაზი, რადგან ის არის მწერალი, რომელზეც ითქვა, რომ მან გასული საუკუნის ბოლოს ევროპის ლიტერატურულ რუკას დაუბრუნა საქართველო.

კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის წერილშიც, რომელიც საღამოზე წაკითხეს, მწერლის ეროვნულ მისიაზე იყო ყურადღება გამახვილებული.

სასიამოვნო საღამო იყო, რადგან ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო სიამოვნება ვალმოხდილისა. ეს იყო დაბრუნება საყვარელ მწერალთან, მიახლოება ჭეშმარიტებასთან და სანდოობასთან, რომლის გარეშე არ არსებობს ლიტერატურა და, რასაკვირველია, არც კლასიკა, რომელიც, მართლაც, არის ის, რაც მუდამ თავისთან გაბრუნებს, რაც მუდმივად მეორდება შენთვის, შენი თანდასწრებით.

დათო ტურაშვილი:

## „მზე დასავლეთისკენ მოძრაობს“

დასასრული

ქართველებმა დამირეკეს და მიტხრეს, ახლა თქვენ რომ ნიგნი მიუძღვნით, იმ პატრიკ ოლირის ჩამომავლების ოჯახში ვიმყოფებით დუბლინშიო. ხომ არ ვეტყვოდი, პატრიკ ოლირი ჩემი მოგონილი პერსონაჟია-მეთქი. იმავე ნიგნთან („ჩაძირული ქალაქის დამე“) დაკავშირებულია თითქმის ანალოგიური შემთხვევა (აი, უკვე მეორე მაგალითს ვყვები). ერთხელ გადაცემაში „რა? სად? როდის?“ შეკითხვით მიმართულ მოაზროვნებებს. შეკითხვა და პასუხიზე ჩემი ნიგნიდან იყო და რადგან ნიგნი არ მიუთითებს, შეცდომით წააგეს კიდევ — წამყვანმა მიიჩნია, რომ მოთამაშებმა არ იცოდნენ ისტორიული ფაქტი. რასაკვირველია, არ მწყენია. პირიქით, სადღაც გამიხარდა კიდევ, რომ ლიტერატურას ასეთი ძალა აქვს.

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ არხზე ლიტერატურის ბლოგს უძღვებდი, უფრო აქტიურად გინვეს შეხება ახალ ნიგნებთან. შეგიძლია შეაფასო, რა ვითარებაა ბოლო პერიოდში თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რამდენად საინტერესო ნიგნები გამოდის?

პროზა უფრო საინტერესო გამოდის, ვიდრე — პოეზია. როგორც ჩანს, გალაკტიონის გავლენისაგან თავდახსნა კიდევ დიდხანს გაუჭირდება ქართველ პოეტებს. ეს კარგიც არის და ცუდიც. თუმცა მთავარი და თვალშისაცემი მაინც გამოცემათა სიმრავლე და მრავალფეროვნებაა, რაც ჩვენი გამოცემების დამსახურებაა. იმდენი მყიდველი რომ გვყავდეს, რამდენი მკითხველიც გვყავს საქართველოში, ნამდვილი ლიტერატურული ბუმი გვექნებოდა.

უცხოენოვანი ნიგნების საკითხავად თუ იცლი და ამ კუთხით თუ შეგხვედრია განსაკუთრებით საინტერესო ავტორი?

ერთადერთი, რისთვისაც ყოველთვის ვიცი, კითხვაა, რადგან შემოძლია ნებისმიერ მდგომარეობაში ვიკითხო. ქუჩაში რომ მივდივარ ფეხით, მაშინაც კი ვკითხულობ. ბოლო დროს წაკითხულთაგან განსაკუთრებით საინტერესო იყო კატალუნიელი მანუელ ბუიკა. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ უინტერესო ნიგნი და ავტორი იშვიათად მხვდება და ქართველია თუ უცხოელი, ყველას სიამოვნებით ვკითხულობ იშვიათი გამონაკლისების გარდა (მგონი ცოტა გავმანაკლი).

— ორიოდე წლის წინ დიეგო მარადონას ავტობიოგრაფიული ნიგნი — „მე, დიეგო“ — თარგმნე. ეს ერთჯერადი პროექტი იყო თუ კიდევ აპირებ ამ მიმართულებით მუშაობას?

— ნიგნის თარგმნა ძალიან საინტერესო პროცესია და თუ რომელიმე გამოცემლობა დაინტერესდება, ესპანურიდან ვთარგმნი მარკესის დოკუმენტურ პროზას. მისგან მაქვს კიდევ თანხმობა ერთ ნიგნზე, რომელსაც ჩვენთან არ იცნობენ, მე კი ძალიან მომწონს და ვფიქრობ, ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება. ხშირად გვგონია, რომ დიქტატურა მაშინაა ცუდი, როცა ხელისუფლების სათავეში მემარცხენეები არიან. არადა, მემარჯვენეების დიქტატურაც ისეთივე სამარცხვინო ბოროტებაა და მარკესის იმ ნიგნს ჰქვია „მიგელ ლიტინის საიდუმლო მოგზაურობა ჩილეში“.

— შენი ნიგნების თარგმნას რაც შეეხება, უკვე აღნიშნე, რამდენიმე ენაზე თარგმნილი „ჯინსების თაობა“ და მოთხრობები. ამ კუთხით თუ იგეგმება რაიმე სიახლე?

— ნაწილობრივ უკვე გიპასუხე. ყველაზე ადრე, მაისში, ჩემი ნიგნი ჰოლანდიაში გამოვა. გარეკანის ნიმუში ჰოლანდიელებმა ლაიფციგში ჩამომიტანეს და ძალიან მომეწონა. ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, იმასაც ვიტყვი — რამდენ

ენაზეც არ უნდა თარგმნონ ჩემი ნიგნები, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ქართველი მკითხველია და მისი ხარია, რომ სწორედ ისეთ ნიგნებს ვწერ, რომლის ნაკითხვაც საქართველოში ბევრს არ ეზარება. ჩვენს დიალოგში უკვე ჩვენებულ ბორხეს კიდევ ერთხელ დავესესებო — დიდი არგენტინელი მწერალი მიჩნევა, რომ კარგი ნიგნი სწორედ ის არის, რომელსაც ადამიანები ინტერესით კითხულობენ და კითხვისას არ წვალობენ.

— ამჟამად რაზე მუშაობ და რას უნდა ელოდეს უახლოეს მომავალში მკითხველი დათო ტურაშვილისგან?

— ამჟამად ვწერ კინოსცენარს და მალე გამოვა რომანიც. საერთოდ კი, იმასაც ვიტყვი: თავად წერის პროცესი ჩემთვის იმდენად დიდი ვნება და სიამოვნებაა, რომ ყველაზე მეტად ის ნიგნი მაინტერესებს, რომელიც ჯერ არ დამიწერია.

— და ბოლოს, რამდენიმე წლის წინ ამბობდი, რომ საკუთარ თავს მთხრობელად უფრო მიიჩნევ, ვიდრე მწერლად.

დათო ტურაშვილი  
ამერიკული ზღაპრები

დედასაც ასე ფიქრობთ თუ შეიცვალა რამე?

— დასავლური გაგებით მწერალი ვარ (ვინც წერს, მწერალია), რუსული და საბჭოური გაგებით — მხოლოდ მთხრობელი. რასაკვირველია, ძალიან დიდ პატივს ვცემ რუსულ ლიტერატურასა და მის სტრუქტურულ ტრადიციებს, მაგრამ მე მაინც დასავლეთზე ორიენტირებული ადამიანი ვარ, რადგან მზე მიყვარს და მზე კი, როგორც ცნობილია, ყოველთვის დასავლეთისკენ მოძრაობს...

ესაუბრა ნანა კობაიძე

NEW VOICES FROM GEORGIA  
LEIPZIG | 2013

### პროლოგის ნაცვლად ლირიკული ინტერმედიო:

ეს ამბავი ზუსტად დღეს (2013 წლის 18 მარტს) მოხდა: დავასრულე თუ არა თუა ლომადის წიგნის — „ქარის მოტანილი ამბების“ — კითხვა, ქარი ამოვარდა, ნამდვილი ქარიშხალი. თუმცა, არც გამკვირვებია, ეგ კი არა, ველოდი კიდევ როცა ასეთ წიგნს კითხვობ, უნდა გვეროდეს, რომ ზღაპრული სასწაული ავტორის მოგონილი კი არ არის, არამედ რეალობა, შენ გვერდით, შენთან ერთად არსებობს, მაგრამ ვერ ხედავ, ვერ ამჩნევ იმიტომ რომ...

ყოველდღიურ ყოფაში გათქვევდეს ზოგჯერ გაიწყინება, უფლის მიერ შექმნილი ამოუცნობ სამყაროში რომ ცხოვრობ და შენგან განსხვავებით, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ამ სამყაროს შემეცნება, დანახვა შეუძლიათ და ასეთ ადამიანებს უწოდებთ მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და... მწერლებს.

როგორ მწერლებს? კარგ მწერლებს! ისინი პირობითად ასე იყოფიან — სადილო და საბავშვო მწერლები. რაც უფრო კარგი მწერალია, მით უფრო ენდობიან ბავშვები, მით უფრო მეტად უყვართ მისი ზღაპრები, მოთხრობები და ლექსები.

\*\*\*  
ჰო, რას ვამბობდი? გამახსენდა: თუა ლომადის „ქარის მოტანილი ამბების“ ბოლო ფურცელი ჩავიკითხე თუ არა, მაშინვე ისეთი ქარი ამოვარდა, ჩემს წინ, პატარა სახლის აივანზე, კოხტად დასკუპული, ქოთნებში ჩარგული პანანინა ნაძვები სულ მიღწე-მოღწეა. მე კი მივხვდი, რატომაც გაბრაზდა დედაქარი ასე ძალიან, მაგრამ რომ გაგიმზილოთ, დამცინებთ და მრცხვენია. ამიტომაც გადავწყვიტე ისე ვისაუბრო ამ წიგნსა და ამ მწერალზე, როგორც, ჩვენ, დიდებს გეჩვენება.

\*\*\*  
მაშ ასე: მაშინ, როცა თანამედროვე საბავშვო მწერლობაზე ვსაუბრობთ და გვსურს მისი მიუკერძოებელი სურათი ნარმოვანინოთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ თუა ლომადი. მართალია, მის კრებულს ისეთი პოპულარული გამოცემლობები გამოსცემენ, როგორცაა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ და „დიოგენე“ (1996 წელს „დიოგენეს“ მიერ გამოცხადებულ საბავშვო ნაწარმოებთა კონკურსში მისმა ზღაპრამა „პალომა — უცნაური მეფის ასულმა“ II პრემია დაიმსახურა და რუსუდან ფეტვიანიშვილის ილუსტრაციებით, ქართულ-ინგლისურ ენაზე შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე დაისტამბა) მაგრამ, მაინც რატომღაც ასეთი საინტერესო საყმაწვილო მწერალი, ისეთივე პოპულარული არ არის, როგორც ზემოთ ნახსენები გამომცემლობები. სამწუხაროდ, ვერც ინტერნეტით მოვიძიებ ვერცხე არაფერი ინფორმაცია თუა ლომადიზე, როგორც აღიარებულ საყმაწვილო მწერალზე.

რატომ ხდება ასე? ქართული საბავშვო ლიტერატურა, როგორც აქამდე იყო „დაკანონებული“, გერის მდგომარეობიდან არ უნდა გამოვიდეს?!  
თუმცა...  
ეს კითხვა დარჩეს რიტორიკულ შეკითხვად!  
და ისევ თუა ლომადის დაუბრუნდეთ: ერლომ ახვლედიანი ერთგან წერს: „ბავშვის ფსიქიკა არამყარია. ის სუფთა დაფაა და რაც მასზე დაინერება, თავადაც და სხვაც მას ამოიკითხავს. მასზე კი ყველაფერი ინერება, კარგიც და ცუდიც. მასზე ინერება პიკანტური, მძაფრი განცდებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. ბავშვი ღრუბელივით ისრუტავს არა იმას, რასაც ჩვენ მას ვუბნებთ, არამედ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და გულმოდგინედ ვმალავთ: მას თან დაყოლილი უნარი აქვს, ამოიკითხოს, რა წერია სტრიქონებს შორის.“  
და თუ რატომ მომაგონდა მაინცდამაინც ეს გამონათქვამი, როცა თუა საბავშვო თხზულებებს ვავეცანი, შევეცდე გიპასუხოთ და ჩემი უფრო დაკვირვება

გაგიზიაროთ: ეტყობა, ერლომ ახვლედიანის შემოქმედებას კარგად იცნობს თუა ლომადი. ამ მწერლის თხრობის მანერამ უნებურად გამახსენა ერლომ ახვლედიანის იგავები (ხოლო უცხოელ ავტორთაგან — ასტრიდ ლინდგრენი), სადაც ყველა წინადადება „გამჭვირვალეა“, ყოველგვარი ზედმეტი მეტაფორებისა და გადამეტებული ეპითეტებისაგან „გასუფთავებული“.  
თუა ლომადის მოთხრობიდან („ერთი პატარა სასწაული“) ვანჩოს ბაბუა, მგონი, ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკოდანა“ გადმობარგებული.  
აი, ნახეთ თუ არა:  
„ღამით კი ბაბუა ვანჩოს ლოგინში ჩაანვენდა და ზღაპრებს უამბობდა. მან ბევრი ქართული ზღაპარი იცოდა, მაგრამ ყველაზე ხშირად „კომბლეს“ უყვებოდა. მგონია, იმიტომ რომ პატარაობისას ეს ვანჩოს ყველაზე საყვარელი ზღაპარი იყო. ო, რა კარგი იყო: ბიჭი თბილ ლოგინში იწვა, ბუხარში ცეცხლი გუზუგუზებდა, ფანჯარა-

ნინო ჩხიკვიშვილი

## როცა ქარი ქროდა...

თუა ლომადის ჯადოსნური ამბები

ში ჩამოქებული ცის ფონზე აკაშკაშებული მთვარე და მცოცავი ღრუბლები მოჩანდა, ყურში კი ბაბუას დინჯი, სასიამოვნო ხმა ჩაესმოდა.  
„მას შემდეგ, რაც ბაბუა ჩემი აღარ არის, არავინ მიყვება ტკბილ ქართულ ზღაპრებს. ამიტომ მე, უკვე რამდენიმე წელია, ძილისწინა ოცნებითა და წარმოდგენებით ვინაზღაურებ ამ დანაკლისს. გავა დრო და დღისაგან გამოყოფილ ფიქრებში ჩამეძინება.“ — ამას კი ერლომ ახვლედიანი წერს თავის „ვანოსა და ნიკოში“.

\*\*\*  
თუა ლომადი ყმანვილებს (მათთვის გასაგებ ენაზე) თითქმის ყველაფერზე ესაუბრება.  
მაგალითად, ასწავლის, როგორ ნაიკითხოს წიგნი, როგორ ამოიჩიოს მწერალი და როგორ „გაიყოლოს“ დიდობაში ის განუმეორებელი, უცნაური სურნელი მხოლოდ ბობლიოთეკაში შესვლისას რომ იგრძნობა (ამ განუმეორებელ სურნელს სიტყვებით ვერ გადმოსცემ, მას სხვა ინტიმი აქვს და მისი დავიწყება შეუძლებელია).  
გავიხსენოთ, თუნდაც, მოთხრობიდან „ერთი პატარა სასწაული“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ვანჩოს პირველი სტუმრობის ეპიზოდი, როგორ ბუნებრივად იზადება ჩვენს თვალწინ პატარა მკითხველს...  
მწერალი წერს ომზე, სიკვდილზე, მოუჩინებელ სენზე, მიტოვებულ დედაზე, სიმდიდრესა და სიღარიბეზე, ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე. თუა ლომადის მოთხრობებსა და ზღაპრებში გვერდიგვერდ ცხოვრობენ სახელმწიფო მოღვაწენი და რიგითი მოქალაქენი... ეგ კი არა, ჩინელზე უცხოველად და ამ შემთხვევაში, მათთვის (ჩინელებისთვის) ისეთ დამახასიათებელ პრობლემას ნამოსწევს წინ, რომ შეუძლებელია, გულგრილი დარჩე, როგორც მკითხველი და თუნდაც — კრიტიკოსი.  
მოკლედ, ეს ის თემებია, რაზეც, ჩემს ბავშვობაში, ჩვენთვის გასაგებ ენაზე არასაღრსო გვესუბრებოდნენ უფროსები.

ამ მწერალს შეუძლია წეროს ომზე (კერძოდ, აფხაზეთის ომზე) ისე, რომ არსად ახსენოს სისხლი და ცხედრები, თუმცა ზუსტად შექმნას ამის ასოციაცია და ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით დაგვიანახოს, როგორ იმლება, როგორ ნანევრდება ომის ფონზე მოზარდის ფსიქიკა... ამისი საუკეთესო ნიმუშია „წერილი ბოთლში“ — პატარა გოგონას ჩანაწერები „ანა ფრანკის დღიურის“ მსგავსი და არანაკლებ მძაფრი და ტკივილიანი ქართულთათვისა და აფხაზეთისთვის. ამ პატარა წიგნში ბავშვურ ოცნებებსა და სილამაზეს მოულოდნელად მკაცრი რეალობა ცვლის, თუმცა, კვლავ ბავშვური ალლოთი ახერხებს დააღწიოს თავი ამავე რეალობას — გამოიგონოს კუნძული, რომელიც ყველა თაობის მკითხველში გააცოცხლებს გულისგულში საგულდაგულოდ დავმანულ თუ მივიწყებულ გზას ამ კუნძულისკენ

(რომელიც ხშირად უკაცრიელი იმიტომ რჩება, რომ მისკენ სავალ გზას ვეღარ ვიგნებთ).  
თუა ლომადის, როგორც მწერლის დიპლომატიურ ფართეა, ვიტყვოდი, მოზაიკურიც კი... ის არ წერს მხოლოდ ზღაპრებს, საყმაწვილო მოთხრობას. მხოლოდ დღიურის ჟანრით არ არის გატაცებული. მისი მხატვრული ტექსტები ეკლექტიკურია, მისი ქსოვილი აგებულია, როგორც ჯადოსნური ზღაპრისთვის (გავიხსენოთ „პალომა უცნაური მეფის ასული“), ასევე დღიურის ჟანრისთვის მახასიათებელი ნიუანსებით და ამავე დროს იმდენად რეალისტურია, რომ გიკვირს (ეგ კი არა, ირონია და სარკაზმიცაა მისთვის დამახასიათებელი. გავიხსენოთ, მოთხრობა „ქარის მოტანილი ამბავი“ ავტორის მონოლოგი) თუ „როგორ ბედავს“ ასე ღიად ელაპარაკოს მოზარდს ამ ყველაფერზე და მისგან მოელოდეს მკაცრი რეალობის ადეკვატურ აღქმას?!  
თურმე შეიძლება!...  
და წარმატებითაც... თუკი ალლოთი



თუა ლომადი

მიანებე სასურველ სასაუბრო ინტონაციას და მიხვდები, თუ როგორები არიან თანამედროვე პატარები... ამ შემთხვევაში მთავარია, ერთი მარტივი რამ (რაც, სამწუხაროდ, ხშირად ვიწყებდებით საყმაწვილო ნაწარმოებების ავტორთ): პატარას ენა არ უნდა მოუჩლიყო, ისე უნდა ესაუბრო, თვითონ მიხვდეს, რომ მისი გულშემატკივარი ხარ — ის ადამიანი, რომელსაც კარგად ესმის მისი და შეუძლია მასთან ერთად გაიხაროს და... ზოგჯერ იცვლეს კიდევ!  
თუა ლომადი „ქარის მოტანილი ამბავში“ მწერლის ცხოვრებისეულ ეპიზოდს ისე დანერგულია ალწერს, ერთი პირობა, დავექვიდი კიდევ, მოახერხებდა კი „ამ ამოუვალა მდგომარეობიდან“ თავის დაღწევას? იქნებოდა კი მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის ასახვა ყმანვილისთვის საინტერესო?! მაგრამ მსუბუქად, ისე ოსტატურად შეთხზა ფაბულა, რომ იოლად მიადინა მიზანს. აქვე, თამამ-თამამით შეეხო იმ პრობლემებსაც, რომელიც (როგორც უკვე აღვნიშნეთ) მწვავედ დგას ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში — საბავშვო მწერლის ადგილს თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში და დამოკიდებულებას გამომცემლებთან.  
„საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მწერალმა ისევ დაიწყო

წერა, ოღონდ სულ სხვანაირი წიგნის. მან დაიწყო წერა ბავშვებისთვის. სხვა მწერლებს რომ ჰკითხვით, შემოქმედებით მწვერვალზე მყოფმა სამი ნაბიჯით უკან დაიხიაო, მაგრამ, აბა, იმით რა ესმით. ჰო, რა თქმა უნდა, საბავშვო წიგნებში დიდ პრემიებს არავინ მისცემს, მაგრამ ეყო, რაც დიდებს ემსახურა და ყოვლად გაუგებარი რომანები შექმნა. ახლა კი ისე შეიცვალა, მკაფიოდ და გასაგებად წერს. ახლა აღარ არის საჭირო მისი ნაწერის ორჯერ ან სამჯერ ნაკითხვა, რომ მთავარი აზრი გამოიტანო.“ — წერს ერთგან ავტორი.  
და იქვე:  
„რა ვქნა, მოთმინებით ველოდები იმ ახალი საბავშვო წიგნის გამოსვლას. ამ ჩემს ნაწერს კი, ახლა რომ კითხვობ, იცი რას ვუპირებ? გადავწყვიტე, დავასურათო და რომელიმე ენთუზიასტ გამომცემელს შევუვადო ოთახში, იქნებ მოენონოს და საკუთარი ხარჯით გამოსცეს. თუ არა და რას ვიზამ, დედას ვეცყვი და შურს იძიებს. ერთი კარგად აუჩქრავს თმას და ერთ-ორ ფანჯარასაც ჩაუმტვრევს. რა ვქნა, ალბათ, ცუდია ასე მოქცევა, მაგრამ მე ხომ ქარის ქალიშვილი ვარ, თქვენ რომ თითქმის არავის გიყვართ, იმ ქარისა და სხვანაირად მოქცევა, არ შემიძლია. მე ეს ამბავი მოგიტანეთ და უკან აღარ წავიღებ, როგორც ქარს სჩვენია.“  
აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო: თუა ლომადისთვის, როგორც მოთხრობისთვის, დამახასიათებელია (საყმაწვილო ლიტერატურისთვის, ალბათ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად გასათვალისწინებელი) კიდევ ერთი ნიუანსი: თხრობა ისეა აგებული (ზღაპრისთვის დამახასიათებელი შტრიხით), რომ მასში არასაღრსო იჩაგრება მეორეხარისხიანი პერსონაჟი. მთავარ პერსონაჟზე არ ფოკუსირდება. ამისი მიღწევა, მართლაც რთულია და მწერლურ ნიჭთან ერთად ხელობის ცოდნას, წერის ტექნიკასაც მოითხოვს. ამიტომაცაა გამორჩეული ავტორი და კიდევ, სანამ თხრობას დავასრულებდეთ, არ მინდა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ გამოიჩინეს: დღეს, სამწუხაროდ, ერთი ტენდენცია შეინიშნება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ავტორს ეროვნება არ უნდა გააჩნდეს და მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში იგი მისაღები თუ მოსაწონი სწოობის საზოგადოებისთვის. ეს ტენდენცია თუა ლომადის მხატვრული ტექსტებისთვის დამახასიათებელი არ არის... და მიუხედავად იმისა, მწერალი არსად ახსენებს საქართველოს, მაინც ახერხებს პატარა მკითხველს ასწავლოს სამშობლოს სიყვარული, გააფრთხილოს, რომ საკუთარ ქვეყანას, მინა-წყალს თუ ფუძე-ქარს მოვლა-პატრონობა სჭირდება (გავიხსენოთ „პალომა უცნაური მეფის ასული“ ანდა მოთხრობა „ერთი პატარა სასწაული“). ჩააგონოს, რომ ლოცვას დიდი ძალა და მაღლი აქვს (გავიხსენოთ, ჯადოსნური მოთხრობა „ჩანო-ჩეა“).

სწორედ ამიტომაც იკითხება ასე კარგად თუა ლომადის საყმაწვილო წიგნები. ამიტომაც უნდა ველოდოთ ამ ავტორის წიგნებს ინტერესით და იმედიით...  
\*\*\*  
პეილოგის ნაცვლად:  
ახლა კი დავასრულე იმით, რითაც დავიწყე:  
უფროსებს სასწაულებისა არ გვეჯერა, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა დამიჯეროთ:  
როცა ამ წერილის წერა დავასრულე და წერილი დავსვი, ქარი სადღაც გაქრა... ნიავიც კი აღარ უბერავდა.  
არა, არ გატყუებთ, ნამდვილად ასე მოხდა.  
ტყუილი, აბა, რა საკადრისია?!



ვლადიმერ ნაბოკოვი

შობა

I

ბინდვესპარული დათოვლილი სოფლიდან თავის აგარაკზე დაბრუნებული სლევ-ცოვი კუთხეში პლუმის დაბალ სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც მანამდე არასოდეს დამჯდარა. ასე დიდი უბედურებების შემდეგ ხდება ხოლმე. ღვიძლი ძმა კი არა, შემთხვევითი შეუმჩნეველი ნაცნობი, რომელსაც სხვა დროს ორ სიტყვასაც არ ეტყოდი, სწორედ ის ამოვიდგება მხარში, მარჯვედ, გულთბილად გამოგინვდის ხელს, დავარდნილ ქუდს მოგანოდებს, — როცა ყველაფერი დამთავრებულია, და შენ, დაბარბაცებულს, კბილები გიკანკანებს და ველარაფერს ხედავ მონოლითი ცრემლების გამო. ასეა ავეჯიცი. ყველა ოთახში, ძალიან მყუდროში და სასაცილომდე პატარაშიც კი, არის ხოლმე გამოუყენებელი კუთხე. სწორედ ასეთ კუთხეში დაჯდა სლევცოვი.



ლის დერეფნით — რომელიც ახლა ნამქერით იყო ჩახერგილი — ფლიგელი უკავშირდებოდა მთავარ სახლს, სადაც ზაფხულობით ცხოვრობდნენ. საჭირო არ იყო მისი გამოვლიძება, გათბობა, პატრონი სულ რამდენიმე დღით ჩამოვიდა პეტერბურგიდან და მომიჯნავე ფლიგელში დაბინავდა, სადაც თეთრი შორენკეციბიანი ლუმელების გახურება ადვილი საქმე იყო.

პატრონი ისე იჯდა კუთხეში პლუმის სკამზე, როგორც ექიმის მისალეში. ოთახი ნყვდიადში ჩაძირულიყო, ფანჯარაში, შუშაზე მიჭირხლული ბუმბულის მიღმა მუქლურჯად ბაბანებდა ადრიანი საღამო. ივანმა, ნყნარმა, ჩასუქებულმა მსახურმა, ახლახან რომ შეეპარსა უღლვამები, შემოიტიანა ნავთის ალით აპარსალებული გამართული ლამაზი, მაგიდაზე დადგა და უხმოდ ჩამოაფარა ზედ აბრეშუმის გალი: ვარდისფერი აბაჟური. დახრილ სარკეში ერთი წუთით აირეკლა მისი განათებული ყური და ჭაღარა თმა. მერე შეეცადა უხმად მართოდ გასულიყო და რბილად გაიხურა კარი.

ირგვლივ ისეთი სიჩუმე გამეფებულ იყო, როგორც მხოლოდ სუსხიან დღებში იცის ხოლმე. სლევცოვმა ფეხი მალდა ასნია, ბილიკიდან გადაუხვია და თოვლზე ლურჯე ორმოების დატოვებით გასაოცრად ნათელ ხეებს შორის იმ ადგილზე გავიდა, სადაც პარკი მდინარის ხეობისაკენ დაქანებულ ხრამთან მთავრდებოდა. შორს, ქვემოთ, ყინულჭროლთან, მდინარის გადათეთრებულ ზედაპირზე, ამოჭრილი ყინულები ლაპლავებდა, მეორე ნაპირზე კი ქოხების დათოვებით სახურავებიდან წყნარად და სწორად ადიოდა მალლა კვამლის მოვარდისფრო ნაკადები. სლევცოვმა კრაველის ქუდი მოიხადა და ხეს მიეყრდნო. სადღაც ძალიან შორს შეშას ჩეხდნენ, — ყოველი დარტყმის ხმა წერიალით სწვდებოდა ცას, — თოვლში ჩაფლული ქოხების სახურავებს ზემოთ, ხეების მსუბუქი ვერცხლისფერი ბურუსის მიღმა კი თვალისმომაკრულად ბრწყინავდა ეკლესიის ჯვარი.

III

ნასპაღოვმა ძველი მალაღმურგინი მარხილით გაემგზავრა იქით. ყინვაში ყრუდ ტყლაშუნობდა შავრა იაბოს ტყირპი, თეთრი მარაოები ზედ ქუდის თავზე მიცურავდნენ, წინ კი მოვერცხლისფრო ცისფრად ლაპლავებდა ბორბლების ნაკვალევი. თითქმის ერთი საათი იჯდა საფლავის ღობესთან გაყინულ თუჯზე მძიმედ ჩამოდებული შაღის ხელთათმანინი ხელით და სახლში, ცოტა არ იყოს, გულგატეხილი დაბრუნდა, თითქოს იქ, სასახლაზე, უფრო შორს იყო შვილისაგან, ვიდრე აქ, სადაც თოვლქვეშ მისი საზაფხული ფეხსაცემების უთვალავი ნაკვალევი იყო შენახული.

სალამოს, როცა მწუხარების განცდა აუტანელი გახდა, დიდი სახლის გაღება უბრძანა. როდესაც კარი გულამოსკვნილი ქვითქვითით გაიღო და ყრუდ ახმაურებული რკინის წინკარიდან რაღაც განსაკუთრებული, არამქვეყნიური სიცივის სუნი ეცა, სლევცოვმა ყარაულს თუნუქის რეფლექტორიანი ლამაზი გამაორთვა და მარტო შევიდა სახლში. პარკების იატაკი შემფოთებით აჭრატუნდა მისი ნაბიჯების ქვეშ. ოთახები ერთმანეთის მიყოლებით ივსებოდა ყვითელი სინათლით; სუდარაგადაფარებული ავეჯი უცხოდ გამოიყურებოდა; ნკარუნა ჭაღის ნაცვლად ჭერიდან გატრუნული ტომარა ჩამოკიდულიყო, — და სლევცოვის უზარმაზარი

ჩრდილი გამოვნდელი ხელით ნელ-ნელა მიცურავდა კედელზე, შესუდრული სურათების ნაცრისფერ კვადრატებზე.

იმ ოთახში შესულმა, სადაც ზაფხულში მისი შვილი ცხოვრობდა, ლამაზი ფანჯრის რაფაზე დადგა და ფრჩხილების მტკრევით ნახევრად გამოალო თეთრი დასაკეცი დაბრუნება, თუმცა ფანჯრის იქით უკვე დაღამებულიყო. მუქლურჯ მინაში ყვითელი ალი ალაპლაპდა — ოდნავ მბოლავი ლამაზი, — და მისმა დიდმა, წვერმოშვებულმა სახემ გაივლავა.

ის დაჯდა ცარიელ საწერ მაგიდასთან, მკაცრად წარბეკვრით მოათვალიერა მოლურჯოვარდებიანი ფერგამკრთალი კედლები, საკანტოროს მსგავსი ვინრო კარადა გამოსანევი უჯრებით ზემოდან იატაკამდე, შალითაგადაფარებული დივანი და სავარძლები — და უცებ თავი მაგიდაზე ჩამოუვარდა, გულამოსკვნილი აცახცახდა და თან ხან ტუჩებოთა და ხან სველი ლოყით ეკვროდა ცივ მტკრიან ხეს, ხელებით კი მაგიდის კუთხეებს ებლაშუქებოდა.

მაგიდაში იპოვა რვეულები, სახაზავეები, ინგლისური ბისკვიტების კოლოფი სამ მანეთად ღირებული დიდი ინდური პეპლის პარკით. ავადმყოფობისას ვაჟიშვილი მას ხშირად იხსენებდა, ნანობდა, რომ დარჩა, თუმცა თავს იმით ინუგეშებდა, ალბათ ჭურვი შიგ ცოცხალი აღარ იქნებოდა. იპოვა დახეული პეპლების საჭერი ბაღეც — დასაკეცი გვერგზე დამაგრებული მარამშის ტომარა, რომელსაც ჯერ ისევე შერჩენოდა ზაფხულის, ბალახიანი პაპანაკების სურნელი.

მერე კი, ჩაცუცქულმა, ქვითინისაგან ერთიანად აძაგდაგებულმა, კარადის მინის უჯრების გამოლევა დაინყო ერთი მეორის მიყოლებით. ლამპის მკრთალ შუქზე შუშის ქვეშ აბრეშუმით ბზინავდნენ პეპლების თანაბარი რიგები. აქ, ამ ოთახში, აი ამ მაგიდაზე, მისი ვაჟი თავის ნალაფარს ასწორებდა. შავი ქინძისთვის უხვრეტდა პეპლებს ბუსუსებთან ზურგებს, გასაშრულ ფირფიტებს შორის კორპის ღრეჩოში ათავსებდა, აბრტყელებდა; ქაღალდის ზოლებით ამაგრებდა ჯერ ისევე ნედლ, რბილ ფრთებს. ახლა ისინი უკვე კარგა ხნის გამომშრალნი იყვნენ — შუშის ქვეშ ნაზად ციმციმებდნენ კუდიანი მაკაგონები, მოცისფრო-ფირუზისფერი ფარვანები, წითური შავინკლებიანი მსხვილი პეპლები სადაფისებრი მუცლებით. ბიჭი მათ ლათინურ სახელწოდებებს ოდნავი ენის მოჩლექით, საზეიმოდ ან აგებულად წარმოთქვამდა.

IV

მტრამლისწერი მთვარიანი ღამე იდგა; თხელი ღრუბლები ბუს ბუმბულივით მიმოფანტულიყვნენ ცაზე, თუმცა მსუბუქ გაყინულ მთვარეს არ ეხებოდნენ. ხეები — ნაცრისფერი თრთილის გროვები — შავ ჩრდილს აფენდნენ ნამქერს, რომელიც აქაიქ ლითონის ნაპერკლებად ენთებოდა. ფლიგელის კარგად დათბუნებულ პლუმის სასტუმრო ოთახში ივანმა თიხის ქოთანში ჩარგული არმონინი ნაძვისხე მაგიდაზე დადგა და ის-ის იყო მის ჯვრისებრ კენწეროზე სანთელი უნდა მიემაგრებინა, რომ გათოშილი, თვალცრემლიანი სლევცოვი შემოვიდა დიდი სახლიდან ლოყაზე შერჩენილი მტკრის ლაქებით და თან ილიაში ამოდებულად ხის ყუთი შემოიტანა. მაგიდაზე დადგმული ნაძვისხის დახახვისას საკუთარ ფიქრებში ჩაფლულმა დაბნეულად იკითხა:

- ეს რაღად გინდოდა?
- ხვალ ხომ დღესასწაულია.
- არ გინდა, მოაშორე... — შეიჭმუნხნა სლევცოვი. თან თავისთვის გაიფიქრა: „ნუთუ ხვალ შობაა? ეს როგორ დამაჟინედა?“

ივანი მორიდებით შეეპასუხა: — მწვანეთა, იდგეს... — ძალიან გთხოვ, მოაშორე, — გაიმეორა სლევცოვმა და შემოტანილი ყუთის კენ დახარა, რომელშიც შვილის ნივთები ჰქონდა შეგროვილი — პეპლების საჭერი ბაღე, ბისკვიტის კოლოფი პეპლის გაქვავებული პარკით, გამაბრტყელებლები, ქინძისთავები ლაკის ზარდახშაში, ლურჯი რვეული. რვეულის პირველი ფურცელი ნახევრად ამოხეული იყო, ამორჩილ ნაგლეჯზე კი ფრაგული კარნახის ნაწილი იყო შერჩენილი. ამას მოსდევდა ჩანანერები დღეების მიხედვით, შემდეგ — დაჭერი-

ლი პეპლების სახელწოდებები და სხვა ჩანისებები: „ჭაობით ბოროვიჩებამდე ვიარე...“, „დღეს წვიმს, მამასთან შაში ვითამაშე, მერე ძალიან მოსაწყენ „ფრეგატ პალადას“ ვკითხულობდი, მშვენიერი ცხელი დღეა. საღამოს ველოსიპედით ვისეირნე. თვალში ქინქლა ჩამვივარდა. ორჯერ განგებ ჩავუქროლე მის აგარაკს, მაგრამ ვერ დავინახე...“.

სლევცოვმა თავი ასნია. გადაყლაპა რაღაც — ცხელი, უზარმაზარი. ვისზე უნდა წერდეს მისი ვაჟი?

— „როგორც ყოველთვის, ველოსიპედით ვისეირნე“, — ეწერა შემდეგ. „ჩვენი თვალევი თითქმის შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემი მშვენება, ჩემი სიხარული...“.

— ეს წარმოუდგენელია, — აღმოხდა სლევცოვს, — მე ხომ ვერასოდეს გავიგებ... ის ისევე დაიხარა და ხარბად განავრძო ფურცლის არეზე გადასული, ოკრობოკრო ბავშვური ნაწერის გარჩევა.

„დღეს — მეგლოვას პირველი ეგზემპლარი. ეს კი ნიშნავს, რომ შემოდგომაა. საღამოს წვიმდა. ის, ალბათ, უკვე გაემგზავრა, მე კი ვერ მოვახერხე გაცნობა. მშვიდობით, ჩემი სიხარული. საშინლად განვიცდი...“.

„მას არაფერი უთქვამს ჩემთვის...“ — იგონებდა სლევცოვი და ხელისგულით შუბლს ისრესდა.

ბოლო გვერდზე კი კალმით ჩანახატი იყო გაკეთებული: სპილო — როგორსაც მას უცნიდან ხედავ, — ორი სქელი ტუმბა, ყურების კუთხეები და კული.

სლევცოვი ადგა. თავის ქნევა დაინყო, რომ როგორმე შეეჩერებინა სასონარკვეთილი ქვითინი.

— მეტი აღარ შემიძლია... — ამოიკენესა თითოეული სიტყვის გაქიანურებით და კიდევ უფრო გაჭიანურებულად გაიმეორა — აღარ — შემიძლია — მეტი...

„ხვალ შობაა, — გაუფლავა თავში, — მე კი მოვკვდები. რა თქმა უნდა. ის ისე მარტივია. დღესვე...“.

ცხვირსახოცი ამოიღო. გაინმინდა თვალევი. წვერი, ლოყები. ცხვირსახოცს მუქი ლაქები დააჩნდა.

— ...სიკვდილი, — ისე ჩუმად თქვა სლევცოვმა, თითქოს გრძელი წინადადება დაამთავროდა.

საათი ნიკინკებდა. ფანჯრის ლურჯი მინა უხვად მოეჭირხლა ყინვას. მაგიდაზე გადაშლილი რვეული ქათქათებდა, მის გვერდით საჭერი ბაღის მარამშში კრთებოდა მუქი, ბრწყინავდა კოლოფის თუნუქის კუთხე. სლევცოვმა თვალევი დახეუჭა და ერთი ნამით მოეჩვენა, რომ მისთვის გასაგები გახდა, გაშიშვლდა მინიერი ცხოვრება — შემადრუნებლად უსასოო, დამამცირებლად უაზრო, უნაყოფო, სასწაულებს მოკლებული...

და იმავე წამს რაღაცა გაჩხაკუნდა — წვერილი ხმა — თითქოს დაჭიმული რეზინი განწყადო. სლევცოვმა თვალევი გაახილა და დაინახა: ბისკვიტის კოლოფში აბრეშუმის ჭიის პარკი გახეთქილიყო, კედელზე კი, მაგიდის ზემოთ, სწრაფად მიხობხავდა თავისოდენა შავი დაჭმუჭნული არსება. მერე შეჩერდა, ექვისივე შავუსუსებისა თათით მიეკრა კედელს და უცნაურად აძაგდა. ის გამოიჩეკა იმის გამო, რომ მწუხარებით გათანაგულმა ადამიანმა თავისთან, თბილ ოთახში შეიტანა რკინის კოლოფი, ის გაჩნდა იმის გამო, რომ პარკის მაგარ აბრეშუმში შეაღწია სითოთი; ის ისე დიდხანს ელოდა ამას, ისე აძაბულად იკრებოდა ძალას და აი ახლა, გამოიჩეკილი, ნელ-ნელა და სასწაულებრივად იზრდებოდა. ნელ-ნელა იშლებოდნენ სასწაულებრივი ნაკუნები, ხავერდოვანი ფოჩები, ჰაერით ივსებოდნენ და ძლიერდებოდნენ მარაოსებრი ძარღვები. ის შეუმჩნეველად დაფრთიანდა, ისევე, როგორ მუქმწვნივლად მშვენიერდება სახე დაავაჟვავებისას. და ფრთები — ჯერ კიდევ სუსტები, ჯერ კიდევ ტინიანები — ისევე განავრძობდნენ ზრდას, გაშლას, აი, გაიშალნენ უფლის მიერ დადგენილ ზღვრამდე — და კედელზე უკე — მურკის ნაცვლად, შავი თავგის ნაცვლად — ვეებერთელა ღამის პეპელა, ინდური აბრეშუმხვევია მიხობხავდა, მწუხრისას ფრინველივით რომ დაფრინავს ბომბეის ფარნების ირგვლივ.

და მაშინ გაშლილმა, ბოლოებაპრეხილმა, მუქ-ხავერდოვანმა, ქარსის ოთხსარკე-მიანამა ფრთებმა ც ამოისუნთქეს, ალტაცებულბმა ნაზი, მშვენიერი, თითქმის ადამიანური ბედნიერების განცდით.

### ალექსანდრ სოლჟენიცინი

# სააღდგომო ლიტანია

მცოდნე ხალხი ახლა გვასწავლის, რომ ზეთით ყველაფერი ზუსტად ისეთი არ უნდა დაიხატოს, როგორც არის. ამისათვის ფერადი ფოტოგრაფია არსებობს. რომ გამრუდებული ხაზებით, სამკუთხედებისა და კვადრატების შეხამებით საგნის აზრი უნდა გადმოიცეს თვითონ საგნის ნაცვლად.

მე კი ვერ წარმომიდგენია, რომელი ფერადი ფოტოგრაფია შეგვიჩვენებს აზრს ანადსაჭირო სახეებს და ერთ კადრში ჩაატყვეს პერედელიკინოს საპატრიარქო ეკლესიის სააღდგომო ლიტანიას რეჟოლუციიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ. მხოლოდ ეს ერთი დღევე დადგინდა სააღდგომო ლიტანია ავგისნიდა ბევრ რამეს, თუნდაც ყველაზე ძველი ხერხით, უსამკუთხედებოდაც რომ გამოსახულიყო.

ზარების რეკავამდე ნახევარი საათით ადრე უფლის ფერისცვალების საპატრიარქო ეკლესიის შემოგარენი ისე გამოიყურება, როგორც შორეული სიცოცხლით სავსე მუშათა დასახლების ხალხისანი ჯაგაფუგით გატყვენილი საცეკვაო მოედანი. ფერადი ხილაბანდებით თავსაქრული და სპორტულშარვლიანი (თუმცა, აქა-იქ კაბიანებიც არიან) მოყვანე გოგონები სამ-სამად, ხუთ-ხუთად დაიარებიან, ხან ეკლესიაში შესვლას დააპირებენ, მაგრამ სტოვაში ტევა არ არის, ადგილები ადრინა სალამოდან დედებრებს დაუკავებიათ; გოგონები ერთს კი შეუღონენ და ისევე გარეთ გამოდიან; ხან ეკლესიის ეზოს უფლიან გარს, ხმამაღლა, მოურიდებლად გასძახიან ერთმანეთს შორიდან და გარეთა კედლის ხატებთან და მღვდელმთავრებისა და დეკანოზების საფლავებთან ავლენილ მწვანედ, ვარდისფრად და თეთრად მოღვარე ალებს ათვლიერებენ. ბიჭები კი — ჯანიანებიცა და დაგვალულებიც — ყველანი გამარჯვებულების გამომეტყველებით (ვისზე გაუმარჯვებიათ თავიანთ თხუთმეტ-ოც წელსწინ?) — ალბათ მხოლოდ შაინები თუ გაუტანიათ კარში...), თითქმის ყველას კეპები, ქუდები ახურავს; ზოგიერთი უთავსაბუროც არის, თუმცა აქ კი არ მოუხდია, საერთოდ დადის ასე; ყოველი მათე ნასავანია, ყოველი მეორე ენგვა, თანაც ძალიან საზოგადოებრივად, ქვედა ტურზე მიდობილი სიგარეტით. და ჯერ კიდევ საკმეველამდე, საკმეველის ნაცვლად, ელექტრონის შუქზე თამბაქოს კვამლის ნაცრისფერი ბოლქვები ადიან ეკლესიის ეზოდან სააღდგომო ცისკენ რუს უმოძრაო ღრუბლებში. ასფალტს აფურთხებენ, სასეიროდ ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავენ, ხმამაღლა უსტვენენ, შიგადაშიგ იგინებიან კიდევ, ზოგიერთი ტრანზისტორული მიმღებით საცეკვაო ჰანგებს აღრიალებს, სხვები თავიანთ გოგონებს ეხვევიან პირდაპირ გასასვლელში და ერთმანეთისათვის მათ წართმევას ლამობენ, თან მამლაცინებებით ისე იფხორებიან, შეიძლება დაწვებიანაც გაინიონ ერთმანეთზე, მერე კი მართლმადიდებლებსაც შეუტყონ დაწვებით. ვინაიდან ეს ახალგაზრდები მართლმადიდებლებს ისე კი არ უყურებენ, როგორც უმცროსები უფროსებს, როგორც სტუმრები მასპინძლებს, არამედ როგორც მასპინძლები ბუზებს.

თუმცა საქმე დაწვამდე მინც არ მდის — სამი-ოთხი მილიციონერი ვითომცდა წესრიგის დასაცავად მოსაჩვენებლად დააბიჯებს აქეთ-იქით. და გინებაც — უკვე მთელი ეზოს გასაგონად კი არ გაისმის, უბრალოდ ხმის აუნეველად წართმეთქმება გულითადი რუსული საუბრისას. ამიტომ მილიციაც ვერ ხედავს დარღვევებს, მეგობრულად უდიდის მომავალ ცვლას. აბა პაპიროსების გამოგლეჯას ხომ არ დაუნყებს კბილებიდან, ქუდების ჩამოგლეჯას თავებიდან: ეს ხომ ქუჩაში ხდება, ღვთის რწმენის უქონლობის უფლება კი კონსტიტუციით არის დაცული. მილიცია პატიოსნად ხედავს, რომ მის ჩარევას არაფერი მოითხოვს — სისხლის სამართლის საქმე არ არის.

სასაფლაოს ღობესთან და ეკლესიის კედლებთან მიუყუდილი მორწმუნეები, უკმაყოფილების გამოხატვას ვინ ჩივის, შემინებულები იყურებიან აქეთ-იქით, რომ არავინ მოუღეროს დანა, არავინ მოსთხოვოს ხელებიდან იმ საათების მოხსნა, რომ-



ლებითაც ქრისტეს აღდგომამდე დარჩენილ უკანასკნელ წუთებს ითვისებდა. აქ, ტაძრის გარეთ, ისინი, მართლმადიდებლები, გაცილებით უფრო ცოტანიც არიან, ვიდრე მოლადავე, სადავეები მიშვებულად მოსეირნე ახალგაზრდები. ისინი უფრო უარესად არიან დაშინებულები და შევიწროვებულები, ვიდრე თათრების დროს.

თათრები ალბათ ასე აბუჩად არ იგდებადნენ ცისკრის ლოცვას.

სისხლის სამართლის ზღვარი არ გადალახულა, უსისხლო დარბევა, სულიერი შეურაცხყოფა კი — ამ ქურდულად დაგრეხილ ტურებში, თავხედურ სიტყვა-პასუხებში, ხორხოცში, არმიყობაში, ბლაღოძნში, გადაპურყვებაში — ორ ნაბიჯში ქრისტეს ვნებათაგან. ამ გამარჯვებულ-ქედმალურ იერში, როგორცაა ეს ცხვირ-მოუხობივეები მოვიდნენ იმის სანახავად, თუ როგორ იმეორებენ მათი პაპები პაპის-პაპათა წეს-ჩვეულებებს.

მორწმუნეთა შორის ერთი-ორი ებრაელის მორიდებული სახეც მოჩანს. იქნებ მონათლულები არიან, ან იქნებ უცხოები. ფრთხილად იხედებიან აქეთ-იქით და სხვებთან ერთად ლიტანიას უცდიან.

ებრაელებს ყველანი ვლანძღავთ, ებრაელები ყოველთვის ხელს გვიშლიან, თუმცა უკეთესი იქნებოდა, უკან მიგვეხედა: როგორი რუსები გაზარდეთ ამასობაში? მიიხედავ და — გავიწყდება.

და თითქოს არც 30-იანი წლების მოიეროებები არიან, ვინც ნაკურთხ პასკებს სტაციებდნენ ხალხს ხელიდან და ეშმაკულებივით სცემდნენ ყიჟინას — არა! ესენი თითქოს ცოდნის მოყვარულები არიან. პოკეის სეზონი ტელევიზიაში დასრულდა, ფეხბურთისა ჯერ არ დაწყებულია, მონყენილობაა — ჰოდა, აწყდებიან სანთლების გასაყიდ სარკმელს, ქრისტიანებს ნახერხით სავსე ტომრებით იცილებენ გზიდან, რატომღაც სანთლებს ყიდულობენ

და თან „საეკლესიო ბიზნესს“ ლანძღვენ. ერთია მხოლოდ უცნაური: ყველანი ჩამოსულები არიან, თუმცა ერთმანეთს ყველანი იცნობენ, თანაც სახელებით. როგორ მოახერხეს ეს ასე შემხატებელი-ბუღალდ? შემთხვევით ერთი ქარხნიდან ხომ არ არიან? მათი კომკავშირის მდივანიც ხომ არ დადის აქ მათთან ერთად? იქნებ ეს საათები რაზმიერის სამსახურში ენერებათ?

თავს ზემოთ ზარის რეკვის ხმა ისმის — თუმცა შეცვლილი: რალაცნაირი თუნუქის დარტყმების ხმის მსგავსი — ღრმა, სრულხმოვანის ნაცვლად. ზარის რეკვა ლიტანიობის დაწყებას იუნყება.

და ისინიც დაიძრნენ! — მორწმუნეები კი არა, ისევე ეს მყვირალა ახალგაზრდები. ახლა ისინი გაორმაგებულად და გასამაგებულად მოაწყდნენ ეზოს, ჩქარობენ, თვითონაც არ იციან, რას ეძებენ, რომელი მხარე უნდა დაიკავონ, საიდან დაიწყება ლიტანია. ანთებენ წითელ სააღდგომო სანთლებს, ამ სანთლებიდან კი პაპიროსებს უკიდებენ ცეცხლს, აი რა! ისე შეჯგუფებულან, თითქოს ფოქსტროტის დაწყებას აპირებენ. ლუდის ფარდულია აკლიათ, რომ ამ ქორიანმა ტანყრილმა ჯელებმა — ჩვენი ჯიბი არ კინდება — თეთრი ქაფი გადააფრქვიონ საფლავებს. სტოვადან კი უკვე დაიძრა ლიტანიის თავი და ზარების რეკვის თანხლებით აქეთ უხვევს. წინ ორი საქმიანი კაცი მოუძღვება და ახალგაზრდა ამხანაგებს როგორმე გზის მიცემას სთხოვს. სამი ნაბიჯის შემდეგ მოდის ხნიერი მელოტიკა ცაცუნა, საეკლესიო მნეს რომ ნაავაგს, და ლატანზე დამაგრებული შუშის თლილი შემინული ფანარით ანთებული სანთელი მოაქვს, ის შემფოთებით ახედავს ხოლმე ფანარს, ამონებებს, სწორად მოაქვს თუ არა და ასეთივე შემფოთებით იყურება აქეთ-იქით. აი, სწორედ აქედან იწყება ის სურათი, რომლის დახატვასაც ასე ვისურვებდი, რომ შემეძლოს: ეკლესიის მნეს იმისი ხომ არ ეშინია, რომ ახალი საზოგადოების მშენებლები ახლა მათ შევიწროებდნენ დაიწყებენ, ცემას დაუნყებენ? ძრწოლა მაყურებელსაც გადაეღება.

შარვლიანი გომბიოები სანთლებით ხელში და კბილებში პაპიროსგაჩრილი ბიჭები თავზე კეპებითა და გადაღული სანვიმრებით (განუფითარებელი, უაზრო სახეები, მანეთიანი თავდაჯერებულობით, მაშინ როდესაც შაურინი გაგებაც არ გააჩინათ; მიაშიტებიც არიან, მიმდობნიც; ბევრი ასეთი სახე უნდა იყოს ნახატზე) ჯგროდ და მდგარან და შესცქერიან სანახაობას, როგორსაც ფულითაც ვერსად ნახავ.

ფანარს მოსდევს ორი ბაირადი, მაგრამ ცალ-ცალკე კი არა, შიშისაგან ისინიც თითქოს მჭიდროდ მიჰკვირან ერთმანეთს. მათ მოჰყვება ხუთ რიგში ორ-ორად მომავალი ათი მგალობელი ქალი მსხვილი ანთებული სანთლებით ხელში. თითოეული მათგანი აუცილებლად უნდა აისახოს ნახატზე! ქალები ხანდაზმულები არიან, მტკიცე, შეუწავლი სახეებით, სიკვდილისთვისაც რომ არიან მზად, თუკი ვეფხვებს მიუქსევენ. ათიდან ორი კი — ქალწულია, იმავე ასაკისანი, გარს რომ ახვევიათ ბიჭებთან ერთად, მათი ტოლები — მაგრამ რა განწმენდილი სახეები აქვთ, როგორი ნათელი გადასდით სახეებზე.

ათი ქალი გალობს და მტკიცედ მობიჯებს. ისეთი საზეიმო იერი აქვთ, თითქოს მათ ირგვლივ პირველად იწერონ, ლოცულობენ, ინანიებენ, მუხლს იყრიან. ეს ქალები არ ისუნთქვენ პაპიროსის კვამლს, მათი ყურები დახმულია ლანძღვა-გინებისათვის, მათი ფეხისგულები ვერ გრძობენ, რომ ეკლესიის ეზო საცეკვაო მოედნად გადაქცეულა.

ასე იწყება ნამდვილი ლიტანია! რალაცამ იმოქმედა ლეკვებზე ორივე მხარეს, ცოტათი დაწყნარდნენ.

ქალებს მოსდევენ ღია ფერის შესამოსელიანი მღვდლები და დიაკვნები, ისინი შეიძინი არიან. მაგრამ როგორ არათავისუფლად მოდიან, როგორ ერევათ ფეხი, როგორ უშლიან ხელს ერთმანეთს, ლამის საცეცხლურსაც ვეღარ იქნევენ, გინგილაც ვეღარ აუნევიან. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა, რომ არ გადაეთქმევიანება, შეიძლება აქ სრულიად რუსეთის პატრიარქს ენირა და ლიტანია შეესრულებინა!

შეჯგუფდნენ და აჩქარებით მიაბიჯებენ, შემდეგ კი — შემდეგ კი მსვლელობა აღარ არის. მეტი აღარავინაა! არავითარი მლოცველები აღარ ასრულებენ ლიტანიას, ვინაიდან უკან, ტაძარში ველარანაირად ვეღარ შეაღწევენ.

მლოცველები აღარ არიან, თუმცა სწორედ ამ დროს თავგამეტებით მიიწევენ წინ ჩვენი ბრბო! როგორც სანყოფის გატეხილ ჭმუკარში შეცვივებული, ჩქარობენ ნადავლის ხელში ჩაგდებას, ჩქარობენ ულუფების დატაცებას, ეხახუნებიან კარის ამყოლებს, თავგზას კარგავენ მოვარდნილ ღვარცოფში — იჭყლიტებიან, ეჯავჯგურებიან ერთმანეთს, წინ გაძვრომას ცდილობენ ეს ბიჭები და გოგონები — მაგრამ რატომ? თვითონაც არ იციან. იმის სანახავად ხომ არა, თუ როგორ გააფრენენ ხუცესები? თუ უბრალოდ საჯავჯგუროდ — იქნებ სწორედ ასეთია მათთვის მიცემული დავალება?

ლიტანია უმლოცველებოდ! ლიტანია ჯვრის გადამწერთა გარეშე! ლიტანია ქუდებმოუხდელად, პაპიროსებით პირში, მკერდზე მიკრული ტრანზისტორებით — ამ ბრბოს პირველი რიგები, ის, თუ როგორ ცდილობენ ლობში გაძვრომას, აუცილებლად უნდა მოხედეს ნახატზე!

და მაშინ ის დასრულებული იქნება! მოშორებით დედაბერი პირველად იწერს და ეუბნება მეორეს:

— ნელს კარგია, ცოტა ხულიგანია. რამდენი მილიციონერია. აი თურმე რა! ეს ნელი თურმე საუკეთესოც ყოფილა?!

რალა გამოვა ამ ჩვენი გაჩენილი და გაზრდილი მთავარი მილიონებისაგან?

რალა ფასი აქვს მოაზროვნე თავების განათლებულ მცდელობასა და დამაიმედებელ პროგნოზებს? კარგს რას ველოდებით ჩვენი მომავლისაგან?

ჭეშმარიტად: შემოგვიბრუნდებიან ოდესმე და ყველას გაგვანადგურებენ!

და იმათაც, ვინც აქ მოსვლისკენ წააქეზა — იმათაც გაანადგურებენ.

1966 წელი

აღდგომის პირველი დღე

თარგმანი ია მჭედლიძემ



გათინდა.

რვა საათზე თენგიზ მირზაშვილს და- ვურეკე — თეზაში წასვლა უნდა დაგვეგე- გმა... პირველსავე ხარზე მიპასუხა: — ხო, როგორ ხარ, რას აკეთებ? — ხომ არ გაგაღვიძე? — არა, არა, ხო იცი, არ მძინავს, ვერ ვძინებ, საშინლად ცხელოდა. იცი, რა, გულქანი მჭირდება, თუ გაქვს. — რამდენი? — ხუთი, ათი, თორმეტი... მთხოვენ, ძალიან მთხოვენ. ამის გარდა, ვაჟას კაბინე- ტის თავზე, მეოთხე სართულზე თუ შე- ძლებ ასვლას და ორ რეცენზიას გადამიწ- ერ...

შევთანხმდით.

დღის ორ სათზე შევხვდებით. მივედი უნივერსიტეტში. როგორც იქ- ნა, გაგებდე, ხუთი წიგნი („მამამა ღმერთს ჩამაპყარა სახელი“) ავიღე და ვაჟას კაბინე- ტში მივიტანე სტუდენტებისთვის.

ბატონი ჯუმბერ ჭუმბურიძე დამიხვდა, მომეფერა და მადლობა გადამიხადა. შე- მომჩივლა, „კატარაქტის“ ოპერაცია გავი- კეთე და მხედველობის გაუარესება მანუხ- ბსო...

დღისსწორს ვაჟას კაბინეტის მუდმივ- მოქმედ სემინარზე მიმიწვია და მთხოვა, წიგნის შექმნის ისტორია გამეცნო მსმე- ნელისთვის. დავეთანხმე და დავემზადო- ბე. გამოვიფიქრე, ჯობით ხელში კარებამ- დე მაცილებს და მემუდარება: ეთერ, როცა შემხვდებით ქუჩაში, აუცილებლად გამო- მელაპარაკეთ, გამომეცნაურეთ, მე უკვე თითქმის ვერავის ვცნობ, ხომ გამომელა- პარაკებით, ეთერ?

- რა თქმა უნდა, ბატონო ჯუმბერ!
- ხუთშაბათს გელოდებით.
- აუცილებლად, ნახვამდის... საღამოვდება.


ამირანი მირეკავს კათედრაზე — ათ წუთში ვარაზის ხევში იყავიო.

მანქანაში გურამ ბენაშვილი მხვდება. შინამდე მიგვყავს, გზაში ვიცინით... ღვ- თაებრივი კაცია გურამი. ამირანს ჰონო- რარი აუღია. დღეს ბავშვებს, რამდენიმე მწირი დღის შემდეგ, ნორმალურ სადილს გაფუშვადებთ.

საბურთალოს ბაზართან ვჩერდებით. მე მანქანაში ვიჯექი. ამირანი გადადის. წინ პატარა ტანის მოხუცი ქალი ელოდება და რაღაცას სთავაზობს. ამირანი მშვიდად ელაპარაკება და ბაზრის შესასვლელისკენ აგრძელებს გზას. მოხუცი ქალი ჩვენს მან- ქანას ათვალისწინებს და როგორც კი თვალს მომანვდენს, ჩემსკენ გამოემართება. მინა ჩანეულია. თავს შემოყოფს განამებული, დაქანცული მოხუცის სახე და მემუდარე- ბა: შვილო, ორ ლარად ჯვარი იყიდეთ.

ვხედავ: დამჭკნარ, გამაყვებულ, აკან- კალბულ ხელზე უბრალო მელქიორის ორი ჯვარი ჰკიდია — ასევე მელქიორის ჯაჭვებზე...

ქალბატონო, დიდი მადლობა-მეთქი, — ვეუბნები. არ მინდა, სამაგისო ფული არ მაქვს...



გულქან რაზიკაშვილი

— შვილო, გეხვენები, იყიდე, თუ ხუთ ასეთ ჯვარს გაყვიდი, ერთი მანეთი მოგე- ბა დამრჩება (მანეთი თქვა ლარის ნაცვ- ლად).

შემებრალა. გადავწყვიტე, ამირანი რომ გამოვა ბაზრიდან, სამ ლარს მივცემ და ჯვარს არ გამოვართმევ-მეთქი. ჩამო- ეყრდნო მანქანის ჩანთულ მინას და მიყვე- ბა, როგორ გადაესხა ერთი სარეცხის სახ- არში მდულარე წყალი მის მძინარე შვილს... დავიზაფრე, სიბრალულისგან ყურები მიგუბდება, გული მკებნს...

ეთერ თათარაიძე

ერთი უბრალო ამბავი

12.06.1997 წელი



— მაღალ ტაბურეტზე იდგა პატარა პლიტა, ზედ სარეცხის სახარში ქვაბი, შვი- ლო. წყალს გაავაცხელებო, დედაო, მითხრა, თეთრეული უნდა გავრეცხოო. დადლილი იყო. წამოწვა, მეც მივწექი, თვალს მოვატყუებ-მეთქი... ორივეს ღრმად ჩაგვიძინებო... კვილიშა გამაღვიძა. ჩემი შვილი იატაკზე თავმოჭრილი ქათამივით ხტოდა, კანკალებდა და კიოდა... ის სახ- არში ქვაბი ადულდებულყო, ტაბურეტს ერთი ფეხი მოკლე ჰქონიყო, დუღილის და ჩქაფუნის დროს სკამი გადაერყია და მდუ- ლარე ზედ გადასხმოდა, მოქსოვილი ჯემ- პრი ეცვა, ვინრო იუბკა, გავხადეთ და ტყავი გაჰყვა ტანსაცმელს, ნახევარი ძუძუც გაჰყვა, შვილო... გრძნობა დაკარ- გა... იაშვილმა დაადო ხელი, იმის მონაგარი გაშენდეს... ბარკლებზე ააჭრა ხორცი და მკერდზე დააკრა. მუშტისხელა კორძები დარჩა მუცელზე. იმის ცოდვით დაინგები, შვილო, მაგრამ, ვენაცვალე ღმერთსა, არ დამლუპა, არა, ბოლომდე. სული ხო უდგა შვილი, სული... ტკბილი სული, არავისთვის გასამეტებელი სული... შენ გეცოდინება ჩემი შვილი, აი, ემ ბაზრის შესასვლელში სმეტანას ჰყიდდა ნლობითა... გეცოდინე- ბა, შვილო... — უნდა, რომ უფრო მომილ- ბოს გული და მეკითხება, — ვაჟა-ფშავე- ლა გაგიგონია, შვილო?

— გამიგონია (ვიცინია). — ჰოდა, შვილო, ვაჟას მეორე ცოლი თამარი იქნება არ გაგეგონოს, ის თამარი ჩემი მამამთილის და იყო, შვილო, მკვიდ- რი და. ახლა უკვე ველარ ვითმენ და განამე- ბულ მოხუცს სახელს ვეკითხები. — პელო მქვიან, შვილო, ფასანაურე- ლი ქალი ვარ... — პელო დეიდა, გულქანს იცნობდი? — როგორ არა, შვილო, როგორ არა, დუშეთში რო იწვა, სიკვდილის წინა ხინკა- ლი ეხსენებინა. შევჭამდი ხინკალსაო. გა- ვუყუეთე და გადავუტანე. ჩვენა დუშეთის

ბაზრის ახლო ვცხოვრობდით. გადავუტანე და გაიხარა. დარჩა კიდევ, ვერ შეჭამა სულა და მეორედ რო მივედ, მითხრა, რომა ემ მკვდარ ფეჩზე (რადატორზე) ქალა- ლი დავაფინე, ზედ დავანყვე შენი მოტანი- ლი ხინკლები, დავათბე და ვჭამეო... ბეჩავი გულქანი, შვილო, წყლის დასალევადა კრუშკა გადავუტანე წულპნიანი, ის მო- ნონებიყო, განერის წინ მთხოვა — ჩემო პელო ძალოო, წულპნიანი კრუშკა მომე- ნონა, ყვავილებზე მეტად არაფერი მიყ- ვარს და იქნებ მაჩუქოო. მე ვუთხარ, ეგე-

მამათილის დის სათხოვნელად, იცი, რა ეთქო თამარის მამასა და ძმასა? ფშაველს გავაცოლოთ და ისიც ბრუციანსაო?! ვაჟას ეთქო, განანებთ ემ სიტყვებსაო და მერე ჩვენებს მოუხდა იქით შეხვეწნა... გაიმბობ, შვილო, ბევრ რამესა გაიმბობ, არ დაგკარ- გავ!

ამირანი გამოდის, მანქანაში ჯდება. მე ჩუმად ვეუბნები, რომ სამი ლარი თუ მორ- ჩა, აჩუქოს. ამირანი იღებს ფულს, აძლევს. პელო დეიდა ჯვარს გვანოდებს. არა-მეთ- ქი, ვეუბნები, ეგ გაყიდეთ და თქვენს შვილს ახალი კარტოფილი მიუტანეთ-მეთქი.

თვალები უნათდება: დაგაზარალეთ, შვილო, გაგყვლიფეთ...

თენგიზისთვის დილით მანქანაში ჩადე- ბული ათი-თორმეტი „გულქანიდან“ ერთს ვიღებ და ვანოდებ პელო დეიდას. ვეუბნე- ბი ამ წიგნის ორსიტყვიან ისტორიას, ხე- ლებს ცისკენ აღაპყრობს და ილოცება: ღმერთო, როგორ შემყარე ემ კეთილ ხალხ- საო, წიგნს გულში იხუტებს, ამირანი გაბ- რიელ ჯაბუშანურის წიგნს „ჰოი ღიღლოს დაღრუბლულო ცაო“ ჩუქნის. გიჟდება... უცებ გვიახლოვდება ჩემთვის უკვე ნაც- ნობი გამხდარი მათხოვარი ქალი ხელჯოხ- ით, ერთ ლარს აძლევს ამირანი... ეს რა წიგნიაო, პელოს ეკითხება და ემან დანერ- აო, პელო ეუბნება, ვაჟას შვილზე, გულქან- ზეო. შემომაჩერდება საცოდავი სახე. იმასაც ვანოდებ, ისიც გულში იკრავს წიგნს და ამბობს: ღმერთო, ამაზე დიდი არაფერი მიმიღია, ამაზე ძვირფასი, რაც ქუჩის მათხ- ოვარი გავხდი, მორწმუნე ვარ და ყოველდ- ლიურ ლოცვაში გახსენებთ ცოლ-ქმარს, თქვენს ოჯახსო.

ამ ემოციურ ხმაურს ყურს უგდებს „სტა- იანშიკი“, ლამის მორბის და... ხალხო, მეც მომეცით რა წიგნო! იმასაც ვანვდიო.

პელო დეიდა მისამართს გვთხოვს. ამი- რანი უწერს და ანოდებს. მადლობით გვაგვსებენ. პელო დეიდა მანქანის კარის ღია მინაში თავის მელქიორის ჯვარს გვიგდებს მუდართ: ეს ჯვარი ჩემგან ატ- არეთ, შვილებოო. ჩვენც ველარ ვენინააღმ- დეგებით.

შინ მივდივართ ჯიბეცარიელები, მა- გრამ ბედნიერები იმით, ამ ღვთისგან ნამე- ბულ ხალხს ის რომ მივეცით, რისი გაცემაც იმ წუთის შეგვეძლო.

მე უკვე დეიდა პელოსთან შეხვედრაზე ვოცნებობ... თან მეცოდება: შელახული, თბილი ბაილონის კაბა ეცვა პაპანაქება- ში... რაღაც-რაღაცებს გამოვუძენი, უჭეველად ვიპოვნი და რამდენიმე ხნით კიდევ ჩავბრუნდები ჩემს სასიცოცხლო მორევში. როგორც გულქანი იტყოდა — „გავეხვევი საფიქრლის ნისლშია“...

ერთი მოთხრობის კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს ერთი მოთხრობის კონკურსს 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებისთვის.

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 20 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე [litkursi2013@yahoo.com](mailto:litkursi2013@yahoo.com).

მოთხრობას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მონომობის ასლი და ტელეფონის ნომერი.

მოთხრობის გამოგზავნის ბოლო ვადაა 2013 წლის 5 მაისი.

სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება ივნისში.

გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი პროზაიკოსისგან შემდგარი ჟიური.

გამარჯვებული ნაწარმოებები

გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1000 ლარი

II პრემია — 800 ლარი

III პრემია — 600 ლარი

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტიკის ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ყურული  
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: [litgazeti@yahoo.com](mailto:litgazeti@yahoo.com)